

78
990/2

საქართველოს იურისტთა კავშირი

სახელმწიფო და სამართალი

12.90

ნ ო მ ე რ უ ი ა:

ვახრაჟელაშვილი დისკუსიას



DE LEGE FERENDA



ქართული კონსტიტუციური ავტონომიის ისტორიიდან

CIVITAS AC IUS

მთავარი რედაქტორი
თევდორე ნინიძე

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ბელა ბარძენიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ გამყრალიძე, როლანდ ბილიბაშვილი, ავთანდილ დემეტრაშვილი, ვალერიან ედიშერაშვილი, გიორგი კეკელიძე, გზია ლეკვიშვილი, ალექსი ვაკუაშვილი, თაიშუაჯ სიღამონიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი, ჯონი ხეცურიანი, რუსუდან შველიძე, ჯონი ჯალაღანია.

ტექნიკური რედაქტორი გულნარა აოსიკაშვილი.

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

12

დეკემბერი

1990

საქიბებელი

უზენაესი საბჭოს პირველი სესია

დადგენილება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწინების განხორციელების შესახებ	3
საპარტვილოს რესპუბლიკის კანონი ადინსტიის შესახებ	4
დადგენილება საპარტვილოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ადინსტიის კანონის გამოქვეყნების წმინდის შესახებ	6
დანიშვნები	9
საპარტვილოს რესპუბლიკის კანონი საგზაო ტრანსპორტის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ	10
საპარტვილოს რესპუბლიკის კანონი საგანგებო წესების შესახებ	11
საპარტვილოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (მეორეჯერ კანონში) ცვლილებების შეთანხმების შესახებ	16
ვახტანგის დისკუსია	18

DE LEGE FERENDA

ალექსანდრე კვაშილავა — საკრძეხელო კოდექსის ზოგიერთი ნორმა დაუზუსტებლად საფირმოზე	21
თეიმურ ჟოღოშვილი — დანაშაულის რეციდივის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა	26
ვახტანგ ავაშაია — იკანო ჯავახიშვილი — საპარტვილოს სახელმწიფოსა და საპარტვილოს ისტორიის მნიშვნელობის უშუალოდებელი	28

პირველი ნაბიჯები მნიშვნელობაში

თინათინ დავითიანი — კორფინების შეწყვეტის ზოგიერთი საკრძეხელო სააქტის	37
ბეკლივა	42

სამართალი და ხალხური კოდექსი

გიორგი შეთაქარი — ზემოგორში ნორმების ასახვა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში	43
---	----

ქართული კოლექტიური აზროვნების ისტორიიდან

გრიგოლ რობაქიაძე — სტალინიზმის სახელმწიფოებრივი უმჯობესება	49
--	----

უცხოური იურიდიული ქრონიკა

დევიდ კოანი — „განიცხადებათა დედოფალი“ ფსიქოლოგიის სამსჯავროზე	57
საავსორო კრების ფურცლებზე	64
ოფიციალური მასალა	68
ბიბლიოგრაფია	78

УКАЗАТЕЛЬ

Первая сессия Верховного Совета

Постановление о защите прав человека и об укреплении правопорядка	3
Закон Республики Грузия об амнистии	4
Постановление о правилах применения Закона Республики Грузия об амнистии от 22 ноября 1990 года	6
Назначения	9
Закон Республики Грузия об упразднении Юго-Осетинской Автономной области	10
Закон Республики Грузия о чрезвычайном положении	11
О внесении изменений в Конституции (Основной закон) Республики Грузия	16
Продолжаем дискуссию	18

De Lege Ferenda

Александр Квашилава — Некоторые нормы процессуального кодекса требуют уточнения	21
Темур Чогошвили — Определение рецидива преступления и его значение	26
Вахтанг Абашмадзе — Иванэ Джавахишвили — основоположник науки истории государства и права Грузии	28

Первые шаги в науке

Тинатин Девдариани — Некоторые процессуальные вопросы расторжения брака	37
Реплика	42

Право и народная поэзия

Георгий Шетекаури — Отображение нравственных норм в народной словесности	43
---	----

Из истории грузинской политической мысли

Григол Робакидзе — Государственная немощность социалистов	49
--	----

Зарубежная юридическая хроника

Дэвид Коэн — «Царица доказательств» перед судом психологии	57
На страницах союзной прессы	64
Официальный материал	68
Библиография	78



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

რედაქციის მისამართი: 880110, თბილისი, ღვთისმშობლის ძეგლის კვ. 108.

ტელ.: 95-88-49, 95-58-87

გადეცა წარმოებას 11.12.90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.01.91 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი

ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. 2636

ტირაჟი 24.000

გამომცემლობის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის
განმტკიცების შესახებ**

58561

საქართველოს რესპუბლიკაში დამნაშავეობამ საგანგაშო მასშტაბი მიიღო. მკვეთრად იმატა მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულობათა რაოდენობამ. მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულობათა შემთხვევებმა. უხეშად ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, შექმნილია დაუსჯელობის ატმოსფერო. მოშლილია სახელმწიფო დისციპლინა. არსებული ეკონომიკური სიძნელეების პირობებში, ეკონტროლობისა და განუკითხაობის ვითარებაში გახშირდა ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო მშვიდობას. რესპუბლიკაში ასეთი მორალურ-სამართლებრივი ვითარება მით უფრო მოუთმენელია, როცა დღის წესრიგში რეალურად დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ამოცანა.

სერიოზული ხარვეზებია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში. რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თვით ამ ორგანოების სისტემის არასრულყოფილებითა და პარტიული დიქტატისადმი მათი დაქვემდებარებით.

დამნაშავეობის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში რესპუბლიკის სასამართლოს, არბიტრაჟის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, იუსტიციის ორგანოებში მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება. ამასთანავე, ამ ორგანოებში არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირნი იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრები.
2. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა დანაშაულობათა აღკვეთის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებთან შეიქმნას მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური

საქართველოს
საბჭოთა
რესპუბლიკის
პირველი სესია

შინაგანი ჯარის დანაყოფები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდება სპეციალური ვალდებულებით ვალდებულ სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქეებით.

4. საქართველოს ახლად შექმნილმა მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა კომისიებმა მოამზადონ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგინონ:

ა) წინადადებანი რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების სისტემის რეფორმის თაობაზე;

ბ) წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ამნისტიის აქტის მიღების თაობაზე;

გ) კანონპროექტი მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დანაყოფების სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.
თბილისი. 1990 წლის 15 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ამნისტიის შესახებ

მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული გამარჯვების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდამავალი პერიოდის დაწყების აღსანიშნავად, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან თავისუფლების აღკვეთის სახით დაწესებული ვადის მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი:

ა) ქალები;

ბ) 60 წელზე უფროსი მამაკაცები;

გ) I და II ჯგუფის ინვალიდები.

2. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 5 წლამდე ჩათვლით და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში, აგრეთვე მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

3. განთავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულნი, რომლებმაც რეალურად მოიხადეს შეფარდებული სასჯელის ნახევარი და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

4. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან თავისუფლების აღკვეთის სახით არასრულწლოვანნი, რომლებსაც მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

5. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 წლამდე ჩათვლით.

6. გაუნაბეგრდეს სასჯელი მსჯავრდებულებს, რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 8 წელზე ზევით.

7. შეწყდეს იმ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომლებიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა ჩაიდინეს კანონის ძალაში შესვლამდე.

8. არ განთავისუფლდნენ სასჯელისაგან ამ კანონის 1, მე-2, მე-3, და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი პირები, რომლებიც:

ა) მსჯავრდებული არიან: ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის (სსკ 75-ე მუხლი), ბანდიტიზმისათვის (სსკ 78-ე მუხლი); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებისა და გასაღებისათვის (სსკ 88-ე მუხლი); განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 104-ე და 105-ე მუხლები); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (სსკ 110-ე მუხლი); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (სსკ 209¹ მუხლი); გაუპატიურებისათვის (სსკ 117-ე მუხლის III და IV ნაწილები); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გზით (სსკ 96¹ მუხლი); დამამძიმებელ გარემოებებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის (სსკ 91¹-ე მუხლის III და IV ნაწილები და სსკ 150-ე მუხლის III და IV ნაწილები); დამამძიმებელ გარემოებებში გაძარცვისათვის (სსკ 92-ე მუხლის II, III და IV ნაწილები და სსკ 151-ე მუხლის II, III და IV ნაწილები); ყაჩაღობისათვის (სსკ 96-ე და 152-ე მუხლები); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (სსკ 228-ე მუხლის III ნაწილი); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის (სსკ 240-ე მუხლი); დამამძიმებელ გარემოებებში სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (სსკ 243-ე მუხლის II ნაწილი); ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ დამზადების, შექენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან ყასაღებისათვის (სსკ 252-ე მუხლის I, II, III, IV და V ნაწილები); ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე დაყოლიებისათვის (სსკ 252³ მუხლი); ნარკოტიკულ საშუალებათა მოსმარების ბუნაგის მოწყობის, შენახვის ან ამ მიზნებისათვის სადგომის მიცემისათვის (სსკ 252⁶ მუხლი); გასაშენებლად აკრძალული ხაშხაშის და კანაფის დათესვისათვის (სსკ 253-ე მუხლი);

ბ) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ცნობილი პირები;

გ) პირები, რომლებიც სამჯერ და მეტჯერ არიან ნასამართლევი და მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე მანამდე ნასამართლევი არიან ამ კანონის მე-8 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული დანაშაულისათვის;

დ) პირები, რომლებმაც მთვრალ მდგომარეობაში ჩაიდინეს სატრანსპორ-



ტო საშუალებათა მართვის წესების დარღვევა (სსკ 241-ე მუხლის III IV ნაწილები).

9. შეუმცირდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შემდეგ პირებს, რომლებიც არ თავისუფლდებიან სასჯელისაგან ამ კანონის საფუძველზე:

ა) რომლებიც პირობით გაანთავისუფლეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით, — სანახევროდ;

ბ) მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების დაწესებულებებში და მოიხადეს დანიშნული სასჯელის სულ ცოტა ერთი მესამედი, — სანახევროდ.

10. ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირებს ნასამართლობა არ ეხსნებათ, ისინი დამატებითი სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან (გადასახლებისა და გასახლების გარდა).

11. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე და უნდა შესრულდეს ექვსი თვის განმავლობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია
თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის გამოქვეყნების წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ამნისტიის კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1990 წლის 22 ნოემბრის 20.00 საათამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს;

— მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან — შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით;

— იმ პირთა მიმართ, რომელთაც პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით ან პირობით არიან გათავისუფლებული თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით — სპეცკომენდატორის უფროსის დადგენილებით;

— იმ პირთა მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და არ არიან დაპატიმრებულნი ან პირობით აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და არ არიან გაგზავნილი სამუშაო ადგილას; აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან გადასახლების, გასახლების, თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით — შინაგან საქმეთა რაიონული (ქალაქის) განყოფილების (სამმართველოს) უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს;

— იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს;

— იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართ-

ლოების წარმოებაშია და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა;

— საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის 47¹ მუხლით გათვალისწინებული წესით;

— მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასჯელად მიხჯილი აქვთ ქარიზა. თუ კანონის ძალაში შესვლამდე ქარიზა გადახდევინებული არ არის, ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

— სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამო.

საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

8. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

სასამართლოების მიერ ამნისტიის კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

ნ. განიშარტოს, რომ ამნისტიის გამოყენების დროს:

ა) ამნისტიის კანონის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მუხლების მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 47¹ მუხლების გამოყენებით მსჯავრდებულ პირებზე, აგრეთვე მათზე, ვისაც პირობით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირობით არიან გათავისუფლებული შრომაში სავალდებულო ჩაბმით;

ბ) კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება მამაკაცებზე, რომლებიც 65 წლის ასაკს მიაღწევენ კანონის შესრულების პერიოდში;

გ) კანონის პირველი მუხლის „მ“ პუნქტის მოქმედება ვრცელდება პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით მიჩნეული იყვნენ ინვალიდებად კანონის ძალაში შესვლამდე, აგრეთვე მათზე, რომელთა კანონის ძალაში შესვლის დროისათვის ინვალიდობის ფაქტი დადასტურდება კანონის შესრულების პერიოდში;

დ) კანონის მე-8 მუხლი ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებმაც რეალურად მოიხადეს სასჯელის ნახევარი ამნისტიის შეფარდების დროისათვის;

ე) კანონის მე-4 მუხლის მოქმედება ვრცელდება მსჯავრდებულებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანობის პერიოდში;

არასრულწლოვან ქალებზე ვრცელდება კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტი;

ვ) კანონის მე-6 და მე-8 მუხლების საფუძველზე უნდა შემცირდეს კანონის ძალაში შესვლის დროისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილი;

ზ) კანონის მე-8 მუხლის „ა“ ჩამონათვალი სიტყვები „სსკ 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი“ უნდა იკითხებოდეს „სსკ 243-ე მუხლის მე-8 ნაწილი“.

8. თავისუფლების აღსკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდა, ძირითად სასჯელად შეფარდებული გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეწყდება შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ ამნისტიის შეფარდების თაობაზე პროკურორის მიერ დამტკიცებული დადგენილების გამოტანის დღიდან.

7. შეწყდეს იმ დანაშაულობათა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, რომელთათვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით ხუთ წლამდე ჩათვლით ან სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, თუ პირს, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე, მანამდე არ მოუხდია სასჯელი შრომა-გასწორების დაწესებულებაში. ასევე შეწყდეს საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმეები კანონის მე-4 მუხლში აღნიშნული პირების მიმართ.

8. ამნისტიის კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებული ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.



ახვე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა. რომლებიც ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ან მსჯავრდებული იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის და შეეფარათ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

9. იმ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენებისას, რომელთაც სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუმკირდათ შეწყალების ან ამნისტიის წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამ აქტებით იქნა საბოლოოდ განზრახული.

10. დანაშაულის ერთმდლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალ-ცალკე.

11. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყონ კონტროლი ამნისტიის კანონის შესრულებისადმი.

12. დავალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ:

ა) ყველა იმ პირის დროული აღრიცხვის ორგანიზაცია, რომლებიც ამნისტიის კანონის საფუძველზე დაბრუნდნენ სასჯელის მოხდის ადგილებიდან, მათი შრომითი მოწყობა არა უგვიანეს 15-დღიანი ვადისა საცხოვრებელ ადგილზე ჩამოსვლიდან;

ბ) ინვალიდთა სახლებში იმ გათავისუფლებული ინვალიდებისა და ხანდაზმულების მოთავსება, რომლებსაც არა მყოფი მარჩენალი;

გ) უზრუნველყონ ამნისტიის კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროული აუკანა აღრიცხვაზე, შრომითი მოწყობა, საკვირების შემოხვევაში ბავშვთა სახლებში, სასწავლებლებში მოთავსება.

13. საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიის კანონის შესრულებისათვის მუშაობა დასრულდეს ექვსი თვის ვადაში მისი ძალაში შესვლიდან.

14. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხილება კანონით დადგენილი წესით.

15. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებისადმი ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაშხაზურდია.
თბილისი, 1990 წლის 22 ნოემბერი.

კანონი

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დაშუქების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით დამატოს შემდეგი შინაარსის 71 მუხლი:

„71. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან დანიშნული ვადის მიუხედავად, მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან საილმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის საქართველო, რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე, 94-ე და 96-ე მუხლების საფუძველზე, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი ქმედება ჩაიდინეს ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის, გზით.

შეწყდეს ზემოაღნიშნულ დააშუქება გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმისწარმოება“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაშხაზურდია
თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დაინიშნა გონი ბრიგოლის ძე ხაცვარიანი, ცოლო ღინგაზან საჭურთა მინისტრად დილარ მიხეილის ძე ხაბუღიანი.

გონი ბრიგოლის ძე ხაცვარიანი

დაიბადა 1951 წელს ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაში. მოსამსახურის ოქაბში. 1968 წელს დაამთავრა ქუთაისის 81-ე საშუალო სკოლა. 1978 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1978-1979 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1978-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1980-1985 წლებში მუშაობდა ქუთაისისა და თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში. კურირებად სამართალდამცველ ორგანოებს. 1985-1990 წლებში საქართველოს მეცნი-

ერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, განუოფილებების გამგე, დირექტორის მოადგილე. 1990 წლის 28 ივნისიდან არის საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე. ამასთანავე, შეთავსებით მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ხუთი წიგნი. გონი ხეცურიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო II პარტიის ტრაგედიის გამოძიებაში, საარჩევნო კანონისა და ბიულო დროს მიღებულ სხვა საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში. ჰყავს ცოლი და ორი შვილი.

დილარ მიხეილის ძე ხაბუღიანი

დაიბადა 1952 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ცანაში. პედაგოგის ოქაბში. 1988 წელს დაამთავრა ლენტეხის რაიონის საშუალო სკოლა. 1974 წელს — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. აუო საბუღოობითი სტიპენდიანტი. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იუო სპორტსმენი. საბჭოთა კავშირის ნაკრებ-

ბის წევრი. ევროპის ჩემპიონი, არის ხაერთა-შორისო კლასის სპორტის ოსტატი. 1988 წლიდან მუშაობდა საქართველოს ძიუ-დოსტო ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად. 1987 წლიდან მუშაობს სპორტული საზოგადოება „შეჯარდენის“ კიდაობის ოლიმპიური რეზერვების სკოლის დირექტორად. დილარ ხაბუღიანი არის ჰელსინკის კავშირის წევრი. ჰყავს ცოლი და შვილი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია. ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული. განუყოფელი ნაწილი. რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი. ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არა ერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
 2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.
 3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისარტა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის № 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.
 4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.
- ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და

კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

— განაზოტციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

— შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**
 თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საგანგებო წესების შესახებ

მუხლი 1. საგანგებო წესები არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, აგრეთვე მასობრივი არეულობის დროს.

საგანგებო წესების გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესებს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აფრთხილებს მოსახლეობას ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, ხოლო საპირობების შემთხვევაში, შემოიღებს კიდევ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თხოვნით ან თანხმობით. თანხმობის უქონლობის შემთხვევაში შემოიღებს საგანგებო წესებს და დაუყოვნებლივ შეაქვს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად. ამ

საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მტკიცებით იდება ხმათა უმრავლესობით, რომელიც უნდა შეადგენდეს საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 2/3-ს.

საქართველოს რესპუბლიკის მოელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

მუხლი 3. საგანგებო წესების შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილებების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც საგანგებო წესები გამოაცხადა, უფლება აქვს გააუქმოს იგი დადგენილი ვადის გასვლამდე ან გაახანგრძლივოს საგანგებო წესები, თუ არ აღმოიფხვრა გარემოებანი, რომელნიც მისი გამოცხადების საფუძველი გახდა.

საგანგებო წესების შემოღების, გაახანგრძლივების ან გაუქმების გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის საგანგებოდ დათქმული, და დაუყოვნებლივ ქვეყნდება.

მუხლი 4. საგანგებო წესების პირობებში კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობას და სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას;

2) დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან უთუოდ მისცენ სტაციონარული ან დროებითი სხვა საცხოვრებელი სადგომები;

3) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძვირონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

5) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს— აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

6) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

7) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

8) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

9) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსების საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

10) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

11) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში. ამასთან, უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

12) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

13) შემოიღონ კარანტინი და ვაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

14) შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება; ჩამოართვან ხმის გამამძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

15) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

16) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

17) შემოიღონ კომენდანტის საათი;

18) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

19) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

20) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ იმ ადგილებში მოქმედი ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული.

საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია შექმნას სპეციალური დროებითი ორგანოები.

მუხლი 6. საგანგებო წესების პერიოდისათვის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ საკიროების შემთხვევებში გადაიყვანონ მუშა-მოსამსახურენი მათ დაუკითხავად სამუშაოზე, რომელიც არ არის დათქმული შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ან გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლებს გარეთ, თუ არ ექნათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს აკავებს მილიცია ან პატრული კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო იმათ, ვისაც თან დოკუმენტები არ აღმოაჩნდება, — მათი პიროვნების დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა; დაკავებულნი შეიძლება პირადად გასინჯონ, აგრეთვე შეიძლება გაუსინჯონ ნივთები, რომლებიც თან აქვთ.

მუხლი 8. მე-4 მუხლის 3, 4, 6, 10 და 12-16 პუნქტების შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ათას მანეთამდე ჯარიმის სახით, ანდა დაპატიმრებას თხუთმეტ დღემდე ვადით, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. პროვოკაციული ხმების დაყრა, მართლწესრიგის დარღვევის პროვოკაციულად გამომწვევი ან ეროვნული შუღლის ჩამომგდები მოქმედება, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისადმი აქტიური წინააღმდეგობა, აგრეთვე ჩიუტი ურჩობა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლის, სახალხო, რაზმელის ან სხვა იმ პირების კანონიერი განკარგულებისა თუ მოთხოვნისადმი, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას ან იხდიან საზოგადოებრივ ვალს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, ანდა სხვა მსგავსი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ან ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა, რაც ჩადენილია ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, იწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ოცდაათ დღემდე ვადით.

აღნიშნული სამართალდარღვევების საქმეთა ოქმებს ადგენენ საამისოდ უფლებამოსილი შინაგან საქმეთა ორგანოების ან ცალკეული ადგილის კომენდატურის მუშაკები.

საქმეებს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ სამი დღის ვადაში ერთპიროვნულად განიხილავენ სახალხო მოსამართლე ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, ან მისი მოადგილეები, ანდა ცალკეული ადგილის კომენდანტი.

მუხლი 10. საგანგებო წესების პირობებში აკრძალული გაფიცვის ხელმძღვანელობა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ორ წლამდე ვადის გამასწორებელი სამუშაოებით, ანდა სამ წლამდე ვადის თავისუფლების აღკვეთით.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ქარების ნაწილები, რომლებიც ზღომძღვანელობენ ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 12. საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების მოქმედების კოორდინაციის, ზღომძღვანელობისა და თანამო-

ქმედების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით შეიძლება შეიქმნას ერთობლივი ოპერატიული შტაბი და დანიშნოს შესაბამისი ადგილის კომენდანტი.

კომენდანტი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ კანონის ფარგლებში საგანგებო წესების რეჟიმის ხელშეწყობის საკითხებს.

მუხლი 13. საგანგებო წესების გამოცხადებისას, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება მოზიდულ იქნენ სპეციალისტები ორ თვემდე ვადით, რომელთა დახმარება საჭიროა სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტიების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ენიჭება უფლება საგანგებო წესების პირობებში შეცვალოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობა.

მუხლი 15. საგანგებო ვითარების დროს ან მისი თავიდან აცილებისა თუ ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით, დაზარალებულ მოქალაქეებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები აძლევენ საცხოვრებელ სადგომს, უნაზღაურებენ მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარებიან სამუშაოზე მოწყობაში და უწყვენ სხვაგვარ დახმარებას.

ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 16. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან განხორციელებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია შემოიღოს დროებითი მმართველობა.

ამასთან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება შეჩერდება, ხოლო მათი ფუნქციების განხორციელება დაეკისრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს, რომლებსაც უფლება აქვთ:

გამოიყენონ ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი; შეაჩერონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება და დროებით შეასრულონ მათი ფუნქციები;

შეიტანონ წინადადებანი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;

დაიქვემდებარონ შესაბამის ადგილას განლაგებული ყოველგვარი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 17. საგანგებო წესების გამოცხადებას და გაუქმებას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 18. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი



საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

1. კონსტიტუციის მე-9 თავი ამოღებულ იქნეს.

2. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი სიტყვები:

ა) 71-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“;

ბ) 72-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან და 119-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

გ) 85-ე მუხლიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

დ) 104-ე მუხლის მე-11 პუნქტიდან: „ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას“;

ე) 104-ე მუხლის 26-ე პუნქტიდან: „აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ი) 125-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 141-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, და 111-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ზ) 112-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე“;

თ) 119-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან: „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები“;

ი) 125-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 141-ე მუხლის პირველი ნაწილიდან 153-ე მუხლიდან და 171-ე მუხლიდან „ავტონომიური ოლქის“;

კ) 128-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „აგრეთვე გააუქმოს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს“.

ლ) 137-ე მუხლიდან: „ავტონომიურ ოლქში“;

მ) 150-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“;

ნ) 163-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო“;

ო) 164-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ და „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“.

პ) 177-ე მუხლის პირველი ნაწილიდან: „და ავტონომიური ოლქის“ და „და ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“.

3. კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილს სიტყვა „ასპინძის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „აბაღორის“. სიტყვა „ზესტაფონის“ შემდეგ სიტყვა „ზნაურის“. სიტყვა „ცაგერის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალის“. სიტყვა „ოჩის“ შემდეგ სიტყვა „ჯავის“. სიტყვა „ქუთაისის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალი“.

4. კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „ავტონომიური ოლქების გაუქმება“.

5. კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აქვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაშსახურდია.
თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას“.

2. კონსტიტუციის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ნებისმიერი საკითხის გამო ქმნის დროებით კომისიებს“.


3. კონსტიტუციის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეებს, რაიონების, ქალაქების, ბუნების დაცვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილების ზედამხედველ პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“.

4. კონსტიტუციის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული, ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიშების გასწვრივ ჩაწიული აქვს შვიდი შეუარშაინი თეთრი ბოლნური ყვარი, როგორც ყვრების, ასევე ვარსკვლავის კიბეების შიდა ელემენტი ქართული წითელი ფერისაა (შინდასტერი)“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაშსახურდია.
თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.



„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“

უურნალის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ პროფესორ გ. ტყეშელიაძის წერილში იურიდიული კადრების აღზრდა-მომზადების საკირობოროტო საკითხია წამოჭრილი და სადისკუსიოდ გამოტანილი. სავსებით მართებულად და დროულად მიმაჩნია რედაქციის გადაწყვეტილებაც, რომ ამ საკითხის ირგვლივ გაშალოს ფართო დისკუსია.

იურიდიული კადრების ჯეროვან დონეზე აღზრდა-მომზადებას, ცხადია, ყოველ სახელმწიფოში და ყოველ დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამჟამადაც. მით უმეტეს უნდა ითქვას ეს დღევანდელ საქართველოზე, რომელიც უკვე დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას, რაც თავისთავად მოითხოვს ღრმად განათლებულ იურისტებს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია, რომ როცა საქართველოში იურისტთა კადრებზე ვლაპარაკობთ, ორი რამ გვაწუხებს: 1. პროფესიონალ იურისტთა სიმრავლე და 2. მათი დაბალი პროფესიული განათლება.

როცა იურისტთა კადრების მომზადებაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საკითხი არ შეიძლება სხვა დარგის პროფესიული კადრების მომზადებისაგან იზოლირებულად განვიხილოთ. ერთი სიტყვით, იგი ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ხოლო უმაღლესი განათლების სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირში და, მაშასადამე, საქართველოშიც დიდი ხანია მოქმედებს, აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოვლენა და განკურნება გადაუდებლად აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ამ სისტემის ანტიდემოკრატიული ხასიათი, რაც არ იძლევა საშუალებას მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისა, რაც მთავარია, ეს სისტემა ხელს უშლის ახალგაზრდის პროფესიულ ორიენტაციას, რაზედაც ასე ბევრი და სრულიად ამაო ლაპარაკია ხოლმე ჩვენში.

ანტიდემოკრატიულობა ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემისა იმით გამოიხატება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ტრადიციულად ძალზე ძნელია მისაღები გამოცდების ჩაბარება, ხოლო ჩარიცხვის შემდეგ ძალიან ადვილია სწავლა. სტუდენტის გარიცხვა უმაღლესი სასწავლებლიდან თითქმის არ ხდება. ლექტორი უძლურია სუსტი სტუდენტის მიმართ. სტუდენტმა ეს კარგად იცის, ამიტომ იგი არ ცდილობს ცოდნის შეძენას, მოდუნებულია ლექტორიც, რომელმაც იცის, რომ მომთხოვნელობით სტუდენტს ვერაფერს დააკლებს, ცდილობს როგორმე სამიანი მაინც დაუწეროს. რათა დიპლომი არ დააკარგინოს. ახალგაზრდა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ძალზე იშვიათად შედის ცოდნის შესაძენად, ის უმეტეს შემთხვევაში დიპლომის ასაღებად ცდილობს უმაღლესში მოხვედრას.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ განათლების ასეთი სისტემა ოცდაათიანი წლებიდან დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში თვითონ სახელმწიფოს ფარული თუ აშკარა ხელშეწყობით. ოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებული საბჭოთა სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობდა თავიდან მოეცილ-

ბინა ევროპულად განათლებული ლექტორი. თუ ვინმეს საზღვარგარეთ ჰქონდა განათლება მიღებული და ჭკუა მოეთხოვებოდა, ოცდაათიანი წლების რეპრესიების დროს ერთიანად ვაქციდნენ ან ციმბირში უკრეს თავი ბურჯუაზიის მომხრის და ხალხის შტრის იარაღებიწებებულბინ. ასევე დევნიდნენ ნიჭიერ სტუდენტობას. სოლო ყოველწიარად უწყობდნენ სულ ღნიჭი და ვ. თ. ნათლებელ ახალგაზრდაებს, რათა მათ ნიჭიერთა ადგილი დაეკავებინათ. მაგალითად, ოცდაათიანი წლების დამდეგს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც მაშინ საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტი ერქვა, ჩაურიცხავთ ერთი სტუდენტი, რომელიც დაბალი ფენიდან იყო და მას ყოველწიარად უწყობდნენ ხელს, ასპირანტურაშიც ჩააბარებინეს და ხელმძღვანელად ცნობილი მეცნიერი გ. ნანეიშვილიც კი დაუნიშნეს. ეს სტუდენტი იმდენად დაბალი დონის ყოფილა, რომ „საბჭოთა აღმშენებლობის ინსტიტუტი“ სამშენებლო ფაკულტეტად მიუჩნევია. მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მიმხვდარა, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე შესულა. ეს მოვლენა შემთხვევითი არ ყოფილა. ნიჭიერი ხალხის განადგურებას და უნიჭოების წინ წამოწევას საბჭოთა სახელმწიფოს სპეცსამსახურები საიდუმლო ინსტრუქციებით უწყობდნენ ხელს და ამკვიდრებდნენ.

წარსულის ინერცია ჯერ-ჯერობით ასე თუ ისე კვლავ გრძელდება. უმაღლეს სასწავლებელს, კერძოდ კი, იურიდიულ ფაკულტეტს კვლავ აწყდება ათასობით ახალგაზრდა, რომელთა უდიდეს უმრავლესობას მხოლოდ დიპლომი აინტერესებს, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ ინსტრუქციაშია ნათქვამი. ამ ინსტრუქციის, საწინააღმდეგოდ ჩვენ ყოველწიარად უნა შევეცადოთ, რათა გზა გადავუკეტოთ და საშუალება არ მივცეთ იოლი გზით ფონს გამსვლელებს.

ამისათვის, ვფიქრობ, საჭირო იქნება სტუდენტთა მიმართ ნეტი მომთხოვნელობა და სწავლების დონის ამაღლება. ჩემი აზრით, როგორც სხვაგან, ისე იურიდიულ ფაკულტეტზეც აბიტურიენტთა მოზღვაება გამოწვეულია სწავლების დაბალი დონით და ნაკლები მომთხოვნელობით. როცა უმრავლესობისათვის ნათელი ვახდება იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების სირთულე, რასაც მან შეიძლება ვერ გაუძლოს და დიპლომიც საბოლოოდ ვერ აიღოს, მაშინ აბიტურიენტი შეეცდება სხვა გზა მონახოს ცხოვრებაში. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ოციანი წლების ერთი მაგალითი: ჩვენი იურიდიული ფაკულტეტის პრაქტიკიდან:

ერთი ემიგრანტი ქართველი ამას წინათ რომელიღაც ქართულ ვაზეთში იგონებდა თავისი ახალგაზრდობის წლებს. მას ოციანი წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უსწავლია. სემესტრული მუშაობის დროს თავი მაინცდამაინც კარგად ვერ გამოუჩენია. პროფესორ ლ. ანდრონიკაშვილს ამის გამო პირდაპირ უთქვამს, რომ მისგან იურისტი არ დადგებოდა და სხვა ფაკულტეტზე გადასვლა მოუთხოვია, რათა მოეძებნა საკუთარი გზა ცხოვრებაში. ამ სწორი პრაქტიკის განხორციელება ამჟამად შეუძლებელია. სტუდენტი რომ შემოვა ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა უნარი იურისპუდენციის შესწავლისა, მან აუცილებლად უნდა აიღოს დიპლომი. სხვა ფაკულტეტზე გადასვლა შეუძლებელია, რაც, როგორც ზემოთ ვთქვი, ხელს უშლის ახალგაზრდის პროფესიულ ორიენტაციას. ამა თუ იმ ფაკულტეტზე შესვლა დოვბა კი არ უნდა იყოს ახალგაზრდისათვის, მას უნდა ჰქონდეს მანერირების საშუალება და ფაკულტეტის შერჩევის თა-

ვისუფალი შესაძლებლობა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შემდეგაც საკუთრებით აუცილებელია დღეისათვის ნიჭიერი და ენის მკოდნე ახალგაზრდობის საზღვარგარეთ გაგზავნა, რათა ჩვენი იურიდიული განათლებას დონე მსოფლიო სტანდარტებს გაუსწორდეს. აქ უკვე თავისთავად იტყვიან, რომ პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი ზნეობა და ღრმა განსწავლულობაც.

რაც ვორც ზენათ ვთქვით, საზოგადოებას აწუხებს „პროფესორულ იურიისტთა სიმრავლე“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ გვაწუხებს ამჟამად გაუნათლებელ იურიისტთა კადრების მოზღვაება, მაგრამ სამაგიეროდ, განვიცდით განათლებულ იურიისტთა კადრების ნაკლებობას, მის დეფიციტს, საზოგადოებას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას აპირებს, ბევრი კარგი და განათლებული იურიისტი სჭირდება. ჩვენ, სამწუხაროდ, კარგა ხანია, მიგვაჩვიეს, რომ იურიისტის ადგილი მხოლოდ სასამართლოსა და პროკურატურაშია, თუმცა ადრე არაიურიისტებს ამ დაწესებულებებშიც დიდი გასავალი ჰქონდათ. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი შეიძლება ვნახოთ აგრეთვე სხვა დაწესებულებებში ყოვლად უუფლებო იურიისკონსულტის სახით. ეს არის და ეს, სამაგიეროდ მილიციის ორგანოებში ხელისუფლებისა თუ მმართველობის დაწესებულებებში და ა. შ., სადაც იურიდიული განათლება აუცილებელია, ჩვენ ვხედავთ აგრონომებს, ინჟინრებს, პედაგოგებს, ვეტერინარებს, სპორტსმენებს და სხვ. მაგალითად, დანიშნავენ მილიციის უფროსად აგრონომს, რომელიც შემდეგ ამთავრებს იურიდიულ ფაკულტეტს დაუსწრებლად. წარმოიდგინეთ, რა განათლებას მიიღებს ასეთი მუშაკი, ის ამით მხოლოდ დიპლომს მოიპოვებს, რათა ფორმალურად გაამართლოს თავისი არსებობა ამ თანამდებობაზე, საკითხავია, თუკი დიპლომიანი იურიისტი საჭირო იყო მილიციის ორგანოში, მაშინ თავიდანვე მიეღოთ იურიისტი, ვფიქრობთ. ეს მანკიერი პრაქტიკა უნდა შეიცვალოს. იურიისტმა უნდა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი, ხოლო იურიდიულ ფაკულტეტზე დაუსწრებელი განყოფილება საბოლოოდ გაუქმდეს.

მინდა ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ მტკიცეულ საკითხზე. ამ ბოლო დროს საქართველოს ქალაქებში სოკოებივით მომრავლდნენ ახალი უნივერსიტეტები (სოხუმი, ქუთაისი, ბათუმი). უკვე გაისმის ხმები, რომ ამ უნივერსიტეტებში უნდა გაიხსნას იურიდიული ფაკულტეტები. წარმოიდგინეთ, რა მოჰყვება ამას. აქამდე ერთი ფაკულტეტი გვქონდა თბილისის უნივერსიტეტში და მისი დაკომპლექტებაც კი ქირდა პროფესორ-მასწავლებლებით. გავიხსენოთ, როგორ გაგვიკირდა სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისათვის შესაფერისი კადრების მოძებნა. ზოგიერთი ლექტორი თბილისიდან ჩადის დროდადრო იქ ლექციების წასაკითხად.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუკი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, უკირს ზარისხიანი კადრების გამოშვება, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენებულ უნივერსიტეტებზე. ყოველივე ეს დიდ პრობლემებს უქმნის საქართველოს განათლების სისტემას, რომელიც, როგორც ვთქვით, ძირფესვიან რეფორმას მოითხოვს. მაგრამ ნუ დაგვაფიწყდება, რომ ეს რეფორმა ძალიან ძვირი დაჯდება, რაც დღევანდელი საქართველოსათვის დიდ ფინანსურ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

ოთარ გავაძლიძა

აღმასრულებელი კანონმდებელი

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ნორმა დაზუსტებას საჭიროებს*

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნორმა მუხლი შეიცავს ზოგიერთ უზუსტობასა და შეცდომას. ახალ კოდექსში იგივე რომ არ განმეორდეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება მიექცეს შემდეგს:

1. აღნიშნული კოდექსის მე-80 მუხლი შესაძლებლად მიიჩნევა, რომ მომკვლევმა პირმა, გამოძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ, ამავე მუხლში მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს აღკვეთის ერთ-ერთი ღონისძიება. კანონის ასეთი მითითება მოითხოვს იმ ღონისძიებათა ნუსხას, რომელთა გამოყენების უფლებაც ეძლევათ ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს.

აღნიშნულ მუხლში მართლაც არის ღონისძიებათა ჩამონათვალი. მაგრამ იგი სრული და ამომწურავი უნდა იყოს.

აღკვეთის ღონისძიებათა სახით აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია: ვადვლელობის ბელწერილი, პირადი ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა, დაპატიმრება. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ გათვალისწინებულია აგრეთვე იმ სამხედრო ნაწილის სარდლობის მეთვალყურეობა, რომელშიც მსახურობს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული სამხედრო მოსამსახურე. განსაკუთრებულ შემთხვევებში კოდექსი აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესაძლებლობას უშვებს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის მიმართაც.

ამავე კოდექსის 81¹ მუხლი მიუთითებს, რომ „დაკავება და დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არასრულწლოვანის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში...“ და კონკრეტულად ჩამოთვლილია შემთხვევები, რომელთა არსებობა არასრულწლოვანის მიმართ აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენების საფუძველია.

მე-80 მუხლით გათვალისწინებულ აღკვეთის ღონისძიებათა ჩამონათვალში დაკავება არ არის მოცემული. ე. ი. 81¹ მუხლით კიდევ ერთი აღკვეთის ღონისძიებაა შეტანილი კოდექსში. თუ ასეთი აღკვეთის ღონისძიება საჭიროა, იგი საპროცესო კოდექსში რეგლამენტირებული უნდა იყოს ისე, როგორც აღკვეთის სხვა ღონისძიებები (საქართველოს სსსკ 84-88-89-ე მუხლები), ზოლო დაკავება, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, უნდა იქნეს შეტანილი მე-80 მუხლით დაწესებულ ღონისძიებათა ჩამონათვალში. თუ აღ-

* ავტორის მოსაზრებები რედაქციას სადავოდ მი.ჩნია.

კვეთის ღონისძიების ეს სახე საჭირო არ არის. იგი ამოღებული უნდა იქნეს ამ კოდექსის 81¹ მუხლიდან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაკავება ალკვეთის ღონისძიებაა არასრულწლოვანის მიმართ, მაშინ არასრულწლოვანი არ შეიძლება დაკავებული იქნეს საქართველოს სსსკ 121-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილის დაკავება, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და თვით დაკავების შესრულების წესი სსსკ-ის 121, 122, 122¹ და 132-ე მუხლებით რეგლამენტირებულია. მაგრამ ამ მუხლებიდან და საპროცესო კოდექსში მათი ადგილებიდან (მე-10 და მე-12 თავები) გამომდინარე, 121-ე მუხლით გათვალისწინებული და ამავე კოდექსის 122-ე, 122¹ მუხლების შესაბამისად შესრულებული დაკავება, ალკვეთის ღონისძიებას არ მიეკუთვნება. ეს რომ ალკვეთის ღონისძიებას მიეკუთვნებოდეს, მისი სისრულეში მოყვანა, როგორც საპროცესო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, უნდა ხდებოდეს დადგენილების საფუძველზე. იგი უნდა იყოს გათვალისწინებული კოდექსის მე-7 თავში, რომელიც აწესრიგებს ალკვეთის ღონისძიებათა გამოყენების წესს და განსაზღვრავს მის სახეებს. გარდა ამისა, თუ დაკავება ალკვეთის ღონისძიებად იქნება მიჩნეული, იგი, როგორც გამოწვევის, არ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ, თუ დაკავება ალკვეთის ღონისძიებად იქნება გამოყენებული არასრულწლოვანთა მიმართ, მაშინ ის იგივე ღონისძიებად უნდა ჩითვალოს სრულწლოვანთა მიმართაც. მაგრამ, ამასაც საკანონმდებლო მოწესრიგება სჭირდება. ე. ი. ის ჯერ მე-80 მუხლში უნდა შევიდეს ისევე, როგორც სხვა ალკვეთის ღონისძიებანი.

2. კოდექსის 93-ე მუხლს არასრულწლოვანთა მიმართ კიდევ ერთი ალკვეთის ღონისძიება შემოაქვს. ეს არის არასრულწლოვანების გადაცემა მშობლებისათვის, მეურვეებისა და მზრუნველებისათვის სამეთვალყურეოდ ან სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ამ ორგანიზაციების ადმინისტრაციათა ზედამხედველობის ქვეშ. მართალია, აქ მითითებულია არასრულწლოვანის სამეთვალყურეოდ და ზედამხედველობის ქვეშ გადაცემაზე, მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილში ეს ცნებები გაიგივებულია და აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლით კიდევ ერთი ახალი ალკვეთის ღონისძიებაა შემოღებული. ჩემი აზრით, აღნიშნული ღონისძიება უნდა შევიდეს მე-80 მუხლში.

3. კოდექსის მე-7 თავში, რომელიც აწესრიგებს ალკვეთის ღონისძიებათა გამოყენების საკითხებს, დაზუსტება სჭირდება სხვა მუხლებსაც. მაგალითად, ამავე კოდექსის 85-ე მუხლის (პირადი თავდებობა) მეორე ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „პირადი თავდებობის ხელწერილის ჩამორთმევის დროს თავდები გაფრთხილებული უნდა იქნეს ექვმიტანილის ან პრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების ხასიათის და თავდების პასუხისმგებლობის შესახებ ამ კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში“. თავდების გაფრთხილება ბრალდების ხასიათის შესახებ არც შეიძლება და არც არის საჭირო. თავდებს უნდა განემარტოს ბრალდების ხასიათი, ეცნობოს საქმის შინაარსი იმ პირის მიმართ, რომელსაც იგი თავდებქვეშ იყვანს. ან გამოეცხადოს მას ბრალდების ტექსტი. ან გაეცნოს იგი დანაშაულის შინაარსს, რომლის ჩადენაშიც ექვმიტანილია ან ბრალი ედება პირს, რომლის სათანადო ქცევისა და შესაბამის ორგანოებში გამოცხადების

უზრუნველყოფაზე თავდები ღებულობს ვალდებულებას სათანადო ხელწერილით.

თავდები უნდა იქნეს გაფრთხილებული მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ხელწერილით გათვალისწინებული პირობები დაირღვა, მაგალითად, ექვმიტანილი ან ბრალდებული გამოძახების მიუხედავად არ გამოცხადდება შესაბამის ორგანოებში, მიიმალება, ხელს შეშლის გამოძიებას და სხვ.

აღნიშნული უზუსტობისაგან 85-ე მუხლის მეორე ნაწილის განთავისუფლება რომ საჭიროა, ჩვენი აზრით, სადაო არ უნდა იყოს. მაგრამ, აქვე კიდევ არის უფრო მნიშვნელოვანი უზუსტობა, რომელიც ეწინააღმდეგება კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტს.

ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად ისევ მოგვიხდება 85-ე მუხლის მეორე ნაწილის ნაწილობრივ ხელმეორედ ციტირება: „...თავდები გაფრთხილებული უნდა იქნეს ექვმიტანილის ან ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების ხასიათის და თავდების პასუხისმგებლობის შესახებ...“ კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტში ნათქვამია, რომ „ბრალდებული ნიშნავს პირს, რომლის მიმართ ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოტანილია დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბრალდებულის სახით“. აშკარაა, რომ კანონმდებელი ბრალდებულად მიიჩნევს პირს, რომლის მიმართ კანონით გათვალისწინებული წესით გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ დადგენილება არ იქნება გამოტანილი და სათანადოდ გაფორმებული, როგორც ამას კანონი მოითხოვს, მისი წარდგენა არ შეიძლება. კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდების წაყენებას დადგენილების გამოტანის მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ პირი უფრო ადრე ხდება ბრალდებული, ვიდრე მას ბრალდებას წაუყენებს ამის უფლების მქონე თანამდებობის პირი.

ბრალდებაწაყენებული ექვმიტანილის არსებობას, რომელზეც მიუთითებს 85-ე მუხლის მეორე ნაწილი, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტი გამორიცხავს. გარდა ამისა, არა მარტო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არამედ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლები და არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ცნობს ბრალდებაწაყენებულ ექვმიტანილს. ასეთი პირი სსრ კავშირისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ბრალდებულად ითვლება. ამასვე ადასტურებს საქართველოს სსსკ 25-ე მუხლის მე-7 პუნქტი, მაშასადამე, საქართველოს სსსკ 85-ე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია სისხლის სამართლის პროცესუალური გაგებით არარსებულ პირზე. ეს შეიძლება არ იწვევდეს დიდ უარყოფით სამართლებრივ შედეგს, მაგრამ სადაო არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სამართლებრივად ასეთი უსუსური და ლოგიკურად გაუმართავი ნორმა საპროცესო კოდექსს არ შეშვენივს.

საჭიროა 85-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს სხვაგვარად, კერძოდ, შემდეგი რედაქციით:

— პირადი თავდებობის ხელწერილის ჩამორთმევის დროს თავდებს უნდა განემარტოს იმ დანაშაულის ხასიათი, რომლის ჩადენაშიც ექვმიტანილია

ან ბრალი ედება თავდებქვეშ მის მიერ ასაყვან პირს. ამავე დროს, თავდებქვეშ უნდა გაფორმდეს მის პირად პასუხისმგებლობაზე ამავე კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. მინდა შევეხებოთ 89-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირების საკითხსაც. აღნიშნული მუხლის ეს ნაწილი საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 5 იანვრის ბრძანებულებით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას შესახებ“ ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის გამოძიების დროს არ შეიძლება გაგრძელდეს ორ თვეზე მეტი. ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს რაიონის, ქალაქის პროკურორმა, არმიის, ფლოტის, შენაერთის, გარნიზონის სამხედრო პროკურორმა, და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში და აღკვეთის ღონისძიების შეცვლისათვის საფუძვლის არარსებობისას — სამ თვემდე. საქმის განსაკუთრებული სირთულის გამო ვადის შემდგომი გაგრძელება შეიძლება განაზოციელოს ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორმა, ქ. თბილისის პროკურორმა, ავტონომიური ოლქის პროკურორმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საჩეობის, ოლქის, ჯარების ჯგუფის, ფლოტის სამხედრო პროკურორმა და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა — ექვს თვემდე, ხოლო საქართველოს სსრ პროკურორმა და მოთავაშმა სამხედრო პროკურორმა — ცხრა თვემდე დღიდან დაპატიმრებისა“. როგორც ტექსტიდან ჩანს, პატიმრობის ვადა საქმის გამოძიების დროს არ შეიძლება გაგრძელდეს ორ თვეზე მეტს. ეს ამ მუხლის ზოგადი დებულებაა, რადგან კანონმა ასე დააწესა და პირდაპირ მიუთითა, რომ ეს ვადა არ შეიძლება გაგრძელდეს ორ თვეზე მეტს. კანონი თუ კანონია, ამ ვადის გაგრძელება მართლა არ უნდა შეიძლებოდეს ორ თვეზე მეტს. ყველა საქმე უნდა იქნეს გამოძიებული ორი თვის ვადაში დაპატიმრების დღიდან და არავის ამ ვადის გაგრძელების უფლება არ უნდა ჰქონდეს, ან ბრალდებული უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან. შეიცვალოს პატიმრობა აღკვეთის სხვა ღონისძიებით და გაგრძელდეს გამოძიება. თუ კანონი უშვებს ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, მაშინ მისი ზემოთ აღნიშნული მითითება, პატიმრობის ვადის ორი თვით შეზღუდვის შესახებ, კარგავს თავის ძალასა და შინაარსს. კანონში ყველა წინადადებას სავალდებულო ძალა აქვს. თუ რომელიმე წინადადებას ასეთი ძალა არა აქვს, ის არ უნდა იყოს კანონში. ხოლო კანონში წინადადებებს შორის წინააღმდეგობა ამ კანონის არარსებობაზე უარესია. ახლა შევადაროთ აღნიშნული მუხლის პირველი წინადადება მეორეს. პირველი წინადადება კატეგორიულად კრძალავს ბრალდებულის დაპატიმრების ვადის ორ თვეზე ზევით გაგრძელებას, ხოლო მეორე — სხვადასხვა დონის პროკურორებს ამ ვადის გაგრძელების უფლებას აძლევს. წინააღმდეგობა ერთი მუხლის ერთი ნაწილის ორ. ერთიმეორის მომდევნო წინადადებებს შორის აშკარაა. მათი შედარების შედეგად ორი ერთნაირი მნიშვნელობის ლოგიკურ ალტერნატიულ დასკვნამდე მივდივართ: 1. შეიძლება ის, რაც არ შეიძლება, ან 2. რაც არ შეიძლება, შეუძლია პროკურორს. კანონიდან ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა არ უნდა არსებობდეს. ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ ხდება ასე?

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სა-

მართალწარმოების საფუძვლების 34-ე მუხლში. რომელსაც შეესაბამება ჩვენი სსსკ 89-ე მუხლი. სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 28 ნოემბერს ცვლილებები და დამატებები შეიტანა. ამასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს დაავალა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოიყვანოს ამ კანონთა შესაბამისობაში. ის უზუსტობა, რომელიც ორ ერთმეორის მომდევნო წინადადებებს შორის წინააღმდეგობას ქმნის. მოქმედი საფუძვლების 34-ე მუხლიდან ამ კანონში იქნა გადმოტანილი. ეს კი საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 5 იანვრის ბრძანებულებაში პირდაპირ გადმოქართულებულია და აქედან გადმოტანილია საქართველოს სსსკ 89-ე მუხლშიც. საჭირო და უცილობელი კი იყო მისი დახვეწა-ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, რომ კანონმდებლობის მოსალოდნელი განახლების დროს საქართველოს სსსკ 89-ე მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქმის გამოძიების დროს პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორ თვემდე ვადით“. შემდგომ ტექსტი შეიძლება გაგრძელდეს ისე, როგორც მუხლშია ჩამოყალიბებული. არ გამოვირიცხავთ სხვა ვარიანტსაც მაგალითად. შემოთავაზებული ცვლილებების მაგიერ გამოვიყენოთ შემდეგი წინადადება: „საქმის გამოძიების დროს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენება ორ თვემდე ვადით“. შემდეგ როგორც მუხლშია.

მიმაჩნია, რომ შემოთავაზებული ორივე წინადადება გამოხატავს კანონმდებლის აზრს, რომ პატიმრობის ვადად გამოძიების დროს, ყოველგვარი გაგრძელების გარეშე, დაწესებულია მაქსიმუმი ორი თვე, მინიმუმი კი — ნებისმიერი. თუნდაც, ვთქვათ, ერთი დღიდან ორ თვემდე. აქ პირდაპირ მითითებულია, რომ ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება, რითაც მოხსნილია მუხლში არსებული წინააღმდეგობა. ამდენად, საჭიროდ მიმაჩნია, რომ ამ სახით შეიცვალოს საქართველოს სსსკ 89-ე მუხლის პირველი ნაწილი.

5. კოდექსში არის სხვა, შეიძლება ითქვას. მექანიკური შეცდომებიც, რომელთა გასწორება აუცილებელია. მაგალითად, ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „როდესაც არსებობს ამ კოდექსის მე-5, მე-9 მუხლებში და მე-200 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტში აღნიშნული გარემოებანი, სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე შეწყვეტს საქმეს....“ სინამდვილეში კი, სსსკ მე-200 მუხლს „ბ“ პუნქტი არ გააჩნია. აქვს მხოლოდ პირველი და მეორე პუნქტები. ცხადია, იქმნება უხერხულობა. ამიტომ ან 233-ე მუხლში უნდა მივეუთითოთ მე-200 მუხლის მეორე ნაწილის მეორე პუნქტზე, ან მე-200 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები შეიცვალოს შესაბამისად „ა“ და „ბ“ პუნქტებით.

დანაშაულის ჩახიდივის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა

დღეისათვის დანაშაულებრივი რეციდივის ხვედრითი წონა ჩადენილ დანაშაულთა შორის მეტად დიდია. გასული ზუთი წლის მანძილზე (1984-1989 წ.) ნასამართლობის მქონეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა ორ მილიონამდე მიაღწია¹. ამდენად, სახეზე გვაქვს დანაშაულებრივი რეციდივის მატების ნათელი სურათი, რაც უდავოდ მოითხოვს ამ კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბრძოლის გაძლიერებას, ხოლო იურისტ მეცნიერთა მხრივ დანაშაულებრივი რეციდივის სწორ განსაზღვრას და მისი არსის თეორიულ ახსნას. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემულია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება, რაც საშუალებას იძლევა მიზანდასახულად წარიმართოს ბრძოლა ამ საშიში მოვლენის წინააღმდეგ, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივი, რომელზედაც ლაპარაკია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში, მხოლოდ ნაწილია დანაშაულებრივი რეციდივისა — თანაც უმნიშვნელო. აქვე გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემულია მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულებრივი შემადგენლობა, რომლებშიც მაკვალიფიცირებელ ნიშნად გვევლინება პირის წარსულში ნასამართლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის მე-4, 137-ე მუხლის მე-2, 169-ე მუხლის მე-2 და 234-ე მუხლის მე-2 ნაწილები). ასეთი კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედებათა რიცხვი დიდი არ არის და არჩევით ხასიათს ატარებს. გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ორგანული მთლიანობაც, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული უნდა იქნეს დანაშაულებრივი რეციდივის ზუსტი განსაზღვრა. ეს კი უდავოდ ხელს შეუწყობს ამ კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედებათა საზოგადოებრივად საშიში ხასიათის და თვით დამნაშავე პირის შეფასებას, საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად შევარჩიოთ სოციალური კონტროლის ღონისძიებანი დანაშაულებრივი რეციდივის აღკვეთისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით.

უკანასკნელ წლებში იურისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საკანონ-

¹ გასულ წელს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა: რეციდივისტების მიერ ჩადენილმა განზრახ მკვლელობათა რიცხვმა შეადგინა 1988 წელს 5,4 ათასი, ხოლო 1989 წელს — 5,6 ათასი. სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებამ 1988 წელს შეადგინა 10,3 ათასი, 1989 წელს — 11,4 ათასი. ეს შეფარდებითი მონაცემები უცვლელი რჩება დღეისათვისაც, ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების მიმართაც, როგორცაა: ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა, სახელმწიფო და საზოგადო ქონების ქურდობა. იხ. ვაზეთი „პრავდა“, 1990 წლის 17 აპრილის სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის ე. ბაკატინის პასუხები გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვებზე „В рамках закона“.

მკვებლო წესით უნდა განისაზღვროს რეციდივისტის ცნება, თუმცა კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ავტორთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ რეციდივისტად უნდა იქნეს ცნობილი წარსულში ნასამართლობის მქონე პირი, რომელმაც ჩაიდინა რომელიმე სახის ახალი დანაშაული და წინათ არსებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის სასჯელი მოხდილი აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ.

ამდენად, ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, რეციდივისტის გაგება არ უკავშირდება ბრალის კონკრეტულ ფორმას და ამას საფუძვლად უდევს არა სასჯელის შეფარდება, არამედ მისი აღსრულება, რაც, ჩემი აზრით, უგულებელყოფს მართლმსაჯულების აღმზრდელი-გამაფრთხილებელ მნიშვნელობას და რაც მთავარია, სახელმწიფოს სახელით სასამართლოს შემადგენლობის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შეფასებას.

ავტორთა მეორე ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ რეციდივისტად ცნობილი უნდა იქნეს წარსულში განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლები პირი, რომელსაც სასამართლომ ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის შეუფარდა თავისუფლებას აღკვეთა, რაც არ იქნება უფრო დაბალი სასჯელი ამ ქმედებისათვის გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციასთან შეფარდებით.

ჩემი აზრით, რეციდივისტად ცნობილი უნდა იქნეს განზრახი ბრალეული ქმედებისათვის ნასამართლები პირი, რომელმაც კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული.

ამ მოსაზრების საფუძვლიანობა, ვფიქრობ, გამომდინარეობს რეციდივისტის მომეტებული, საზოგადოებრივად საშიში ხასიათიდან, რადგან პირი, რომელიც ნასამართლებია განზრახი ბრალეული ქმედებისათვის, უგულებელყოფს საკანონმდებლო წესით დადგენილი ქცევის სავალდებულო ნორმას და კვლავ განზრახ სჩადის დანაშაულს. აღსანიშნავია, რომ ისეთი ნიშანი, როგორცაა ნასამართლობა, კანონმდებლის მიერ მიჩნეულია მაკვალიფიცირებელ გარემოებად მხოლოდ განზრახი ბრალეული ქმედების არსებობისას, რაც ჩვენი აზრით გამართლებულია, რადგან განსხვავებით განზრახი ბრალისაგან, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება იყოს განმეორებითი, მაგრამ ეს მაინც არ მიუთითებს პირის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშ ხასიათზე.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ რეციდივისტად შეიძლება ცნობილი იქნეს ახალი, განზრახი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი, რომელიც წარსულში ნასამართლები იყო განზრახი დანაშაულისათვის და ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირის რეციდივისტად ცნობის დროს მხედველობაში არ უნდა მიიღონ არასრულწლოვანობის დროს ჩადენილი დანაშაული.

რეციდივისტის ცნების საკანონმდებლო წესით განმტკიცება თვითმიზანი არ არის, მაგრამ მისი არსებობა საშუალებას მოგვცემს, გავაძლიეროთ ბრძოლა ამ კატეგორიის დანაშაულობისადმი. ამით შეიქმნება სოციალური კონტროლის ღონისძიებათა გატარების ეფექტიანი სისტემა რეციდივისტების აღრიცხვის საქმეში, რაც კარგ სამსახურს გაუწევს ამ საშიში მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

ივანე ჯავახიშვილი — საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების ფუძემდებელი

დავით აღმაშენებლის მსგავსად სახელოვანმა ქართველოლოგმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი სწავლულები მოიწვია თბილისში და ქართული უნივერსიტეტი დააარსა.

უძველეს დროში ჩამოყალიბებული ქართული იურიდიული მეცნიერების პრობლემების სისტემატური დამუშავება თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით იწყება. იურიდიული ფაკულტეტის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ჩამოყალიბებამ ფართო შესაძლებლობა შექმნა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სისტემატურ შესწავლას იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე საფუძველი ჩაუყარა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელმა ივანე ჯავახიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაველეთ ევროპაში გავრცელებული ტრადიციული ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკული გადამუშავებისა და მოწინავე მოაზროვნეთა ჰუმანიტურ-დემოკრატიულ შეხედულებებზე, რომლებიც, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, ობიექტურად ესიტყვებოდა რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილთა პროგრესულ ბრძოლას დიდი სოციალური გარდაქმნებისა და ჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის¹.

ამ პროგრესულ მსოფლმხედველობას ემყარება ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული და გამოყენებული მეცნიერული კვლევის ზოგადი და კერძო სპეციალური მეთოდები. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეცნიერული კვლევისას სწორად შერჩეული მეთოდი და მისი გამოყენება გვეხმარება ისტორიული მოვლენების შეცნობასა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრაში.

საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა ემყარება იმ თვალსაზრისს, რომ კაცობრიობა განიცდის სისტემატურ პროგრესს, საზოგადოება მუდამ აღმავალი გზით ვითარდება. საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა გაგებისას ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პოზიტივიზმმა, ივ. ჯავახიშვილი მეცნიერებას ეუფლებოდა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებოდა პოზიტივიზმის აყვავების პერიოდში. ამიტომ, ბუნებრივია, იგი ვერ

¹ მ. დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის აღრინდელი შემოქმედება, 1898-1912, თბ., 1984, გვ. 4; პ. რატანი, ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა, „მნათობი“, 1966, № 6.

А. Н. Сургуладзе, Социально-политические взгляды И. А. Джавахишвили, Тб., 1976, ст. 6

ასცა მის ზეგავლენას. მაგრამ XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამლევს აშკარა გახდა პოზიტივიზმის სუსტი მხარეები. ივ. ჯავახიშვილი იწყებს ისტორიის ფილოსოფიის ახლებურ გააზრებას, სახელდობრ, ისტორიულ მოვლენათა შესწავლისას მათი სოციალური ღირებულების წარმოჩენას, საზოგადოებრივი მოვლენების ახსნისას კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის დაკავშირებას და საქართველოს ისტორიის წყაროების საგულდაგულო შესწავლის საფუძველზე იგი უკვე 1904 წელს აკეთებს სახელმძღვანელო დასკვნას: „მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლიან დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიდაც წოდებრივი ბრძოლის მაგალითებით არის სავსე“².

ამრიგად, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, კერძოდ, საქართველოს და სომხეთის ისტორიასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოვლენების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის დაწყებამდე ივ. ჯავახიშვილს უკვე გააზრებული და დამუშავებული ჰქონდა ახალი მსოფლმხედველობრივი პრინციპები, რომლებიც გადმოცემულია 1902 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტში პრიატ-დოცენტის წოდების მოსაპოვებლად მის მიერ წაკითხულ შესავალ ლექციაში, რითაც მიიღო საქართველოს ისტორიის კურსის კითხვის უფლება. ამ ლექციაში ივ. ჯავახიშვილი სრულიად ახალ მსოფლმხედველობრივ პრინციპზე აგებს აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის პრობლემათა მეცნიერულ კვლევას, გვაძლევს ისტორიის ფილოსოფიის არსებული გაგების დამაჯერებელ კრიტიკას და მის საფუძველზე აყალიბებს ორიენტალისტიკაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული მეცნიერული კვლევა-ძიებისაგან განსხვავებულ ახალ მიმართულებას.

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, აღმოსავლეთის ქვეყნების, „განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლას დიდი ხანი არ არის, რაც შეუდგენენ მკვლევარნი; გასაკვირველიც არა არის რა, რომ აღმოსავლეთის ისტორიკოსებმა ჯერ-ჯერობით ვერ შეჰქმნეს განსაკუთრებული ახალი მიმართულება, ვერ შესცვალეს არსებითად ის თანამედროვე შეხედულება, რომელსაც ჩვენ დასავლეთის ისტორიის მკვლევარები გვთავაზობენ ხოლმე“. „ასეთ ვითარებაში. — მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, აღმოსავლეთის ქვეყნების მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად უნდა ვიხელმძღვანელოთ ისტორიის ფილოსოფიის ახლებური გააზრებით“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ისტორიის ფილოსოფია არის „მეცნიერების დარგი, რომელიც ევრეთწოდებულ საისტორიო კანონებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებასა და სხვა მრავალ ძირითად კითხვებს იკვლევს“³. მაგრამ ტრადიციული ისტორიის ფილოსოფიით ხელმძღვანელობა უშედეგო აღმოჩნდა აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისას და მის მიერ დადგენილი თვალსაზრისის მოთხოვნათა კვლევისას „იმედი უცრუვდება აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიკოსს“⁴. საქმე ისაა, რომ ისტორიის ფილოსოფია, როგორც მეცნიერების დარგი, მთლიანად ემყარება ევროპოცენტრიზმს, რომლის მიხედვით თანამედროვე ცივილიზაცია და მისი მიღწევები, რომლებიც განსაზღვრავენ ხალხთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს, იწყება ევროპიდან, სადაც უმთავრესად ინდოევროპელები ცხოვრობენ, ევროპოცენტრიზმის პოზიციაზე

² ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. ტფ. 1904. გვ. 15.

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 1. გვ. 38.

⁴ იქვე, გვ. 389.



მყოფი „ისტორიის ფილოსოფიის მკვლევარნი თავიანთ თხზულებებში საკლებს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ... ევროპის ხალხთა

ისტორიის კვლევით გატაცებული და გათამამებულნი ეს მეცნიერები ეჭვის თვალთ უცქერენ, ათვალწუნებული ჰყავთ აღმოსავლეთი... აღმოსავლეთის წარსულის შესწავლას მადლიდან დასცქერიან“⁵. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, კერძო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე და მეცნიერების ამოცანაა ამ ხარკების შევსება, ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ორიენტალისტიკას, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერებას, რომლის განვითარება ახლა იწყება. „არ ძალუძს გაიზიაროს დიდ არსებით შესწორება-დამატებათა გარეშე ის დებულებანი, რომელნიც წამოყენებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას, პირიქით, მის ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რომ მან აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შეისწავლოს ყოველგვარი წინდაწინვე აკვიტებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით უეჭველ მონაცემთა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით; მისი ამოცანაა გაარკვიოს იმ მიპოთეზათა სისწორე თუ მცდარობა, რაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიძნოს ახალ მონაცემთა ანკარა ნაკადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური განმასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსა და მისთანათა“⁶.

საყურადღებოა, რომ ორიენტალისტიკის მეცნიერებაში ევროპოცენტრისტული შეხედულებების დაძლევისათვის გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ივ. ჯავახიშვილი, რომლის გამოკვლევებმა აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში ხელი შეუწყო იმ წინააღმდეგობის აღმოფხვრას, რომელიც არსებობდა დასავლეთის (ევროპის) და აღმოსავლეთის (აზიის) ხალხების მატერიალური და სულიერი ცხოვრებისა და კულტურის თაობაზე მეცნიერებაში, დასავლეთის მეცნიერებას ევროპოცენტრიზმის დაძლევის შედეგად გაუთანაბრდა ორიენტალისტიკა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოკვლევულმა ქართველი ერის სამოქალაქო და პოლიტიკურ-სამართლებრივი ისტორიის მასალებმა, რომლებიც მის მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე წიგნად, ნათლად ცხადყო, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხების მატერიალური და სულიერი ცხოვრება არსებითად ერთნაირი თავისებურებებით ხასიათდება, რადგან ევროპოცენტრისტულ-რასისტული მოძღვრების საწინააღმდეგოდ, ადამიანი, განურჩევლად იმისა, თუ სად გაჩნდა და სად უხდება ცხოვრება, თავისი ბუნებით ერთნაირია. ამ დასკვნამდე ივ. ჯავახიშვილი მივიდა ადამიანისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილისა და როლის საგანგებოდ შესწავლის შედეგად, კერძოდ, მან ყურადღებით შეისწავლა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მოძღვრება ადამიანის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ შეუძლებელია სოციალური მეცნიერების პრობლემების არსში ვარკვევა ადამიანის ბუნების შესწავლის გარეშე: „ვისაც სურს ქართული საისტორიო მწერლობის მაღალხარისხოვანი განვითარება ნათლად წარმოიდგინოს, ის უნდა დააკვირდეს ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებას ადამიანის და კაცთა ნათესავის სულიერგონებრივ ბუნებასა და თავისებებზე. ეს შეხედულება ყოველთვის ერთგვარი

⁵ იქვე, გვ. 390.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 391-392.

არ ყოფილა, არამედ დროთა განმავლობაში განვითარებულა და გაღრმავებულია კიდევ“⁷.

საზოგადოების, სახელმწიფოს და სამართლის სოციალური ბუნებისა და შინაარსის გასაგებად აუცილებელია მისი უპირველესი და უმთავრესი სუბიექტის — ადამიანის არა მარტო სოციალური, არამედ ფიზიკური და სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევა და მათ შორის კავშირურთიერთობის დადგენა.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ყველა ზემოაღნიშნული ასპექტის შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი მიიღის იმ დასკვნამდე, რომ ყველა მოდემის ადამიანი (ინდოევროპული, სემიტური, მონღოლური) ერთნაირი ბუნებისაა, კერძოდ, ყველა მოდემის ადამიანისათვის დამახასიათებელია ერთნაირი ინტელექტუალური და ფიზიკური თავისებურებანი და განვითარების პოტენციური შესაძლებლობანი, მაგრამ მრავალი ფაქტორისა და გარემოების (გეოგრაფიული, კლიმატური და ა. შ.) ადამიანზე ზემოქმედების გამო მისთვის ბუნებით თანდაყოლილი ერთნაირი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი სხვადასხვანაირად ვლინდება. არსებითად კი ყველა ადამიანს ერთნაირი პოტენციური შესაძლებლობები აქვს და სწორედ ამის გამო ევროპოცენტრიზმი მიუღებელია, მისი ძირითადი პრინციპების მიხედვით ისტორიული მოვლენების შესწავლა სრულებითაც ვერ გვაძლევს წარმოდგენას მათ შესახებ.

იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის, როგორც სოციალური კავშირების (საზოგადოება, სახელმწიფო, სამართალი და ა. შ.) უმთავრესი სუბიექტის ფიზიკურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად ამ მხრივაც ყველა ადამიანი ერთნაირია. გაჩენიდანვე ყველა ადამიანისათვის ბუნებით დამახასიათებელია არსებობის ერთნაირ პირობები (ფიზიკური, ინტელექტუალური, სამართლებრივი და ა. შ.).

ამ პირობათაგან ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ინტერესს აქცევს ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობისადმი, რამდენადაც ადამიანთა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება მისი შემადგენელი ელემენტების, კერძოდ, ასაკის, ინტელექტის და ფიზიკური მომწიფებულობითაა განპირობებული, პირველყოვლისა ამ თავისებების ერთობლიობა თავის გამოხატულებას პოულობს სამართლის სუბიექტების უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაში.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ადამიანის შესახებ მოძღვრებით უძველესი პოლიტიკური კულტურის ქვეყანაში საქართველოში, როგორც ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წყაროები მოწმობენ, დიდად იყვნენ დაინტერესებული. ქართველი მოაზროვნეები გულმოდგინედ ამუშავებდნენ ადამიანის სულიერი ცხოვრების ძირითადი შემადგენელი ნაწილების ბუნების თეორიულ საკითხებს. როგორც ჩანს, ადამიანის უფლება-მოვალეობების და მათი პოლიტიკური გაერთიანების — სახელმწიფო საკითხები ქართველი სწავლული იურისტების სისტემატური ფიქრის საგანს შეადგენდა.

რეალურ საფუძვლებზე დამყარებული ადამიანთა შესახებ მოძღვრებიდან ივ. ჯავახიშვილის ყურადღებას იპყრობს ფიზიკური და ინტელექტუალური მდგომარეობის მიხედვით ადამიანის ბუნების ორ მთავარ ნაწილად და-

⁷ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლ., I, ძველი ქართული მწერლობა (V-XVIII სს.) 1946, გვ. 31.



ყოფა: „პირველს ნაწილს ყრმობა ეწოდებოდა. მეორეს ჰასაკს ეძახდნენ“⁸ ასაკოვნება („ჰასაკში მოსვლაი“) იწყებოდა სქესობრივი სიმწიფის მიღწევადან, მაგრამ ქალისაგან განსხვავებით „ვაეის ჰასაკი უფრო გვიან იწყებოდა, ეს თვით ბუნების კანონი არის“ და ამდენად, ვაეის და ქალის სქესობრივი სიმწიფის დაწყების პერიოდები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ქალის სქესობრივი სიმწიფის დასაწყისად მიჩნეული იყო მეცამეტე წელიწადი და სწორედ „ამგვარადვე განსაზღვრულია საკითხი ქალის ჰასაკის შესახებ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში. იქ ნათქვამია: „ქალი ათორმეტის წლისა ნუმცა შეყოფილარს ქორწინებით მეუღლისადა“.

სრულწლოვანება ორივე მხარისათვის. როგორც ქალის, ასევე ვაეის ქორწინებისათვის აუცილებელი პირობა იყო, მას განსაზღვრავდა საოჯახო-საქორწინო სამართალი. თუ ქალის საქორწინო ასაკი იწყებოდა თორმეტი წლიდან, სულ სხვანაირად წყდებოდა ვაეის საქორწინო ასაკის განსაზღვრის საკითხი. რადგან ვაეის „სქესობრივი სიმწიფე ქალისაზე უფრო გვიან იწყება ხოლმე“. ვაეის საქორწინო ასაკის განსაზღვრისათვის ყურადღება ექცეოდა ადამიანის შესახებ მოძღვრებაში სიცოცხლის პირველ ნაწილთან, კერძოდ, ყრმობასთან სიჭაბუკის მდგომარეობის დაკავშირებას. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით „თექვსმეტი წლის ვაეი ჭაბუკად ითვლებოდა. მათიანე ქართლისაის ავტორს გიორგი I-ის შესახებ ნათქვამი აქვს: „ის გამეფდა ეამსა ოდენსიყრმისა და სიჭაბუკის მისისა, რამეთუ იყო რაეამს მეფე იქმნა წლისა თექვსმეტისა“⁹.

წყაროების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ახდენს ადამიანის სიცოცხლის შემადგენელი ზემოაღნიშნული მთავარი ნაწილების კლასიფიკაციას და მიუთითებს, რომ ჰასაკიანი ადამიანის არსებობა მისი წლოვანების მიხედვით თუ შემდეგ სამ მდგომარეობად იყოფოდა: ჭაბუკი, შუა კაცი, ბერი. ჭაბუკი უნიშნავდა ადამიანის დავაყვაცების მდგომარეობას და ჰასაკისაგან იმით სხვავდებოდა, რომ ამ პერიოდში იგი მიღწეული არ იყო სქესობრივ სიმწიფეს, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნ იოანე მმარხველის თხზულებაში ნათქვამია „ჰასაკად არაი სიჭაბუკისა მოვიდეს“. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ 17-18 წლის ასაკამდე ადამიანი ჭაბუკად ითვლებოდა.

ასაკს ადამიანის ბუნების განსაზღვრისას, როგორც ჩანს, ძველ საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასაკთან იყო დაკავშირებული ადამიანის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შეფასება. ჩვეულებრივად, სრულასაკოვნება ანუ, როგორც ძველ საქართველოში ამბობდნენ „ჰასაკი სისრულისაი“ განსაზღვრავდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში პირის სამართალუნარიანობას (სამოქალაქო, პოლიტიკური, სამხედრო და ა. შ.). მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს „ეს სამი ცნება ერთმანეთს არ უდრიდა და არ ეთანასწორებოდა“. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიურობით განაპირობებდა სამართლებრივ უნარს ცალკეული ფიზიკური პირისა, რომლის მოქმედებას შეეძლო განსაზღვრული იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მხრივ იმას ჰქონდა ესა თუ ის პირი ფიზიკური

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956, გვ. 130.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, მოძღვრება ადამიანზე (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1955, გვ. 130).

და ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით რამდენად იყო მომწიფებული იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღო ნორმით მოწესრიგებულ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორც სამართლის სუბიექტს.

მართალია, ფიზიკური პირის სამართალსუბიექტობის პრობლემა ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. კერძოდ, დაუდგენელია ფიზიკური პირის სამართალსუბიექტობის განსაზღვრელი ნიშნები ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით (სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და ა. შ.). მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ძველ საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ სამართლის ქმედუნარიან სუბიექტად პირის აღიარებისათვის აუცილებელი იყო სრულწლოვანება. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებლობისათვის პირს უნდა დაეისრებოდა პასუხისმგებლობა, მაგრამ სამართლის ნორმის შეფარდებისას, კერძოდ, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამართალსუბიექტის ინტელექტუალურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ექვთიმე მთაწმინდელი საგანგებოდ უსვამს ხაზს იოანე მმარხველის თხზულების იმ ნაწილს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყოველი ცოდვაი, რომელი უწინარგს ლ (30) წლისა ჰასაკისა შემთხვეულ ვისდა იყოს, უსუბუქესად განიკანონების, რამეთუ ვიდრე ლ (30) წლამდე უმეცრობაი გონებისაი და მხურვალეობაი ხორცთაი დიდად მძლავრობს კაცსო“¹⁰. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ქართულად ნათარგმნი იოანე მმარხველის ნაშრომის ეს ადგილი დედანში სხვაგვარადაა და ამას გარდა, „არც ის ვიცით, მიღებული იყო ეს იოანე მმარხველის მოძღვრება ქართული სისხლის სამართლით თუ არა? მეტად საეჭვოა, რომ ოცდაათ წლამდე დამნაშავეს საქართველოში ამგვარი შეღავათი მისცემოდა“. მიუხედავად ამისა, საინტერესოა ის, რომ ძველ საქართველოში თავიდანვე ყურადღებას აქცევდნენ პირის გონებრივ და ფიზიკურ მდგომარეობას სამართლის ნორმის შეფარდების დროს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ეს გარემოება ვახტანგ მეექვსის კანონებიდანაც ჩანს: „ათს წლამდის, ყმაწვილის ნაქნარის საქმისა, რასაც ფერის ავის კაცის ნაქნარს, ავის საქმესთან არ ჩაიგდების იმიტომ, რომ „ყმაწვილობით და უჭკუობით უქნიაო“.

ფიზიკური პირის ზემოაღნიშნულ გარემოებებს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევისას, შეიძლება თუ არა ყველა სამართალუნარიანი პირი ყოფილიყო ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, კერძოდ, სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან წარმომდგარი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. ჩვენამდე მიღწეული წყაროები ცხადყოფენ, რომ უფლისწულს შეეძლო სამეფო ტახტი დაეკავებინა და სამეფო ხელისუფლება განუყოფლად გაეგრძელებინა ქვეშევრდომებზე ე. ი. მეფე გამხდარიყო, მაგრამ სრულსაკოვნობის მიუღწევლობამდე სახელმწიფოს სახელით წარმოებული საომარი ოპერაციების დაწყებისა და ხელმძღვანელობის უფლება მას არ ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ვახტანგ გორგასლისათვის სპასპეტს მოუხსენებია: ოსების შემოსევისაგან ბევრი მწუხარება გვინახავს ამ ხუთა წლის განმავლობაში, „რამეთუ ყრმა იყავ და არა ძალ-გედვა მხედრობა დაწყობათა წინამძღურობა და არც შინა მეფობისა განგება, აწ, მეფეო დაღაცათ სრულ ხარ სიბრძნისა, ძალითა და სიმზნითა და ასაკითა, არამედ გაკლს სის-

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, გვ. 132.

რულე დღეთა მხედრობისათვის, ხოლო ვხედავ სიბრძნესა შენსა. დალაკათუ
ყრმა ხარ, არამედ ძალ-გიც განგება მეფობისა, არამედ მხედრობისა და წყო-
ბისა წინამძღულობისა და განწყობისა შენისა არა არს ეამიო“.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ტერმინები „გონების ყურნი“ და „გონების თვალნი“ მეტად დამაფიქრებელია და ადამიანის სულიერი მოქმედების სა-
გულისხმო და მნიშვნელოვანი თვისების გამომხატველნი არიან. უეჭველია
ორივე ეს ტერმინი იმ დაკვირვებაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ადა-
მიანს გარეშე საგნისა და ბგერის თვალთა და ყურით აღქმის ნიჭის გარდა შე-
უძლია საგნების გამომხატულება და ბგერის ყლერა გარედან აღუქმელადაც.
აგრეთვე „გონებითად წარმოიდგინოს“ თითქმის ისეთივე სიცხადით, როგორც
სინამდვილეში.

ყველა არსებათა შორის ადამიანი უმაღლესი ბუნებისაა. ადამიანის საქ-
მიანობას განაგებს გონება ფარულად და უხილავად, მაგრამ „ადამიანს გონების
ხაყოფიერება, ნიჭი და ბრძნული სიდინჯე ჩვეულებრივ შუა ხანში და ხანში
შესულობისას ემჩნევა ხოლმე, როდესაც მას, როგორც გ. მერჩულე აღნიშნავს,
ის „კეთილი მოხუცებულობაი გონებისაი“ ამშვენებს. რომელიც სწორედ რომ
„არს გონებაი კაცისაი“. გონება არის თანდაყოლილი ადამიანის ბუნებისათვის.
ამიტომ სავსებით შესაძლებელია ადამიანი ხანშიშესულობის ასაკის გარდა
სიბრძნეს ახალგაზრდობის ასაკშიც იყოს დაუფლებული. მაგრამ ყოველთვის
სიბრძნის დაუფლების ერთად-ერთი გზა არის განათლება. სწავლა. ჯავახიშვი-
ლი მიუთითებს, რომ ძველ საქართველოში გავრცელებული იყო აზრი იმის
შესახებ, რომ ცოდნის შეძენა აუცილებელია დავიწყოთ ბავშვობიდანვე. ივ.
ჯავახიშვილი ემყარება გიორგი ხუცესმონაზონის მოსაზრებას, რომლის თანახ-
მად, ბავშვის ბუნება, რადგან „ლობილი და ჩვილია“, ყველაფერს ადვილად
ითვისებს, და „ვითარკა ცვილი საბეჭდავსა. ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა“.
ამიტომ რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრებამ, სწავლა-განათლების
თაობაზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტად აღიარა
8 წლის ბავშვი, რომელსაც თუ მას სათანადო განათლება ჰქონდა. „წიგ-
ნის მკითხველად დადგენის უფლება დართო და ეს გარემოება გვაფიქრებ-
ნებს, რომ ბავშვი ადრინდელ საქართველოში შესაძლებელი იყო უკვე 8 წლის
იმდენად განსწავლული ყოფილიყო, რომ სამღვდელმსახურო წიგნების
წევნებული კითხვა შეძლებოდა. რადგან ასეთი განსწავლულობისათვის საკ-
მაო წინასწარი მუშაობა იყო საჭირო, ამიტომ საფიქრებელია, რომ როცა მაშინ
ბავშვის სწავლება ჰსურდათ, სწავლას 5-6 წლისას იწყებდნენ ხოლმე“¹¹.

მართალია, ქართველმა მემკვიდრეებმა იცოდნენ, რომ ადამიანს ახასიათებს
მემკვიდრეობითი თანდაყოლილი თვისებები, მაგრამ მათი აზრით, ამ თანდა-
ყოლილი თვისებების შეცვლა-გასწორება შეიძლება სწავლა-განათლების
გზით. მემკვიდრეობითი აზრით, თანდაყოლილი თვისებები ხასიათის მიხედვით
შეიძლება იყოს კეთილი ან ბოროტი და მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძ-
ლია ადამიანში აღმოფხვრას ბოროტი თანდაყოლილი თვისებები. ეს ჰუმან-
ისტური მოსაზრება ქართული რენესანსის იდეოლოგიის ერთ-ერთი შემადგე-
ნელი ნაწილი იყო. ივ. ჯავახიშვილი წერს „ეს თანდაყოლილი საგვარეულო
მიდრეკილება და თვისებანი, რომელსაც თამარ მეფის ისტორიკოსი „თანამ-
თამოშავლობას“ ეძახის, კეთილი ან ბოროტი ზნის სახით ადამიანის ბუნებას
გარკვეულს მიმართულებას აძლევდა და აიძულებდა „მამა-პაპურ კულთა

¹¹ იქვე. გვ. 135.

სლვად¹². მაგრამ ქართველი მოაზროვნეები ყოველთვის იმ თვალსაზრისს ავითარებდნენ, რომ ამ თანდაყოლილი თვისებების მიუხედავად, ადამიანის აღზრდა და გამოსწორება შეიძლება ცოდნის, განათლების და სხვა ჰუმანისტური საშუალებებით. სასჯელის შეფარდების ჩათვლით, რომელსაც ქართული სამართლის ფილოსოფიის მიხედვით პიროვნების გამოსწორება და არა მისი ტანჯვა-წამება ჰქონდა მიზნად, ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ძველი ქართული ძეგლების მიხედვით, „თანაშთამომავლობის“ და თანდაყოლილი მიდრეკილების შეცვლა და გასწორება ხშირად ვერასგზით ვერ ხერხდებოდა იმიტომ, რომ ზოგიერთი „თანაშთამომავლობა“ არავითარ საშუალებას არ ემორჩილებოდა და ყოველგვარ საწინააღმდეგო აღმზრდელობისა და გამასწორებელს ღონისძიებაზე უძლიერესი იყო“.

მართლაც, დავით აღმაშენებელი რამდენჯერმე შეეცადა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, ძირძველი ფეოდალების აღმზრდელობითი ღონისძიებებით გამოსწორებას. მაგრამ ამაოდ, როცა იგი დარწმუნდა, რომ მათ „გუარისაგან მოაქუნდა გონებითა“ ბოროტი თანდაყოლილი თვისებები და ისინი სწავლა-აღზრდითა და შეგონებით არ გამოსწორდებოდნენ „ვითარცა კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. მოწინააღმდეგეები სამაგალითოდ დასაჯა.

ადამიანის ბუნების შესახებ ძველ საქართველოში ჩამოყალიბებული მოძღვრებები ნათლად გვიჩვენებს, რომ უძველესი დროიდანვე ქართველი მოაზროვნეები პიროვნების თვისებურებების განმსაზღვრელად მიიჩნევდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს, რომლის განვითარების დონე ადამიანს აძლევს თავისი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლინების საშუალებას. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით უფრო ნაკლებ საშუალებას აძლევდა თავისი პიროვნების ყველა თვისებურება გამოეჩინა, ვიდრე ახლა. თანამედროვე ცხოვრების პირობების გარდა, ყოველ ადამიანსა და წრეს თავისი ადგილები აქვს, რომელთა მიღწევაზეც ის ოცნებობს, ისევე ძველადაც იყო. ამიტომ უნდა მაშინდელი ცხოვრების ზოგადი თვისებები ვიცოდეთ და სოციალურ-ეტიკური იდეალებიც“.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ლაპარაკია ღვთისმორწმუნე, უბოროტო და კეთილი გონების გრიგოლ ხანძთელზე, ჟამთააღმწერელი კი ფხოველებზე ლაპარაკობს, როგორც „მხეცის ბუნების მქონე ადამიანებზე“. ხასიათის თვისებურებების გარდა, გამოჩენილი ადამიანებისაგან, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ და ხასიათდებოდნენ „სივრცითა გონებისათა“, განასხვავდნენ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. ეს შეიძლება ყოფილიყო „სოფლიონი საქმენი“ (სახელმწიფო საქმეები) და „საქმეი საკრებულოი“ (სამონასტრო და სხვა სამეურნეო საქმე). შრომითი საქმიანობის მიხედვით ცნობილი იყო „დიდი რაიმე საქმე“ და „საქმენი წურილნი“.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების წინამძღოლების, თავისი დროის გამოჩენილი მოაზროვნეების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსების, გიორგი ჭყონდიდელისა და ნიკოლოზ კათალიკოსის, ჩაბრუნებისა და იოანე შავთელის, იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის და სხვათა მიერ უძველესი კულტურის მქო-

¹² ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, გვ. 32.

ნე საქართველოს მატერიალური სულიერი ცხოვრების მრავალფეროვანი დონეების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მოძღვრება ადამიანზე, რომელიც წარმოადგენს ყველა სოციალური მოვლენის (საზოგადოება, სახელმწიფო, სამართალი და ა. შ.) უმთავრეს სუბიექტს. საუკუნეების განმავლობაში ადამიანისა და მასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების შესახებ შემუშავებულ მეცნიერულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა პირველყოვლისა დაძლია ტრადიციული ისტორიის ფილოსოფიაზე აღმოცენებული ევროპოცენტრიზმი და სხვა ანტიმეცნიერული შეხედულებანი და საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით შერჩეული მეთოდების მიხედვით (დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ისტორიულ-შედარებითი, ლინგვისტური, სოციოლოგიური და ა. შ.) შეუდგა საერთოდ ორიენტალისტიკის მეცნიერების, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესწავლას. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით შეუდგა სამეცნიერო მუშაობას ორიენტალისტიკაში. დაამუშავა ისტორიულ-იურიდიული ნაშრომი „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ძეგლების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა არსებითად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიას და მასთან დაკავშირებულ დარგებს მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, რომელსაც, როგორც მეცნიერებას, მან მისცა დასაბამი, მის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში შექმნა იურიდიული ფაკულტეტი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი და ტრადიციული სამართლებრივი მეცნიერების მიხედვით ნაყოფიერ პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას ეწეოდა, დაამუშავა ქართული სამართლის ისტორია მისი მთავარი დარგების — სახელმწიფო სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, კორპორაციული სამართლის და ქართული სასამართლო პროცესის მიხედვით და ქართული სამართლის ისტორიის კერძს კითხულობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. სამართლის მეცნიერებაში ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა ქართული სამართლის ისტორიის სამი ტომი.

ივანე ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ორიენტალისტიკისა და კერძოდ, ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარების საქმეში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიწყო აქტიური ბრძოლა ტრადიციული ისტორიის ფილოსოფიაზე დამყარებული ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ ორიენტალისტიკაში, დასაბამი მისცა ქართველოლოგიურ მეცნიერებებს, რომელთა მიღწევების საფუძველზე აღიზარდნენ სწავლულ მკვლევართა თაობები საქართველოს ისტორიასა და მასთან დაკავშირებული მეცნიერების დარგებში — ფილოლოგიაში, სამართალმცოდნეობასა და ა. შ.

თინათინ ლავარიაძე

ქორნიეზის შეწყვეტის ზოგიაართი საკროსასო საკითხი

სასამართლო სტატისტიკის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში წლითწლიობით მატულობს განქორწინების შემთხვევები. ამ მოვლენას მრავალი სოციალური მიზეზი აქვს, რომელთა კვლევა არ შეადგენს წინამდებარე სტატიის მიზანს. შევხებით განქორწინების სარჩელთა განხილვის ზოგიერთ საკითხს, რომელთა სწორად გადაწყვეტამ შესაძლოა სასიკეთოდ იმოქმედოს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და ხელი შეუწყოს კონფლიქტური დამოკიდებულებების მოგვარებას განქორწინების გარეშე. საქმე ისაა, რომ საპროცესო კანონმდებლობა, რომლითაც განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდნენ სასამართლოები, როდი იფარგლება მარტოოდენ საქმეთა წარმოების წესის დადგენით. ამასთან ერთად, იგი შეიცავს ოჯახების მთლიანობის შესანარჩუნებლად გამოწვეულ მეტად საგულისხმო დებულებებსაც, რომელთა ქეროვანი დაცვა უკველთვის არ ხდება სასამართლოების მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას განქორწინების საქმე. ეს დებულება ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვი მკვდარი დაიბადა ან ვერ მიაღწია ერთი წლის ასაკს. თუ განქორწინების საქმის განხილვაზე ცოლის თანხმობა არ არსებობს, მოსამართლე არ მიიღებს სასარჩელო განცხადებას, ხოლო თუ ის მიღებული იქნა, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად. 32-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირობების დროს ქალის მიერ აღძრული სარჩელის ან მამაკაცის მიერ ქალის თანხმობით აღძრული სარჩელის განხილვისას სასამართლომ გულდასმით უნდა შეამოწმოს, ქალის მიერ სარჩელის აღძვრა ან მისი თანხმობა ხომ არ იყო გამოწვეული მუქარით ან მძიმე ფსიქიკური მდგომარეობით.

განქორწინების განცხადებაში სხვა მონაცემებთან ერთად აღნიშნული უნდა იყოს მოტივები, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის ქოთხოვნებს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ აღნიშნულ გარემოებას. თუ სასარჩელო განცხადება წარდგენილია ამ პირობების დაუცველად, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება განცხადების უმოძრაოდ დატოვების შესახებ, რასაც აცნობებს მოსარჩელეს და განუხსაზღვრავს მას ვადას ზარვეზის შესავსებად. პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სასამართლოები არღვევენ კანონის ამ მოთხოვნას და გან-

სახილველად ღებულობენ ისეთ განცხადებებს, სადაც განქორწინების მოტივები ზე თითქმის არაფერია ნათქვამი. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლომ წარმოებაში მიიღო და განიხილა განქორწინების სარჩელი, სადაც მითითებულია: „რეგისტრირებულ ქორწინებაში გავტარდი 1979 წელს, ქორწინებაში შემეძინა ერთი შვილი. ერთად ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ მეუღლეს ხასიათებით ვერ ვეწყობი. გვაქვს ოჯახური უსიამოვნება, გთხოვთ გაგვაქორწინოთ“. ამგვარი სასარჩელო განცხადების მიღება წინასწარ განაპირობებს საქმის ზერეღე განხილვას და განქორწინების საკითხის გადაწყვეტისადმი გაუბრალოებულ დამოკიდებულებას.

განქორწინების საქმეებზე სამსჯავრო გამოძიება მიზნად ისახავს მეუღლეთა შერიგებას, ამიტომ სხვა სამოქალაქო სამართლებრივი დავებისაგან განსხვავებით განქორწინების საქმეებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მონაწილეობით საქმის განხილვას. ამ გარემოებაზე მართებულად გამაზნვილა ყურადღება საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1986 წლის 29 მაისს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ „განქორწინების საქმეებზე სამსჯავრო გამოძიება მიზნად ისახავს მეუღლეთა შერიგებას. ერთ-ერთი მეუღლის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა, თუნდაც მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, უნდა ჩაითვალოს ამ პრინციპის დარღვევად: სასამართლოები წერილობითი თანხმობით საქმეებს უნდა იხილავდნენ, როგორც გამოწაკლის მხოლოდ იმ პირობით, როდესაც უდავოდ დადგენილია, რომ ობიექტური საპატიო მიზეზის გამო ამ მეუღლის სასამართლოში გამოცხადება შეუძლებელია“. ასეთ შემთხვევაში, ჩემი აზრით, სასამართლო არ უნდა დასჯერდეს ერთ-ერთი მეუღლის მიერ წარმოდგენილ უბრალო წერილობით თანხმობას იმის მითითებით, რომ იგი „თანახმა საქმე განხილული იქნეს მისი მონაწილეობის გარეშე და განქორწინების წინააღმდეგი არაა“. ამგვარი თანხმობა ეწინააღმდეგება განქორწინების საქმეთა განხილვის მთავარ პრინციპს, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სრულად და საფუძვლიანად გამოკვლევისა და მხარეთა შერიგების შესახებ, ამიტომ საჭიროდ უნდა ჩაითვალოს, რომ თანხმობა ჩამოყალიბებული იყოს ვრცელი ახსნა-განმარტების სახით სათანადო მტკიცებულებების თანდართვით, რომელიც სასამართლოს მისცემს სათანადო ობიექტური დასკვნის შესაძლებლობას.

საქორწინო და საოჯახო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად, მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა, და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შერიგებისათვის 6 თვის ფარგლებში. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია რამდენჯერმე გადადოს საქმის განხილვა, მაგრამ მთლიანობაში შერიგებისათვის ვადები არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადას.

გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს შეამციროს მეუღლეებისათვის დანიშნული შერიგების ვადა, თუ ამას ითხოვენ მხარეები და მათ მიერ მითითებული მიზეზები საპატიოა. ალბათ არასწორია, როცა სასამართლოებს შერიგების მიზნით მიცემული ვადის შესახებ არ გამოაქვთ ცალკე განჩინება, ეს ვადა მხოლოდ სხდომის ოქმშია აღნიშნული ყოველგვარი დასაბუთებისა და მოტივის გარეშე, იმის აღუნიშნავად თუ რატომ მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე და რატომ უნიშნავს მხარეებს შერიგების ვადას. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება მნიშვნელობას უკარგავს ამ მეტად მნიშვნელოვან სტადიას. სწორედ ამაზეა გამაზნვილებული ყურადღება განქორ-

წინების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე. ზემოაღნიშნულ დადგენილებაში, სადაც მითითებულია, რომ „მხარეთა შერიგებისათვის საქმის გადადების უკვე შეძლებისდაგვარად სასამართლომ უნდა გამოიტანოს მოტივირებული განჩინება, რომელშიც მკაფიოდ, გასაგებად უნდა იყოს მითითებული იმ გარემოებებზე, რომელთა გამო სასამართლომ აუცილებლად ჩათვალა შერიგებისათვის საქმის განხილვის გადადება“.

შერიგების ვადის დასრულების შემდეგ ზოგჯერ სასამართლოები საკუთარი ინიციატივით, მოსარჩელის განცხადების გარეშე ანახლებენ საქმეს, იწვევენ მხარეებს და საქმეს იხილავენ არსებითად. ამ შემთხვევაში სასამართლოები საქორწინო და საოჯახო კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დებულებას, მხარეთა შერიგების მიზნით საქმის გადადების შესახებ, ფაქტობრივად აიგივებენ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის შინაარსთან, რომლის მიზანია სამოქალაქო სამართლებრივი დავების განხილვის გაკვიანურების თავიდან აცილება. საქორწინო და საოჯახო კოდექსის 33-ე მუხლი განსხვავებულ მიზანს ისახავს, რამაც შეიძლება დააყვანოს საქმის განხილვა და მხარეებს მიეცეს დრო მოფიქრებისათვის.

სასამართლოს მიერ მხარეებისათვის შერიგების ვადის დამთავრებისთანავე სასამართლოს ინიციატივით საქმის განახლება განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს იმ მეუღლეებზე, რომლებიც სასამართლოს მიერ შერიგებისათვის დანიშნულ ვადაში ჩაუფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობას და გადაწყვიტეს შერიგება. ასეთი პირების პროცესზე მოწვევა, მათი ინიციატივის გარეშე, თანაც მუქარით, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული სანქციები (პარიზა, საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე და სხვა), თავისთავად მხარეთა შერიგებისათვის და ოჯახის მთლიანობის აღდგენისათვის კანონის სულისკვეთების უგულებელყოფას ნიშნავს და ამავე დროს არ გამოიციტავს იმასაც, რომ სასამართლომ უბიძგოს მეუღლეებს, რომლებზედაც შერიგებისათვის დაწესებული ვადა დადებითად იმოქმედა, კვლავ მოითხოვონ განქორწინება.

ჩემი აზრით, ეს საკითხი საკანონმდებლო წესით გადაწყვეტას მოითხოვს ისე, რომ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებული შერიგების ვადის გასვლის შემდეგ სარჩელი უნდა რჩებოდეს განუხილველი და საქმის განხილვა ხდებოდეს მხოლოდ მოსარჩელე მხარის ახალი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კანონის შესაბამისად მეუღლეთა შესარიგებლად საქმის განხილვის გადადების უფლება აქვს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სასამართლოს განჩინება საქმის განხილვის გადადების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მეუღლეთა შესარიგებლად საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა გადაწყვიტოს ქონებრივი საალიმენტო და სხვა დავები. ამასთან, თუ დადგინდება, რომ მოპასუხე არ მონაწილეობს ბავშვების რჩენაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია განქორწინების საქმის არსებითად განხილვამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სახსრების გადახდევინებისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც სასა-



მართლები განქორწინების სარჩელებთან ერთად იხილავენ ქონებრივ დამატებას როცა საკითხი მესამე პირთა ინტერესებს ეხება.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 29 აპრილის განჩინებით გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. კოლეგიის განჩინებაში ვკითხულობთ: „მოპასუხე თ. ვ.-ს კომპლი შედგება ხუთი სულისაგან, სასამართლომ მხარეთა შორის განქორწინებასთან ერთად გაუქმებდა, როდესაც ქონების საკითხი ეხება ოჯახის სხვა წევრების ინტერესებს, რითაც სასამართლომ დაარღვია საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის 86-ე მუხლის მოთხოვნა“¹. როგორც აღინიშნა საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 86-ე მუხლი კრძალავს განქორწინების საქმეებთან ერთად ქონების გაყოფას მაშინ, როდესაც საკითხი მესამე პირთა ინტერესებს ეხება. ამ მუხლში არაფერია ნათქვამი, ვრცელდება თუ არა ეს დებულება ქორწინების ბათილობაზე, როდესაც ქორწინების ბათილობა თავისი სამართლებრივი ბუნების სირთულის მხრივ არა ნაკლებ და ხშირ შემთხვევაში უფრო მეტ სადავო საკითხებს წარმოშობს. ამ მხრივ კანონის ნორმათა უწყისობის გამო სასამართლოებში დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც ქორწინების ბათილობასთან ერთად იხილავენ ქონებრივ საკითხებს, როდესაც ეს საკითხები მესამე პირთა ინტერესებს ეხება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განქორწინების საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების შესახებ 1986 წლის 29 მაისის დადგენილებით მიუთითა, რომ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 86-ე მუხლის მოთხოვნა გაავრცელონ ქორწინების ბათილობის შემთხვევებზედაც. პლენუმის აღნიშნული დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად, როდესაც სარჩელი განქორწინების ან ქორწინების ბათილობის მოთხოვნასთან ერთად შეიცავს მოთხოვნას ქონებაზე ან ბინაზე, თუ ეს მოთხოვნა მესამე პირის ინტერესებს ეხება, სასამართლომ ასეთი მოთხოვნა უნდა გამოყოს ცალკე წარმოებად და განიხილოს განქორწინების ან ქორწინების ბათილობისაგან დამოუკიდებლად. ამ პროცესუალური მოთხოვნის განუხრელ დაცვას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება განქორწინებისა და ქორწინების ბათილობის საქმეთა კანონიერად გადასაწყვეტად.

განქორწინებასთან დაკავშირებით ოჯახების შენარჩუნების საკითხის განხილვისას, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ის წინააღმდეგობა, რასაც მოქმედი კანონმდებლობა შეიცავს. იგი ერთი მხრივ, ადგენს ნორმებს, რომლებიც ოჯახების შენარჩუნების, ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის, განსახორციელებლად მოწოდებული, ხოლო მეორე მხრივ, ადგენს ამ პრინციპის გამომრიცხავ ზოგიერთ საპირისპირო ნორმას. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 89-ე მუხლი განქორწინებას მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ითვალისწინებს მაშინაც, როცა ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა. საქართველოს რესპუბლიკის საბინაო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის წევრის ექვს თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთით, გადასახლებით ან გასახლებით მსჯავრდების შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება შენარჩუნებული იქნება განაჩენის აღსრულების დღიდან ექვსი

¹ ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე № 2-56. 1987 წელი.

თვის მანძილზე. თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმართ ასეთი სიმკაცრის გამოჩენა გაუმართლებელია. იგი ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა სასჯელს როდი განიხილავს როგორც მხოლოდ საზღაურს ჩადენილი დანაშაულისათვის. იგი მიზნად ისახავს მსჯავრდებულის გამოსწორებასაც, რათა აცდენილი იქნეს ახალი დანაშაული; სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ღირსების დამცირება. ამასთანავე, მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ძირითად სასჯელთან ერთად, დამატებითი სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას. ჩემი აზრით, როდესაც მსჯავრდებულ პირთა მიმართ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით დაწესებულია განქორწინების არასასამართლო წესი, ხოლო საბინაო კანონმდებლობით ასეთი პირები კარგავენ უფლებას საცხოვრებელ ფართობზე, ამით ფაქტობრივად საბინაო, საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა აღიარებს დამატებითი სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა კრძალავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ლახავს, ამცირებს მსჯავრდებულ პირთა ადამიანურ ღირსებას. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით მსჯავრდებულ პირთა მიმართ დადგენილი წესი სასამართლოს გარეშე განქორწინებისა, როცა დაშვებულია შესაძლებლობა არასასამართლო წესით, ცალმხრივად, ნებისმიერი მოტივებით მოახდინონ მასთან განქორწინება, ეს ნორმა არ შეიძლება არ ამცირებდეს მსჯავრდებულ პირთა ადამიანურ ღირსებას და არ ურთულებდეს მათ მომავალ ცხოვრებას. მსჯავრდებულთათვის თავისთავად კანონის ეს ფორმულირებაა დამამცირებელი, რომ არაფერი ვთქვათ მის გამოყენებაზე: „მოკალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც ა) კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად; ბ) სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია არაქმედუნარიანად; გ) სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები სამი წლისა“. თავისთავად ფაქტი, რომ მსჯავრდებული პირები განხილული არიან უკვალოდ დაკარგულებთან და ჭკუასუსტობის გამო არაქმედუნარიანად აღიარებულებთან, ესეც კი საკმარისია ამ პირთა ღირსების დამცირებისათვის. ალბათ, ნორმა უნდა გაუქმდეს და ასეთ პირთა მიმართ განქორწინება დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით საკითხის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შემდეგ.

საქართველოს საბინაო კანონმდებლობა მსჯავრდებულ პირებს საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას უნარჩუნებს ექვსი თვის მანძილზე განაჩენის აღსრულების დღიდან. ამასთან, იგივე საბინაო კანონმდებლობა დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრებს დროებით სხვაგან ყოფნისას უნარჩუნებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას ექვსი თვის მანძილზე. კანონი ამ შემთხვევაში გულისხმობს ვითარებას, როდესაც ბინიდან დროებით წასვლა დაკავშირებულია პიროვნების ნებასთან და არა სხვა მისი ნების გარეშე იძულებით ფაქტორებთან. აღნიშნულის გამო, ამ პრინციპის გამოყენება მსჯავრდებულ პირთა მიმართ, რომლებიც მათი ნების გარეშე წავიდნენ ბინიდან, არ არის მართებული მითუმეტეს, როცა ამით მსჯავრდებულს ესპობა შესაძლებლობა სასჯელის მოხდის შემდეგ დაუბრუნდეს ოჯახს, მეზობლებს და იმ გარემოს, რომელიც აუცილებელია მისი შემდგომი ნორმალური ცხოვრებისათვის.

ნაჩქარვად ნუკაფერს ვიტყვი

ქურნალ „სახელმწიფო და სამართალში“ გამოქვეყნებული წერილები „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, „მკითხველთა დიდ დაინტერესებას იწვევს. მათი ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ გამყრელიძე, პროფესიონალი იურისტის თვალთახედვით არკვევს მეტად აქტუალურ საკითხებს და ბევრი რამ მართლაც მოსაწონი და მხარდასაჭერია. მაგრამ აქვე გვინდა ერთი შენიშვნა გავაკეთოთ იმ შეცდომაზე, რასაც ავტორი უნებლიედ უშვებს, როცა ადვოკატურის დაკომპლექტების საკითხს ეხება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ავტორმა ალბათ არ იცის ადვოკატურის სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, თორემ არ იტყოდა ასე დაბეჯითებით. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები უარს ამბობენ ადვოკატურაში მოსვლაზე. სინამდვილე კი ასეთია: ბოლო წლებში ნაცვლად განსაზღვრული ხუთი სტუდენტისა, ყოველწლიურად ადვოკატურაში სტაჟიორად ვიღებთ 20-25 ახალგაზრდა სპეციალისტს. ჩვენ ის უფრო გვიჭირს, რომ სტაჟიორთა ვაკანსიის უქონლობის გამო მსურველებს მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ.

ტყუილადაა ავტორი „შეშფოთებული“ იმის გამო, რომ „...ნელ-ნელა ივსება ადვოკატთა კოლეგია ყოფილი მოსამართლეებით, პროკურორებით, მილიციელებით და ა. შ. და ა. შ.“

უბრალოდ, ალბათ გამართლებულიც არ არის მოსამართლეების, პროკურორების, მილიციელების ასე აუგად მოხსენიება, არ უარყოფთ, რომ ადვოკატთა რიგებში მართლაც ვიღებთ ყოფილ მოსამართლეებს და პროკურატურის მუშაკებს (მილიციელის მიღების შემთხვევა საერთოდ არ გვექონია), რომლებსაც შესაბამისი რეკომენდაცია-დახასიათება აქვთ. მაგრამ ეს მაშინ, როცა ისინი ყოველმხრივ აკმაყოფილებენ ადვოკატურის შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. რა არის ამაში ცუდი და შემაშფოთებელი? ვფიქრობთ, უკეთესი უნდა იყოს, რომ ადვოკატურა დაკომპლექტდეს გამოცდილი და მაღალკვალიფიციური იურისტებით. რადგან ადვოკატურის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, დიახაც, კვალიფიციური გამოცდილი და ცნობილი იურისტები არიან საჭირო. ცხოვრებამ კი უკვე დაადასტურა, რომ კადრების შერჩევა უკეთესია პიროვნებების მიხედვით ხდებოდეს ვიდრე უწყებრივად. ამის საილუსტრაციოდ საკმაოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. პირიქით, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება თუ მომავალში მოსამართლეთა კორპუსიც (რა თქმა უნდა გარკვეულწილად), კვალიფიციური და ღირსეული ადვოკატებით დაკომპლექტდება.

რეპლიკა ისე არავინ გაიგოს, თითქოს ოთარ გამყრელიძის წერილის პათოსსა და აზრს არ ვიზიარებდეთ. პირიქით, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მას მხარს ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით და მიგვაჩნია, რომ მოსაზრება ადვოკატურის სრული დამოუკიდებლობის შესახებ მართლაც დროული და აუცილებლად განსაზოროციელებელია. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ეს საოცნებო მიზანი რაც შეიძლება მალე ახდეს.

გივი რუმინიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დამსახურებული იურისტი.

გიორგი შთაქარი

ზნეობრივი ნორმების ასახვა ხალხურ

ზეპირსიტყვიერებაში

სოციალური განვითარების გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფო მართებლობის იურიდიული აპარატის მიერ შესაბამისად დგინდება სხვადასხვა ტიპის კანონთა კრებულები (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, საოჯახო სამართლის და სხვა სამართლის კოდექსები...), მათი კატეგორიული შესრულება-გათვალისწინება მოსახლეობისათვის აუცილებელია.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის ქცევის წესებზე, ზნეთსწავლულებზე საკუთარი პოზიციიდან სერიოზულ ყურადღებას ამახვილებს რელიგიური დანიშნულების ლიტერატურაც (ქრისტიანული სარწმუნოებიდან — ბიბლია, მაჰმადიანური მოძღვრებიდან — ყურანი, იუდაიზმიდან — თალმუდი და ა. შ.).

ცალკეული ზნეობრივი ნორმები, ზეპირი რჩევა-დარიგებები, მორალური შეგონებები, იგავური ნართაული თქმები, სხარტი, ლაქონური სენტენციები, რომლებიც ადამიანთა შორის ურთიერთობის სათანადო ასპექტებს აწესრიგებს, ჯერ კიდევ არკაული ეპოქიდან იღებს სათავეს, ხოლო შემდეგ ყოველივე ეს თავის რეზონანსს პოეტობის სხვადასხვა ფანრიასა და თემატიკის ზეპირსიტყვიერებაში — ზღაპრებში, თქმულებებში, არაკებსა, ლექსებსა თუ ანდაზებში. აქ ფართო პლანით არის მოცემული და შეფასებული ინდივიდთა შინაგანი სამყაროს როგორც ნათელი, ისე ჩრდილოვანი მხარეები — ერთი მხრივ დადებითი ფსიქიკური თვისებები — სათნოებანი, ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი ფსიქიკური თვისებები — მანკიერებანი.

სათნოებათა რიგს განეკუთვნება პოზიტიური ზნეობრივი ნორმები — სიმართლისმოყვარეობა, სიკეთისმქმნელობა, ჭაბჭალობა და ა. შ., ხოლო მანკიერებათა ორბიტაში შედის უსამართლობა, სიყვე, სიზარმაცე და ა. შ.

ცხადია, ამა თუ იმ ზნეობრივი ნორმისათვის სათანადო კანონის არსებობა ყველა მოქალაქის მიერ მათი უთუო განუხრელი დაც-

ვისა და შესრულების აბსოლუტურ გარანტიას არ იძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ზოგიერთი წევრი თუ მკაცრად იცავს ამა თუ იმ ზნეობრივ ნორმასა თუ კანონს, ამის საპირისპიროდ ზოგიერთი წევრი, პირიქით, რომელიმე ზნეობრივ ნორმასა თუ კანონს უბეშად არღვევს და მათ ჰაიპარად, დაუდევრად, უპატივცემულოდ ეკიდება.

ეგ კი არა და თვით მავანი ლეთისმომში ქრისტიანიც კი, ქრისტიანული სარწმუნოების ფანატიკურად მლიარებელი და მიძღვერა, არცთუ იშვიათად ბიბლიის ათი მცნებიდან რომელიმე მათგანს მაინც არღვევდა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად მას ამგვარი ცოდვის ჩადენისათვის უეჭველად ჯოჯობეთში მოხვედრის საფრთხე ემუქრებოდა.

თუმცა დასახელებული ბიბლიის ათ მცნებაში გვაქვს ქრისტეს რჯულის ყველა გამზიარებელისათვის სავალდებულო რიგორისტული დოგმები:

„...5. პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა; რათა ეთელი გეყოს შენ და დღევრძელ იყო ქვეყანასა ზედა;

6. არა კაც კლა;

7. არა იმრუშო;

8. არა იპარო;

9. არა ცილისწამო მოყვასა შენსა წამებითა ცრუითა“...

მაგრამ იგივე ზოგიერთი ლეთისმომში ქრისტიანი საკუთარ მშობლებსაც სტანჯავდა და უქმნობას მიაგებდა, კაცსაც კლავდა, კიდევ იპარავდა და მოყვასსაც ცილს სწამებდა... თანაც ისე, რომ „ცაში ლმერთისა არ ეშინოდა და საიქიომი — ჯოჯობეთის“.

ამრიგად, მას ნებისყოფა ლალატობდა, პიროვნებისეული „მორალური მუხრუქები“ ვერ აკავებდა და როგორც მორწმუნეს თვით ბიბლიაც კი აებდით მიზანზე, აშკარა დანაშაულზე ზელს ვერ აღებინებდა. იგი მაინც ქრის-



ტიანული მოძღვრებით სასტიკად აკრძალულ „უხნეო ზონაში“ გადადიოდა, თუმცა ღრმად ქონდა შეგნებული, რომ, კომორებო, ეკეთითარი „ცდუნებისა“ თუ „უკეთურობისათვის“ „იმ ქვეყანაში“, „შევეთში“ გამგზავრებისას მას გოჯოხეთის საშინელი მკვერი არ აკეთობოდა.

და უკეთ ამ ფანტიკურ ქრისტიანს შეცდომებისაგან მისივე უკიდურესი ღვთისმომოზობა და გოჯოხეთის მოსალოდნელი მწარე განსაცდელი ვერ აბრკოლებდა, მაშინ რაღა უქეთო იმ იხდებოდა, ვინც რელიგიური სარწმუნოებისადმი მისი და მისი დიდ კლიოლურობას არ იჩენდა და მთელი მისი „ამქვეყნიურო“ აქროვებდაც იავე და ისევ „ამქვეყნიურო“ რელიგიით იფარგლებოდა. თუ მასთან ბიბლიურ მკნებებს სერო ვანონმდებლობა სველიდა, ზოლო დანაშაუვებისათვის მას არ „ამქვეყნიურო“ გოჯოხეთი არამედ იავე საყულოს „ამქვეყნიურო“ მოსაბდელო ადგილი -- ციხე-დილეგი ემუქრებოდა. თუ მას ზეიურეღი ღმერთი კრდევა-მადლოს დოგმატის დაცვლად ისევ მკურეო მოსამართლოს ვანონა წიგნი განიკონსადედა.

რასაკვირველია, სხვადასხვა ხსიათის გრდაცდომის, ბრალეულობის აღკეთის მიზნით გადაწყვეტ რიუს არც ზეიური სხიით გერეცლებული ზნებორეი ნორეზი არტულები მაგრამ მათი ე. ი. ზნებორეი ნორეზების ზეებობა გარდუვალო იყო. რ. ხალხურ მკურე რემიდაა თავისი საბელმდებელი მოლოდლო პრინციპები გაანნდა, რომელიც მისი შორის მსაჭელებორეი „სასწორის“ დრევე სხიუნ ყოველთვის ზესტად და ეტყუერად „აწონს წორებდა“.

თუ დანაშაულისაგან „შემაქვეზეო“ ფექტორი ყოველმხრივ გამორილოვო, სევალი მ ვარდუაშვი, რომ, აქ აღკებოთი მისიშხელობენსებება არ, შარტო გარეის, აღმზრდელობით მოიხეტა, არამედ თეო მოლოუნების ან დეკლუაღერ ზებელობაა თუ სელოლი ამტკიცე-მდგომარეობისა ბაოისადა.

როგორც ზემოთაც შევიხმეთ, შორედ ხალხური ზეიური ზნებორეი სეოებია, ხალხური თქმიდის შორალტერი პრინციპები მრავალფერეიანი ნიუანსებოთ იქნა რელიგებული ფოლოლორულ მხილეუბებო. ექდაა ჩვენ შევეებებით მხოლოდ ხალხურ ლექებს, ნიდაც როგორც მოიტეერი, ისე ხეგატეერი ადამიანური თეიებები. აქედან უტეისეოვოც არის ასახული.

ადამიანის სელოერი ღირებებოდაც, რომს ლებიც მოთიბებული თრეებტაციოთ ზეიურიტეყეერ ნაშეუბებო -- ირეულა, შორეულ რეგმეუნდა დაეასახელოთ სიმაბრეულ და სიმაბრეულიანობა, რადგანაც სიმაბრეულ-სამაბრეულიანობა და მისი მოლორული თეიებება

ლობა აღნიშნული ეანრის ნაწაოშობებო მიხედლო ჩვენ სელოვ გამოკლევაში მიმოვიხილოთ (იხ. „სახტოთა სიმაბრეული“, 1984 წ., № 6, გვ. 67-71). ამიტომაც ამ კოიკერ თეიომენზე აქ აღარ შეგნერდებო.

ხალხური ზეიუის სავანებორეი დადებოთი ზეიობოლივ გრძნობების მიმათ მთქმელი ყოველთვის სიმაბრეულ დამოკიდებულებას იჩენს, ზოლო ეარეოფიოთი, უხნეო გრძნობების მიმათ იგი მუდამ აშკარა ანტიპათიას ვამოხატავს. ზოგჯერ აქ ადგილი აქვს ე. წ. ქრისის დარეგება, რაც უფოლის მხრივ უმეტრის მისამართით წართქმული დამოდღვრებით შინარსს ატეობს. რჩევის ეს ფორმა ტრადიციულად მთელ საქართველოში იყო ზოპულარული და იგი დამზრდელობით მიზანს ისახედა, აქ ცხოვრებისეული მოვლენების, ადამიანური თეიებებისა ფონზე ევ-ეარგის განსევეებას, ევ-ეარგის განსეოთ კონტრასტულ გამკურეუტე-შეგეგება წამყეანო ადგილი მქონდა ფაოთობოლი.

უფოროს მთეო უმეტროსი ანალოგაური ქრისის დარეგება თემატიკურეო განწყობას რამუნენე ფოლოლორულ ზეიეტერ ნიშნეშიც ფეგეოიობებს ამ თეოლასტოთი უდავოდ ყუ-რადლებას. თქვენს ლექს „ბერი კაცი“, რომელიც ხალხური ზეიუიოვოთ ელემენტებს ქობდაც შეეკეო.

ბერი, ბერიობას ნუ ხნივ,
მაკლებას თეალებისას,
ეცადე, ქევა-გონებას,
რიგებას სოფლებისას,
აიჭუფთების სწორები,
ნუ მაუწონებ ზეიის მადლსა,
გაუჩავრდიდი სწორადა
თავისასა და სხვისასა...

აქ ე. ი. ლექსი უმთელოვ დამრიგებლის შეგონებას წარმოადგენს, სხე მოეტერი ტექსტო ე. ი. თეოთ დამრიგებლი უსევეარ აღსარებულ გევისებება, რომლის მიტეღვითაც ვებებულობო, რომ დამარეებელი თავისი სიციხე-ლის მახბრეუ ავაა და ეარგე შორის მკვეთრად განთევეებულ მისოთებას ამეარებდა, -- ეცს კმობა, ეოგე ადიდებდა და ამით საყუთორ ზეიობორეი მარეამსადა ნათელი, ეთოლოში-ბილელი თეკეოთათ წარმოაჩინდა.

ეხლანდელ ახალ უბლებსა
ახდერად დაუგდილია
„დალ მერჩიევა არმასა,
ხელსეუდამ გავისრილია
...ვისიაც ეკეობას ეტეობდი,
მაიც გულს გავუნხილია.



... ავსა და ბოროტებასა
სუვეელას გავაცილიდა.

ვაძლიერებია ეფექტურ ზერხად არის მოხმობილი:

საქუთრივ, ეს საპირისპირო ფსიქიკური პროცესები — ალალი და არამი ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსშია შეტოვებული, რაც მათ შორის კონტრასტს უფრო რელიეფურად უსვამს ხაზს და ამის კვალობაზე თითოეული მათგანის შემანტიკური და ემოციური მნიშვნელობაც მეტი აქტივობით იზრდება:

ალალი კაცის კირიმე,
ალალი სული ამასღის,
ღმერთმა დასწყევლოს არამი,
არამი სული ამასღის.

ქვემოთ დამოწმებული ხალხური სექტენცია კი „არამის მკამელ“ ვაი-ინდივიდუალს დაეინებოთა და დაბეჯითებით მოუწოდებს, რომ მან ჯანსაღი მოქალაქეობრივი რეპუტაციას შემლახველი უხამსი გზა უკუაღდოს და გეზს სწორი ცხოვრებისეული მიმართულებით აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას პაატუნი მკვდართა საუფლოში, მიღმა სამყაროში — „შავეთში“ მოუკითხება და იქ იგი ქვესკნელის მდულარე კუბრის ზღვის საწყალობელი მსხვერპლი გახდება. მაშასადამე, მან თავს უნდა უშველოს, საიამ ჯერ კიდევ ცოცხალია და სამხეობზე თავისი დახაშულის გამოსყიდვის ღრთ და საშუალება ჯერ კიდევ აქვს:

დაეხსენ არამის კამასა,
დადექ ალალსა რჯულზედა,
თორემ შენც მოგაგონდება,
ზეღს რომ დაგიკვრენ გულზედა,
ემშაყნი ანგელოზებსა
ეცილებოდნენ სულზედა.

გამაფრთხილებელი ზარის რეკვასავით გაისმის ხალხური ავტორის აღმუთლება, რომელიც კვლავ არამი კაცის გასაგონად არის გამოიხსული.

არ შაგრჩება ვაღევაო,
ალალ კაცის წვალევაო,
შაგდენ ხაჯამ ქვეუნის ცოდვა
ბოლოს გაგეხირებაო.

დანაშაული ათავის შერჩება, დამნაშავე ბოლოს მაინც საკადრისად დაიხლება და სიძარბოთლე, ქეშმარიტება, ბოლოს მაინც ილაღადდება!

მსაგავსი იდეა უფროს საფუძვლად ერთ-სტროფიან პოეტურ მბოროტულადაც, რომლის ფინალი ძარჯვე მხატვრულ ასოციაციას ეყრდნობა და იგი აქ ჩახაფიქრის ექსპრესიული

არამ კაცს ასე ჰგონია
არამი ლუკმა ტკბილია,
მამამ შევამა ტუქმალი,
შვილიშვილს მოსკრა კბილია.

აქ ალალს უფრო ზოგადი, შეიძლება ითქვას, კრებითი ფუნქცია აქვს მისადაგებული და მასში ხაგულისმგევა საერთოდ დადებითი ტონია წრფელი, სხეტაკი ადამიანი, რომელიც თავისი ჰუმანური, შინაგანი ბუნებით გამოირჩევა და მის გულში იოტის ტოლი ზინჯიც არ შეინიშნება. მისი საპირისპირო ცნება არამიც ფართო გავებისა და მასში ბოროტი, ავისმოქმედი, სხვებისთვის ზიანის მომტანი პიროვნება საცნაურდება.

ხალს როგორც პირველ, ისე მეორე ყაიდის ინდივიდზე საკუთარი ფილოსოფიური შეხედულება აქვს და ეს შეხედულება აღნიშნული კატეგორიების ადამიანთა თვისებებზე მრავალსაუცუნოვანი დაკვირვების შედეგად არის შემუშავებული.

რელიგიური რწმენით სამხეობზე კეთილისმოქმედ და ავისმოქმედ ინდივიდებს განკითხვის ეამი (ანუ მისტიკური სასამართლო) თავის ჯეროვან ზედრს არგუნებს. ამ რწმენის თანახმად სააქოს სიკეთე და სიკვე საიქიოში შესაბამისად მადლისა და ცოდნის სახით აიწონება და საიმქვეყნო სულს თავისი კუთვნილი მიეზღვება. ეს „კუთვნილი მიზღვა“ საიქიოს შესავალშივე ბეწვის ზიდზე განსხვავებული ფორმით წარმოებს:

ამბობენ, ბეწვის ხიდსა
რა ძნელი გასასველია,
მტრედვიით გადაფრინდება,
ვინც რომ მადლისა მქნელია,
ვარდება კუპრის აღშია,
ვინაც ცოდვისა მქმელია.

ამრიგად, ბეწვის ხიდზე ადამიანის შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ ეს, აწ უკვე გარდაცვლილი არსება სამხეოდან საიქიოს კარებსა რა სახის „საგზურით“ მიადგა — სიკეთისა თუ სიკვის „საგზურით“. აქვე ირკვევა ისიც, რომ საიქიოს განაჩენი საბოლოოა, უკომპრომისო და იგი არავითარ „შემდგომ კააციასა“ და ვინაე გარეშე „გავლენიანი მფარველის“ ენერგიულ ჩარევასა და გამოსაჩრჩლება „აო ექვემდებარება“.

თუმცა, ამქვეყნიური ცოდვებისაგან განწმენდის მიზნით ქრისტიანულ მოძღვრებაში არსებობს ცოდვის მოწაიების რიტუალიც.

მაგრამ ამ რიტუალს ცოცხალი ადამიანი თავი-
სი სიცოცხლის მიწურულს ასრულებდა. ხო-
ლო სიკვდილის შემდეგ მიცვალებულს საი-
ქიოს სამსახურის წინაშე თავისი ზნეობრივი
თუ უზნეო სახით, მაღლითა თუ ცოდვით უწყე-
ვლა წარუდგენდა... და აი, ასეთი წარდგენისას
საიქიოს სამსახურის, როგორც უკვე მივუთითო-
ეთ, ობიექტური, მიუკერძოებელი განაჩენი
გამოჰქონდა...

ხალხური მოეზიის ფონდში პირუთვნელად
არის დაგროვილი და გამათრახებელი უზნეო
თვისება-უმაღლესობა. ერთ-ერთი ფოლკლორუ-
ლი ლექსის თანახმად ეს შეუწყნარებელი საქ-
ციელ შვილის მხრივ მამის მიმართ სამაგისა
და ღვაწლის დაუნახაობაში ვლინდება. მაგრამ
სანამ ამ ლექსს განვიხილავდეთ, წინასწარ შე-
ვნიშნავთ, რომ ხალხური, ჭანსალი ტრადიცი-
ული საყოფაცხოვრებო მორალის მიხედვით
შვილი მშობლების მიმართ პატივისცემისა და
მოწიწების გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალუ-
ლი (ამასვე ქადაგებს ჩვენს მიერ ზემოთ და-
მოწმებული ბიბლიის მეხუთე მცნებაც). ეს
წარმოადგენს საოჯახო ზნეობრივი ფუნქციის
პროგრესულ ელემენტს, რომელიც ისტორი-
ული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მუდ-
მივ, შეურყეველ სიცოცხლისუნარიანობას ინა-
რჩუნებდა და საზოგადოებას მოწინავე ნაწი-
ლია დაღები ეთიკურ კონცეფციას გამოხატა-
ვდა. ეს აზრი ფიქსირებულია ქართულ იური-
დიულ ძეგლებშიც. ასე, მაგალითად, ვახტანგ
VI-ის კანონთა კრებულის 78-ე მუხლში მკაც-
რადაა უარყოფილი მშობლებისადმი შვილის
უღირსი დამოკიდებულება. „მამის უამებლობა
შვილისაგან არა ხამს. თუ შვილმა მამა ან გა-
ლახა ან უკადრისე რამ ჰკადრა, იმას ავად
მოპყრობა უნდა“, — საგანგებოდაა ნათქვა-
მი ამ საყურადღებო ეროვნული მართლმსაჯუ-
ლებით დოკუმენტში.

მშობლებისადმი შვილის სათაქლო, აუგიაან
გამოზღობის მიმართ განმტკიცებული ყოფილა
საზოგადოებრივი აზრი, რასაც მოწმობენ ჩვე-
ნი ქვეყნის ცალკეული ეთნოგრაფიული მო-
ნაცემები. მოხვეუთა ყოფითი მასალები სა-
ფუძველზე ს. მკალათია წერს: „წინათ თუ
შვილი მშობლებს უღიერად მოეპყრობოდა,
დედ-მამა ამაზე „ერობას“ (უფროსთა კრე-
ბულს) შესჩივლებდა. ასეთ შვილს ერობა და-
იბარებდა და საჭაროდ შეარცხვენდა“.

განსახილველი ლექსი ოჯახურ კოლიზიას
ასახავს და მასში მამისა და შვილის კონფლი-
ქტური დიალოგია გაუმოკემული. აქ შვილი
ნეგატიურ ტიპადაა გამოყვანილი, — იგი მა-
მის მიმართ გაუმართლებელ ანგარებით ცი-
ნისმა ამტკავნებს. — შვილი მამას აფასებს
მანამ, სანამ მას შრომის უნარი შესწევს. მაგ-

რამ საქმარისია მამა ხანდაზმულობის
მო ფიზიკურად დაძაბუნდეს, შრომის უნარი
დაეარგოს. რომ შვილი მამასთან გაყრას მო-
ინდომებს. მამის პირით დაუზოგავად არის
მხილებული უმაღლესი შვილი, რომელიც მზად
არის ამაგდარი ღვიძლი მშობელ მამა სიბე-
რი. ეამს ბედის ანაბარა მატოვოს და ამ
დროს მას ოდნავ სინდობა არ ქნეზნია:

— დავებრდი და შემინახე.
მამა ეუბნება შვილსა,
— მამი, ველარ შეგინახავ.
გამეყარე, მოგცემ წილსა.
აქამდე რომ გინახავდი,
სხელა იცოდი ვენახისა,
სიმინდა და ლობიოსა
კობტად უმარგლავდი ძირსა.
— როცა პატარა იყავი.
წამოგსადი ცეცხლის პირსა.
ვენახში რომ წვაიდიდი,
ჩიბით მოგიტანდი ხილსა
და ეხლა ყი მეუბნები:
გამეყარე, მოგცემ წილსა.
ამას ღმერთი არ შეგარჩენს.
გადაგიბდის შვილი შვილსა, —
მე რომ მაგას მეუბნები.
გამეყარე, მოგცემ წილსა.

საინტერესოა, რომ ამ ლექსის ბოლო ტაე-
პებში შვილის მიუტყეველი საქციელის მი-
მართ ეთიკური მსჯავრი თვითონ მამას გა-
მოაქვს. იგი შვილს განაწყენებული პირდაპირ,
მიუკიბ-მოუკიბავად ნამუსზე შეაგდებს: „შენი
ღღვეანდელი უკუღმართული სიტყვა-მოქმე-
დება ბვალ იევე შენვე მწარე ბოღმა-ნადე-
ვლად მოგობრუნდება. დადგება დრო და შვი-
ლი შენც ისევე უჯაათად მოგექცევა, რო-
გორც შენ დღეს მე შექცევი. კოტა ზნის შე-
ძღვებ შენი უსულგულობისათვის ჩემს ნაცე-
ვლად ისევე შენვე უთამოშავლობა გადაგიბ-
დის. ამ დღენიაზე ხომ არც სიკეთე და არც
სიხვე არ იყარგება, — ამიტომაც სჯობს გონს
მოეგო, შოთა გაიხედო და სულე წააწყმედ-
ლად არ გაიშეტოო.“

შორის სქემის ანვა ერთსტროფიას სხარტუ-
ლაშიც ასეთავე კერა, უხიავ შვილზეა ლაპა-
რაყი. ისიც მამის მიმართ უხეირო, აგდებულ
დამოკიდებულებას იჩენს. აქაც შვილის უე-
მურ გონებას სულმდაბალი, ანგარებითი მო-
სახრება ამტკავებს და აფორაქებს:

იმზიარულე, ბუხარო,
გულჩათხრობილი ნუ ხარო.
შვილი მამას ეუბნება
დაბერდი, ჩემოან ნუ ხარო.



ასეთვე სტრუქტურის მინიატიურაში სამარტნიონ ბოძზეა გაკრული შვილი, რომელიც დედას უმოწყალოდ სცემს და ამით ხალხის სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს:

**ანდრია დაბერებულა,
ხედას დაავლებს ხელსაო,
ამ დათას რალა მოხვლია,
დედას აგლეჩავს თმებსაო.**

რელიგიურ ფონს შეიცავს „დედ-მამის მაგინებელი“ შვილის განმაქიქებელი ლექსი, სადაც მთლიანად ჯოჯოხეთის შემზარავი სურათია წახვენილი. ამ ლექსის მიხედვით ჯოჯოხეთში

**კუპრი დულს, ალი ამოდის,
გარს უკილია გენია,
დედ-მამის მაგინებელსა
შიგ უღევს სენს წვერია,
ამასაც არ დაჭერეს, —
უელზედ დაჰკიდეს ვველია.**

ეს ტრაგიკული სცენა ანალოგს პოულობს ამოკრიფულ თხზულებასთან, სადაც ჯოჯოხეთში ღვთისმშობლის მიმოსვლაა აღწერილი. უღონდ დედ-მამისადმი უგუნურად მომპყრობ შვილთა სასჯელის სახეობა სხვაგვარადაა წარმოდგენილი. — აქ ისინი „სარტყელამდე ცეცხლსა შია“ იძყოფებიან.

ხალხური ადამიანური სამართლის თანახმად ავი ვატი ცხოვრებისაგან უღმობლად არის გარიყული და იგი მუდმივ „თვითიზოლაციაში“ იძყოფება. ეს ისეთ საზოგადოებრივ სასჯელს შეადგენს, რომლის დროსაც დასჯილი „ცოცხლად მიწაშია დამარბული“ და ამ სასჯელს მიწყევ სამარის კარამდე იხდის. ავი ვატის მიმართ ასეთ მასობრივ ოპოზიციურ დამოკიდებულებას ყველა წესიერი და პატრიონის ადამიანი უჭერს მხარს:

**ერთს სიტყვას ასეთს გასწავლი,
დასამარბავად კმარიუოს:
ნუ ეხმარები ავ ვაცსა,
თუ სადმე წყალმა წაიდოს.**

სამაგიეროდ კარგი ვატი „კაი ყმა“, ხალხში უსაზღვრო პატივისცემითა და კეთილგანწყობილებით სარგებლობს.

**რა კარგია კარგი ვატი,
კარგს ანდეზედ აგებული.
სოფელი მკავეს მადლიერი,
სწორის გული მოგებული.**

მანკიერ საზოგადოებრივ მოვლენებს შორის ხალხურ ლექსებში სააშკარაოზე არის გამოტანილი ლოთობა, როგორც მწვავე სოციალური სენი და მის წინააღმდეგ არცთუ იშვიათად მძლავრი გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლიც არის მიმართული. ერთ-ერთი ამგვარი პათოსის პოეტურ ნაწარმოებში მთქმელი დაუფარავ ზიზღსა და სიძულვილს გამოთქვამს ალკოპოლური სითხის მიმართ, რომელიც ადამიანს კომიკურ მდგომარეობაში აყენებს, ფიზიკურად და სულიერად აუძულურებს და ხშირად ამა თუ იმ დანაშაულის უშუალო მიზეზიც ხდება:

**წმინდა გიორგიმ დაგწყველოს,
საით შაჩხვდები, სასმელო.
ვაუკაცის გამცრუებელო,
კაცის შამარცხვენელ-მამობრელო!**

ზოგიერთი ინდივიდი თავის პირველსავე უიღბლო „საქეიფო დებიუტს“ განსჯითი თვლით შეხედავს და მას ერთი მარცხიანი დაღვევაც კი ჰკუთნის სასწავლებელ გაცვეთილად გამოადგება, რათა შემდგომ მსგავსი რამ აღარ გაიმეოროს:

**დამართო ტურათ არაუმა,
სულ ამირია გონება,
ტურათას აღარ გავივლი,
თუკი ეს დამებსომება.**

ნეგატიურ მოვლენებს შორის მკვეთრ დაგმობას იწვევს ქურდობაც. ქურდი ადამიანის მკაცრ დასჯას არა მარტო ძველი ქართული იურიდიული წერილობითი ძეგლები ითვალისწინებენ, არამედ იგი ზეპირი ზნეობრივი კოდექსის მიხედვითაც საქვეყნო მორალური ვაკიცხვის საგანს წარმოადგენს. ქურდი ინდივიდი ასევე საყოველთაო შერისხვის ობიექტია ხალხური პოეზიის ნიმუშებშიც.

ქურდი, ხელშრული პიროვნებაა გამათრახებული ტრადიციულ წყობილიტიყვიერ სხარტულაში „სახნის-საკვეთი“. აღსანიშნავია, რომ აქ დამნაშავე თავისი გვარით არის მოხსენიებული, რაც ლექსს გარკვეულ რეალისტურ იერს ანიჭებს:

**სახნის-საკვეთი, წამბარა
ბუთიაშვილმა დამარა,
დაიკცა იმის ოჯახი
უნნავ-უთესი დაგყვარა.**

სხვა ლექსში კი ქურდი ალალ გამრჩე მშრომელთან არის შეპირისპირებული. ამ შე-



პირისპირებით დასტურდება აგრეთვე ისიც, რომ ქურდი ამავე დროს ზარმაცი, ცულლუტი ფსევდონდივილიც ყოფილა:

თივას რათ მპარავ, მშობილო,
ნეტავ რა ოფლი გედინა,
მე რომ ბალახსა ვთიბავდი,
შენ მაშინ ჩრდილში გეძინა.

ქურდი, ქურდობა ზოგიერთ სხვა ხალხურ პოეტურ ნაწარმოებშიც ანათემაააა გადაცემული. აქ ყველგან ქურდის მახინჯი მოქალაქეობრივი პროფილი მუქი ფერებით არის დახატული.

საანალიზო ტიპის ტექსტებში სატირული თავდასხმის ობიექტად გვევლინება ცრუ, მატყუარა პიროვნება:

ცრუ კაცი წყალმა წაიღოს,
აქოს, ადიდოს, გაქვიშოს,
უბრალოდ ლაყაფს დაიწყებს,
გუშინწინდელის არ იყოს.

აქვე მძაფრი სარკასტული კეთხით არს დასახული ქედმაღალი ადამიანი.

არ მამწონს ახალგაზრდაი,
ამპარტავანი, კობტაი,
...კაც უნდა დიდთან დიდ იყოს,
ცოტასთან იყოს ცოტაი.

ასევე მოურიდებელ დაცინვას იმსახურებს შარბანი, ქორვეელი ადამიანიც:

განა მქედელო, რკინას
სპილენძი არ გაერევა?
კაცსა რომ კაცი არ უნდა, —
მიზეზი არ დაეღევა.

გელიანად არის გაკილული აქა-იქ იოლ სარდიან გზას დახარბებული პარაზიტული ელემენტაც:

მაღევ გირჩიე, კურდღელო,
უკო ვიყავ თუ ჰკვიანი,

დიღხანს არ გამოგადგება
ლუქან-ბაზარში ტრიალი.

ხალხურ დიდაქტივურ და სატირულ-უმორისტულ ლექსებში წარმოდგენილია სხვა უარყოფითი ადამიანური თვისებებიც და ამ უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი შესაბამისი ნეგატიური ტიპები. ყველა მათ მიმართ ჯეროვანი ფსიქოლოგიურა შეფასებაა მოცემული და დასახულია ზნეობრივი იდეალი, რომელიც პიროვნების ხასიათს ჯანსაღი მოქალაქეობრივი ეთიკური პრინციპებით ფორმირების პროცესში წამყვან ფაქტორად უნდა იქცეს.

უმაღლესი ზნეობრივი იდეალს მიხედვით ქვეშაობილ დაფსებასა და ქება-დიდებას იმსახურებს ინდივიდი, რომელიც ცხოვრებისეული სიკეთის ყოვლადგამართლებულ მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება და მისი ხასიათი მხოლოდ დადებითი ეთიკური თვისებებით არის მომადლებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი პრესტიჟი შებღალული არ არის და მისი რეალისტური თუ რომანტიკული ფერების სპექტრიც შარტოოდენ ნათელი სხივებითაა გაცხიკრვებულნი. მან საუცხოოდ იცის, რომ თუ ადამიანი თავის ავტორიტეტს, საკუთარ თავ-მოყვარეობას ჩირქს მოსცემს, მას სამუდამოდ საბელი გაუტყდება და იგი ამ სახელს ვეღარასოდეს გაამთულებს. ეს კი, სამწუხაროდ, ადამიანისათვის თავიებდომ „მორალურ სიკვდილს“ მოასწავებს და ეგრეთწოდებულ „პიროვნების დისკრედიტაციას“ წარმოშობს:

კაცი თუ დაიძრახება
სჯობია იყოს მკვდარიო, —

სწორედ ამგვარ უგვანო ეთიარებაზე მიუთითებს ხალხური მთქმელი და, ეს სრული ქვეშაობიტებაა!

ადამიანი თავის სიზღისს უნდა გაუფრთხილდეს!

მას სინდისი წმინდა ლამპარით უნდა შემოდდეს და მხოლოდ სიკეთის გზებს უნათუბდეს.

ეს არის ქვეშაობიტი მოქალაქის ქვეშაობიტი ცხოვრებისეული დამახელება.

ბრიგოლ როზაქია

სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძღურება

ჯერ კიდევ არ დამდგარა (—ან დადგება კი?) ისეთი ისტორიული ზანა, როცა ადამიანს შეეძლებოდეს სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება. ხოლო სახელმწიფოსათვის აუცილებელია ხელმწიფებითი უფლება („ელასტ“), რომელსაც შეძლება აქვს ძალდატანებაც იხმაროს საჭირო ნორმების გასაყვანად. ეს ანბანური ჭეშმარიტება საშინელი თანდათანობით მძაფრდება თანადროულს რევოლუციურს ხანაში. ყველა გრძნობს, რომ მარტოდ მარტო რღვევა საკმაო არ ყოფილა: საჭირო ყოფილა აგრეთვე შენებაც, — რაიც ძალმოსილს უფლებას ითხოვს უცილოდ. მაგრამ სად არის ასეთი უფლება? თვითონ უფლება-მოსილი აღიარებენ (—იხ. სეიმის გარეშემო ატეხილი დავა კომისარიატში), რომ მაგარი ხელმწიფებითი უფლება ჯერ კიდევ არ დამყარებულა. ხალხის მასსა კი საშინლად დაიღალა ლოდინით ამგვარი უფლების: — აქა-იქ უკვე გაისმის მოუთმენელი სურვილი: ოღონდ უფლება იყოს ცხოვრების მომრიგებელი, — და სულ ერთია როგორი იქნება იგი: შინაური თუ გარეული, ძველი თუ ახალი.

მრავალია მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენის. მათგან ყველაზე უცხადესია ერთი მიზეზი: ეს გახლავთ სოციალიზმის ფსიხოლოგია: სოციალისტებს ფსიხოლოგიურად არ შეუძლიათ შექმნან ძალმოსილი ხელმწიფებითი უფლება. უფლების ბუნება ისეთია, რომ მას ვერ ითვისებს სოციალისტი, — და ჯეროვანია ეს საკითხი ოდნავ მაინც გადაიჭრას.

უფლების მოვლენა მეტად რთულია და უცნაური. ერთს ადამიანს აქვს მეორეზე უფლება, — ეს ფაქტი ძირეულია უფლების მოვლენის. აქ არ არის ადგილი ამ მოვლენის ფილოსოფიურად გამოკვლევის: საკმაოა მისი ელემენტარი გამოცნობა. უფლება თავის თავად წმინდა ფსიხიური მოვლენაა: ერთი უბრძანებს — მეორე ასრულებს: — ამ ბრძანებაში და ამ ასრულებაში თავი და თავი ირრაციონალი (გონებითი სფეროს გარეშე მყოფი) კავშირია (ანუ ელემენტი). ჩვენ არ შეგვიძლია რაციონალს ტერმინებში გავხსნათ უფლების მოვლენა. — სწორედ ისე, როგორც არ შეგვიძლია ჩვენ ლოგიკის საშუალებით ამოვსწუროთ ისეთი მოვლენა, როგორიც არის სიყვარული ან მეგობრობა. უფლების ასეთი ხასიათი კიდევ უფრო იზრდება როცა იგი ადამიანთა საზოგადოებაში გვევლინება. გერმანელმა სოციოლოგმა გეორგ ზიმმელმა შემდეგი ფსიხიური ფაქტი განამტკიცა: რამდენად იზრდება ადამიანთა რიცხვი, იმდენად იზრდება მათი ერთი მეორისაგან დამოკიდებულება. მაგალითად: ორი ადამიანის კავშირი სხვა არის დამოკიდებულების მხრით ვიდრე სამის კავშირი: ორის კავშირში მოკავშირე მხოლოდ ერთისაგან არის დამოკიდებული, ხოლო სამის კავშირში ყოველი მესამე ორი სხვა მოკავშირისაგან

არის დამოკიდებული. იზრდება რიცხვი საზოგადოებისა — და თან იზრდება საზოგადოების წევრთა ურთიერთი დამოკიდებულება. ხოლო რამდენად იზრდება ეს დამოკიდებულება, იმდენად ნაკლები ხდება აქტივი ძალა რომელიმე წევრის საზოგადოების ვითარებაში. ბოლოს ეს პროცესი იქამდე მიდის, რომ ხსენებული დამოკიდებულება თითქო წევრთა გარე დგება როგორც ცოცხალი არსი: ობიექტივდება (ნივთდება), ფეტიშად იქცევა. ყალიბდება ერთგვარი მექანიზმი, ადამიანთა მიერ შეუცნობლად შექმნილი. მაგრამ ეხლა თვითონ ადამიანთა ქცევის გარეგანმართველი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ომის გამოცხადების დროს ბევრს, შესაძლოა, არც კი უნდოდეს ომი, მაგრამ ხსენებული მექანიზმის ძალით სახელმწიფოს წევრნი სასიკვდილოთ მიდიან. აქ მონარქი (თუ სახელმწიფო მონარქია) მხოლოდ უბრალო სიმბოლოა (ნიშანი) ამ მექანიზმის, როგორც ადამიანი იგი შესაძლოა ყურადღებასაც არ იქცევდეს, მაგრამ როგორც მონარქი (როგორც ერთნაირი განსახიერება სახელმწიფო მექანიზმის) იგი საშიშროებისა და საიდუმლოების გრძნობას იწვევს. არა თუ მონარქი, თვითონ „გოროდოვოი“ სრულიად უმნიშვნელო ვინტი სახელმწიფოსი, სწორედ ამგვარი გამოსახულებით მბრძანებელი გამოდის იქაც კი, საცა იგი როგორც უბრალო ადამიანი მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, თუ ბრძანებას მიმართავს. ამითვე აიხსნება ის მოწიწებითი გრძნობა, რომლითაც ადამიანი ქალაღის ფულს მიმართავს, როგორც ქალაღს მას მხოლოდ ქალაღის ფასეულობა აქვს, მაგრამ როგორც ნიშანი სახელმწიფოს ნდობის საშინელი ჩვენებით გამოდის. ესევე მოვლენა ფსიხოლოგიურად ახსნილი აქვს თითქმის ამაირადვე ლევ ტოლსტოის „ომსა და ზავში“.

ასეთია უფლების ბუნება. როცა სახელმწიფო წყობილება ირღვევა რევოლუციის ცეცხლით, მაშინ მართებულია რევოლუციის თაოსნებმა სწორედ ხსენებული გზით შექმნან უფლება. მაგრამ აქ თავსა ჰყოფს ჭრთი წინააღმდეგობა. ხელმწიფებითი უფლება არ არის ისტორიულად სოციალი შეთანხმების ნაყოფი (— გაიხსენეთ რუსოს „სოციალი კონტრაქტი“). ხოლო რევოლუცია შეგნებული ჩარევაა ხელმწიფებითი უფლების გარდაქმნაში. არსებული ხელმწიფება შეუცნობელია, სტიქიური, — რევოლუციური ჩარევა კი შეცნობილი, გამიზნული (— რუსოს თეორიას აქ აქვს თავისი აზრი). ამ მხრივ თავის თავად ცხადია, რევოლუციურ რღვევა-შენებაში არ წარმოიშვის უეცრად ხელმწიფებითი უფლება მთელი მისი განივებული გარემდგომი სიმკაცრით. მხოლოდ შემდგომში, როცა დუღილი გათავდება, ხელმწიფებითი უფლება მიიღებს ზემოაღნიშნულ ხასიათს.

მიუხედავად ამისა, რამოდენიმეთ მაინცაა შესაძლო რევოლუციის ხანაში ხელმწიფებითი უფლების განმტკიცება. მაგრამ ამისათვის სულ სხვაგვარი ფსიხოლოგიაა საჭირო, ვიდრე ფსიხოლოგია სოციალისტების. ჯერ ერთი: სოციალისტების რწმენით ყოველს ადამიანს უფლება აქვს აქტიურად ჩაეროს სახელმწიფო ცხოვრებაში მიუხედავად მისი კულტურული დონისი. აქედან გამოდის ერთი რამ უცილოდ: რადგან ადამიანს ადამიანური სისუსტე ყოველთვის თან ახლავს, ამისათვის თითქმის ყოველი წევრი ფიქრობს, რომ იგი თუ სხვებზე უკეთესად არა მათსავით მაინც მოუარს თავს სახელმწიფო საქმეებს. — და იწყება დაუსრულებელი არჩევა და გადარჩევა: ჯერ ერთს ჯგუფს ირჩევენ, შემდეგ მეორეს, მერე კიდევ მესამეს, — და ასე ამრიგად. თავის თავად ცხადია, რომ ამ არჩევა-გადარჩევაში სრულიად იკარგება ადამიანის ავტორიტეტი. რომელიც უცილოდ საჭიროა ხელმწიფებითი უფლებისათვის;

„ამხანაგი“ წერეთელი და „ამხანაგი“ ჩხეიძე ამ მხრით სრულიად თანაბარი გამოდიან რომელიმე სხვა სრულიად უმწეო „ამხანაგისა“, ასეთს მდგომარეობაში ბრძანება შეუძლებელია, — და თუ არ არის ბრძანება, ხელმწიფებითი უფლება რით დაიხადება. შემდეგ: ჟოზეფ დემესტრმა შესანიშნავი ფორშიში წარმოსთქვა: სახელმწიფოს საფუძველი ეშაფოტიანო, ამ თქმაში შესაძლოა სიჭარბე იყოს, მაგრამ მთავარი აზრი იქ გამოთქმული სრული ქვეშაობაა: ესე იგი: სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს ისე, თუ იგი ძალადობას არ მიმართავს. ახლა ვიკითხოთ: შეუძლია თუ არა სოციალისტს ძალადობა? რამდენად გამსჭვალულია სოციალიზმის ფსიხოლოგიით, სოციალისტი ვერ მიმართავს ძალადობას. ხანდახან მას შესაძლოა კიდევ უნდოდეს ძალადობა, მაგრამ სოციალისტური თეორია ხელს უშლის მას ამისათვის, — და ასეთს რყევაში იგი კიდევ უფრო ასუსტებს ხელმწიფებითს უფლებას.

გადაავლეთ თვალი თუ გინდ ამიერკავკასიელი სოციალისტების მოქმედებას და თქვენ დაინახავთ მათს სისუსტეს ხელმწიფებითის უფლების შექმნაში. ერთი მხრით აქ არის რევოლუციური მთავრობა და მეორეს მხრით ვგრეთ წოდებული ცენტრი მუშების, სოლდათების და გლეხების დეპუტატებისა. საკითხავია: რათ არსებობს ესლა მაინც ეს ცენტრი? მუშები მონაწილეობას იღებენ იმავე რევოლუციური მთავრობის შექმნაში, — რალა საჭიროა მათთვის სხვა სახელმწიფო ორგანო? სოლდათები ან იგივე მუშებია ან იგივე გლეხები, — ესეც არ იყოს, ისინი უკვე ფაქტიურად დაიშალენ, — და რა საჭიროა მათი დეპუტატები სხვა ერთეულში? გლეხები სხვებთან ერთად იმავე რევოლუციურ მთავრობაში გზავნიან თავის წარმომადგენლებს, — რალსათვის უნდათ მათი სხვაგან დარაზმვა? და აი, რევოლუციურ კომისარიატს არ ძალუძს ამ ცენტრის მოსპობა. ეს გარემოება კი ჰქმნის ორიან — უფლებას და ამით თვითონ უფლებასაო.

ან კიდევ: ამიერ-კავკასიას უნდა მობილიზაცია. კომისარიატი დეკრეტს იძუშავეებს და კიდევაც გამოსცემს. ხოლო როცა დაინახავს, რომ დეკრეტის გაყვანა საქმელა მეთად, მისი ასრულების დაწყებლს ვადას სადღაც შორს გადასდებს. ამით კი უფლება ერთიანად ბზარდება. ცნობილია: დასამორჩილებელს თუ სისუსტე დაანახე, კიდევ უფრო გაუჩრდება იგი. ნამდვილი მთავრობა ან სულ არ გამოსცემს საეჭვო დეკრეტს, ან თუ გამოსცა, უთუოდ ეცდება რაც უნდა დაუჭლეს ცხოვრებაში გაატაროს იგი.

სისუსტის ნაყოფია გუშინდელი დეკრეტიც. თეატრისა და სხვა გასართობების მთელი შემოსავალი სახელმწიფო კასსაში უნდა შეიტანონ „მიმდინარე ანგარიშზე“. გამოწვეულია ეს იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო კასსა დაცარიელებულია. ასეთი დეკრეტი უდრის იძულებითი სესხის მოთხოვნას. მაგრამ საკითხავია: რათ ეხება ეს დეკრეტი მარტო გასართობებს? რათ არ შეეძლოთ მისი გავრცელება მაგალითად ყველა სავაჭრო დაწესებულებებზე? პასუხი ერთია: ეს არის ნახევარი ზომა, რომლითაც შესაძლოა მთელი საზოგადოების უკმაყოფილება (მოსალოდნელი) თავს აიცილონ. ან რათ იყო საჭირო ასეთი დეკრეტი, როცა სხვა მხრით შეიძლებოდა მიზნის მიღწევა? სოფლებში, მაგალითად, დღეს თავმოყრილია უთვალავი ფული. რათ არ შეიძლებოდა ამ ფულის რაიმე სახით სახელმწიფო კასსაში შემოთრევა? თუ გინდ გადასახადების სახით? პასუხი აქაც ერთია; სოციალისტი გლეხს მუდამ გადასახადის მოსპობას პირდებოდა და რასაკვირველია ახლა როგორ მიადგება იგი კარს გადასახადის მოსაკრებად!

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, — მაგრამ ჩვენი მიზნისათვის ესეც საკმაოა. სოციალიზმის ფსიხოლოგიით სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია.

ბოლშევიკების აჯანყება

რუსეთის რევოლუციამ იმ თავითვე უცნაური მიმართულება მიიღო: იმის მაგიერ, რომ იგი წმინდა სარევოლუციო გზით განვითარებულიყო, ანარქიის საშინელს ფრთებს ჩაუფარდა იგი. ვინ არის ამაში დამნაშავე, ამას მომავალი ისტორია გასცემს მიუყრდნობელს პასუხს. ახლა კი მხოლოდ სამი სოციალ-პოლიტიკურის ელემენტის ურთიერთობა გვიჩვენებს ვიღომ რევოლუციის ამგვარი გზით წასვლას. პირველი ელემენტი კადეტურია, რომლის სწრაფვა ბურჟუაზიული დემოკრატიის წყობილების დადგენებაა; მეორე ელემენტი ბოლშევიკური, რომელიც ისწრაფვის სოციალისტური რესპუბლიკის ენლავე დამყარებას; მესამე ელემენტი მენშევიკების გარშემო იყრის თავს: იგი არ მიჰყვება ბოლშევიზმს, მაგრამ კადეტებსაც საეკვო და უნდო თვალთ უცქერის, თუ რომელი ელემენტია მართალი, ამის გამოცნობა ფრიად საძნელაა. რადგან შეცნობილი სფეროს მაგიერ პირდაპირ სტიქიურ აღრევასთან გვაქვს საქმე...

მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: რომელი ელემენტი არის (ან იქნება) დღესდღეობით ამ ელემენტებში ყველაზე უფრო ძლიერი: ეს ელემენტი უთუოდ ბოლშევიზმია, — და აი რატომ: როგორც უნდა იყოს სახელმწიფოს გარდაქმნა, ფიზიკური ძალა უთუოდ საჭიროა (manu militari). უამისოდ სახელმწიფო წარმოდგენილია: სახელმწიფოს გარეშე კი, მხოლოდ ანგელოზებს და ცხოველებს შეუძლიათ ცხოვრება. ახლა ავიღოთ რუსეთის ქარი: რომელი ელემენტის მხარეს მიიღებდა იგი: მართალია, თვითმპყრობელობამ ისიც გარყვნა, — მაგრამ ისიც მართალია, მისი არევიდარევა ახალმა სამილიტარო პრინციპებმა გამოიწვიეს: ის, რაც რომ ხანგრძლივი კულტურის ნაყოფად შეიძლება გამოვიდეს, შეუძლებელია ერთი დაკვრით (და ისიც ომის წარმოების დროს) წარმოიშვას, და რკინის დისციპლინის მაგიერ, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყოველ ქარს, ჩვენ ვხედავთ არევის სურათს, საცა უმცროსი უფროსს ველარ ცნობილობს. დაუმატეთ ამას: დასუსტება ქარის მორალურად და ფიზიკურად, სიცივე, სიმშლილი, ჩაუცმელობა და სხვა — და თქვენ უდავოთ მიიღებთ, რომ რუსეთის ქარში პოტენტიურად უფრო ბოლშევიზმის სული ცოცხლობს, ვიდრე სხვა რომელიმე ელემენტისა. ასეთი სული კი (და ისიც ომის დროს) უთუოდ ანარქიისაკენ ხრის სასწორს.

გარდა ამისა: თვითონ სახელმწიფო ყოფა რუსეთის შიგნით ანარქიისაკენ უნდა გადახრილიყო. ეკონომიკურად ჩამორჩენილი, ომში რუსეთი სრულიად დაქვეითდა. წარმოება დაეცა და ტრანსპორტი ჩაყვდა. სიმბოლურად ამას მრავალი „კულები“ გამოსახავენ. უკანასკნელ დროს ის ცნობაც მოვიდა, რომ 10 ნოემბრიდან გარდა საფოსტო მატარებლისა ყოველი სხვა გაუქმებულ იქმნება. დაეცა აგრეთვე თვითონ სამუშაო ძალის ინტენსივობა და მოხდომება. ორი დღის უკან სატაბტო ქალაქებმა ასეთი ცნობა გადმოგცვეს: ინკინერტენიკოსთა საერთო ყრილობამ გადასწყვიტა — ერთადერთი ჩხნა რკინის გზების შახტერებისა და მაშინისტების ამერიკიდან გამოწვევააო. გარდა ამისა: გახშირდა „პროგრამები“ როგორც აგრარული და ქალაქების ისე ებრაუ-

ლი. ბოლო დროის ცნობები საესეა ამ სახის „პროგრამებთა“ საშინელებით დაუმტეტთ ამას კიდევ ერთი მომენტი — რუსეთის სხვა და სხვა ერთა დეცენ-ტრალისტური მიდრეკილება. — და თქვენ მიიღებთ რუსეთის როგორც მთე-ლის ანარქიისაკენ გაქანებას.

აი ასეთ დროს, როცა მთელი რუსეთი უფსკრულისაკენ მიექანება, კადე-ტები ჭარის გაჭანსალებზე და ოძის გაგრძელებაზე ფიქრობენ; მენშევიკები და ესერები იმედებს ჰარიზის კონფერენციაზე ამყარებენ. — ბოლშევიკები და მაქსიმალისტები კი თვითონ ამ ანარქიას მიჰყვებიან. მკითხველისათვის ცხა-დია, რომ ანარქია იმარჯვებს და ამასთან ერთად მისი იდეოლოგებიც.

გუშინ საგულისხმო ცნობები მოვიდა. პეტროგრადში დაარსდა სამხედრო-სარევიოლუციო კომიტეტი პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსი (ბოლშევიკე-ზისაა უმთავრესად). ამ კომიტეტს ბრძანება გაუცია პეტროგრადის გარნიზო-ნის შიშართ — არ დაემორჩილოს იგი არც ერთს მოწოდებას დროებითი მთავ-რობისას, თუ იგი მოწოდება დადასტურებული არ იქნება უწყებელი კომი-ტეტით. ამით უკვე ომია გამოცხადებული ბოლშევიკების მიერ დროებითს მთა-ვრობასთან, როგორც გადმოგვცემენ. ბოლშევიკებს უკვე დაუკავებიათ რამდე-ნიმე პუნქტი: ფინლიანდიის ვაგზალი, ნიკოლოზის ხიდი და სხვა. საქმე იქამ-დისაც კი მისულა, რომ პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტო ბოლშევიკებს ჩაუგდიათ ზელში. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთის ლეგა ღრუბლები საშიშრო-ებით გადმოგვცქერენ.

ასეთია საქმის ვითარება. ადვილი შესაძლებელია, ამ შეხლაში ბოლშევიზმი გამოვიდეს გამარჯვებული. ახლა თუ არა, ახლო მომავალში მაინც, რადგან რუსეთის დღევანდელი ტენდენცია აქითკენაა მიმართული (რასაკვირველია, თუ ეს ტენდენცია რაიმე გარეშე ძალამ არ შესცვალა). მაგრამ ნურავის დაავიწ-ყდება ერთი რამ: ვინც იმარჯვებს ანარქიით იგი იმავე ანარქიით დაიღუპება. და ამ მხრივ არც ბოლშევიზმია საშიშო.

კერძოდ, კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის ერთი რამ არის საჭირო: ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტ-როგრადის ნისლში მოელანდებათ. ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს, — და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევიოლუციაში შობილი ეროვნუ-ლი განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოესპოთ.

1918 წ.

კლასიური და ეროვნული

კლასიური და ეროვნული: — ამ დაპირისპირებას ჩვენში ძველად თეორი-ული ხასიათი უფრო ჰქონდა ვიდრე კონკრეტი სინამდვილის. თანადროული ანარქიის ეამს ეს დაპირისპირება ცხოვრების ნამდვილს სიმახვილეს ღებუ-ლობს. თამამად შეიძლება ითქვას: კლასიურის და ეროვნულის დაპირისპირე-ზის უმართებულო გადაწყვეტამ დააღუპა რუსეთის ხელმწიფებითი ძლევა-მო-სილობა. ესევე დაპირისპირება დაღუპვას უქადის საქართველოს გამთელების იდეას. — და ჭეროვანია დღეს მართებულად გადაიჭრას იგი.

კლასიურისა და ეროვნულის დაპირისპირებაში უპირატესობა პირველს ეძლეოდა სოციალისტური სწავლებით. — განსაკუთრებით სოციალიზმის მარ-ქსისტული მიმდინარეობით. კლასთა ბრძოლა, როგორც ერთგვარი ჩარხი ის-ტორიის, ჩარკინებულია მარქსიზმის მტკიცე სოციალ-ეკონომიურ კონცეპცი-

აში. უკანასკნელის სწავლებით სოციალური ცხოვრების ამჟამობაზედ მუხტად „მწარმოებელ ძალთა“ წარმოადგენს. „მწარმოებელი ძალები“ საზღვრავენ „წარმოების ურთიერთობათ“ (ამ მუხტში უმთავრესად „კონკრეტული ურთიერთობანი“ შედიან). კლასთა ბრძოლა თავსაჲს აკოფს „წარმოების ურთიერთობაში. თვითონ დაყოფა საზოგადოებისა კლასებად თანაუდრის სოციალურ დაყოფას და ენება „სოციალური“ იფარება ენებით „ეკონომიური“. მარქსიზმი მართავს „ეკონომიკას“ ერთად ერთს პრინციპად სოციალურს ვითარებაში. — და სოციალურს ცხოვრებაში სცნობს მხოლოდ კლასიურ დაყოფას: ყველა სხვა დაყოფა: რასიული, ეროვნული, რელიგიური და სხვა. — მარქსიზმი-სათვის ან სულ არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობას. — ან თუ წარმოადგენს, მხოლოდ იმდენად, რამდენად ამგვარი დაყოფა მარქსიზმის აზრით, მხოლოდ უბრალო ვარიაციაა კლასიური დაყოფისა. ყველასათვის ცნობილია, მაგალითად მარქსიზმის შეხედულება შესახებ ომისა. საცა ვითომ ყველაფერი „ეკონომიკით“ იხსნება და მაშასადამე ბოლოს და ბოლოს აშკარადება კლასთა ბრძოლით. ამ რწმენით იყო აშენებულ სახელგანთქმული „ინტერნაციონალი“ მისი მაგარი დევიზით: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

აქ არ შევეუდგებით ამ შეხედულების გარჩევას — ამისათვის საჭიროა მარქსიზმის გამოსავლელი მუხტების გარჩევა. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ცხოვრების სინამდვილეს, რომელიც არ დაეთია (—და არც შეიძლება დატყვებულიყო) მარქსისტული აზრის ფარგლებში. დღეს „ინტერნაციონალი“ ფაქტიურად არ არსებობს: მისი ეფემერობა სრულიად აღარ არის თეორიის საკითხი: იგი უკვე ფაქტის უტყუარი საკითხია. მარქსელებს ყოველთვის ავიწყლებოდათ ერთი რამ: სახელდობრ ის, რომ კლასებად დაყოფის გარდა არსებობს სხვადასხვა ეროვნებად დაყოფა. — და კიდევ მეტი: მათ ავიწყლებათ, ისიც, რომ თვითონ კლასიურ დაყოფას ისტორიაში აქვს მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც იგი ეროვნულს დაყოფაში სწარმოებს. რადგან შეუძლებელია არსებობდეს კლასებად დაყოფა, თუ იმ თავითვე არ არსებობს ორგანიული მთელი. საცა ეს დაყოფა ხდება. ანუ თუ არ არსებობს ეროვნული სხეული. მეორის მხრით მათ თითქმის მისტიურად სწამდათ საერთაშორისო პროლეტარიატის რეალობა მისი სოციალური ინტერესებით: მის სხვა ინტერესებს (თუ გინდ ეროვნულს) ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

პირველში თანადროულმა ომმა დაარღვია ასეთი შეხედულება. საერთაშორისო პროლეტარიატი ამ საშინელ ომში უფრო „მოჩვენებად“ გამოჩნდა ვიდრე ფესვებამდგარ სინამდვილედ. — და „ინტერნაციონალის“ მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ — შეიცვალა სრულიად სხვაგვარ მოწოდებად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა იბრძოლეთ სამშობლოსათვის“. პროლეტარიატი ნამდვილს განცდაში აღმოჩნდა, რომ ეროვნული მომენტი მასში ბევრად უფრო ღრმა და რთული ყოფილა, ვიდრე სოციალური მომენტი. სინამდვილეს ვერავინ უარყოფს: ერთი ქვეყნის პროლეტარიატი ებრძვის მეორე ქვეყნის პროლეტარიატს. შესაძლოა სახელმწიფო ძალა მას ძალას ატანდეს?! მაგრამ ეს მართალი არ არის: ყველა ქვეყნის პროლეტარიატი იბრძვის შეგნებულად და ზოგის მათგანის ბრძოლას ერთგვარი აღფრთოვანების პათოსიც ახასიათებს. როცა რუსეთის სოციალისტურმა ჯგუფმა პლებანოვი თ სათავეში ცნობილი მოწოდება გამოსცა, ეს მადასტურებული იყო მისი ეროვნული შეგნებისა შესახებ სამშობლოს ხელმწიფებითი თავდაცვისა. გერმანიაზე ლაპარაკი მეტია: იქ „გენოსსე“ შეიდგანი საეროვნო საკითხში

ყოველთვის ხელს უწყვიდა „ჰერა“ ბეტმან-პოლევეგს, ასეთი საქმე დამართვასა და საერთაშორისო ომმა კლასთა ბრძოლის თეორიას, მართალია, აქა იქ ამტკიცებდნენ, ვითომ დღეს ერთიმეორეს ებმებიან არა ხალხები, არამედ სახელმწიფოები — მაგრამ, ჭერ ერთი, თანადროული სახელმწიფო უახლოვედება ეროვნული ტიპის სახელმწიფოს (მაგალითად: გერმანეთი, საფრანგეთი და სხვა), — და მეორეც, საქმე ისაა, რომ თანადროული ომი მართოდ მართო კლასთა ბრძოლისაგან არ გამოიყვანება, — და ეს კი თავი და თავია ხსენებული დოქტრინისათვის.

რევოლუციის დაწყებისას ბევრს ეგონა საერთაშორისო პროლეტარიატის საქმე გამოსწორდებოდა, მაგრამ დღეს ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის რევოლუციამ ევროპის პროლეტარიატში ვერ გამოიწვია სათანადო გამოხმაურება, პირიქით: ევროპაში დღეს იმგვარივე მდგომარეობაა პროლეტარიატის სულის განწყობილების მხრივ, როგორც იყო რუსეთის რევოლუციის დაწყებამდე, და თვითონ რუსეთშიაც: პროლეტარიატის მიერ წამოყენებული კლასთა ბრძოლა იმარჯვებს იმდენად, რამდენად იგი ეროვნულს ხელმწიფებაში ყალიბდება, ავიღოთ ფინლანდია ან უკრაინა: პირველშია და მეორეშიაც უცილოდ გაღრმავებულია კლასთა ბრძოლა. — მაგრამ უკანასკნელი დაქვემდებარებულია ეროვნულს მომენტს, იქ, საცა წინააღმდეგი ხდება — მაგალითად ველკორუსისაში. — იქ კლასთა ბრძოლა ეროვნულ ხელმწიფებასაც ღუპავს და თვითონ რევოლუციასაც.

ამ სინამდვილის მართებული თვისება განსაკუთრებით საჭიროა დღეს საქართველოსათვის, საქართველოს ოთხმოცდაათი პროცენტი წვრილი მესაკუთრეა, მაგრამ რალაც განგებით (თუ გაუგებრობით) ეს ოთხმოცდაათი პროცენტი სოციალისტურ პარტიას ემხრობა, მასში რასაკვირველია კლასთა ბრძოლის იდეა არ არის გაღრმავებული, მაგრამ მასთან შედარებით ეროვნული შეგნება სრულიად არ სჩანს, საქართველოს უმეტესობა სოფელს ეკუთვნის, — და ამ დროს როცა საქართველოს გაერთიანება ეჭირება სოფლად ნამდვილი ანარქია სწარმოებს, ზოგჯერ კლასური განხეთქილებით წარმოშობილი, დღეს სოფელში ხშირად გაისმის ასეთი თქმა: ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება საქართველოს ბატონი, რუსი თუ თათარი. — ეკონომიური მოძრეობა სულ ერთია ვისგანაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, სომხისაგან თუ ქართველისაგან, ასეთი უთუოდ ეროვნული დეკადანსის ნიშანია, ჩვენ სრულებით არ უარვყოფთ კლასთა ბრძოლას, — ან როგორ შეიძლება მისი უარისყოფა, როცა იგი სინამდვილის ნატეხია, ჩვენ უარვყოფთ მხოლოდ იმ აზრს, ვითომ მთელი კაცობრივი ისტორია კლასთა ბრძოლის ნაყოფს წარმოადგენს, ჩვენთვის ისტორიაში არსებობს უფრო მეტი მნიშვნელოვანი მოვლენა ვიდრე კლასთა ბრძოლა: — ეს არის ეროვნება, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს შემდეგი: არსებობს ვრი — და შემდგომ: არსებობს ერში კლასთა ბრძოლა, თუ ვრი არ არსებობს როგორც ერთი მთლიანი სხეული, მაშინ არც კლასთა ბრძოლას ექნება ადგილი, განსალი ერის ცხოვრებაში ეს ორი მომენტები სწორეთ ამ რიგათ ესაზღვრებიან ერთი მეორეს, ამის ნათელს მაგალითს ევროპის ერები წარმოადგენენ, სულ სხვაა ავადმყოფი ვრი: აქ ამ ორი მომენტის განსაზღვრა არ არის წეროვან-გამართული: აქ უმეტეს წილ კლასთა ბრძოლის იდეა სჭარბობს, და ეს ასეც უნდა იყოს: ავადმყოფს სხეულში „მთელი“ უძღურდება, ხოლო მისი ნაწილები ერთი მეორეს სჭამენ „მთელის“ ადგილს, ყოველმა ქართველმა ემშობრად უნდა აითვისოს ის მოვლენა, რომ საქართველოს სხეული ისტო-

რიულად დაავადებულია: მასში უთუოდ ცნაურდება ეროვნული დეკადანსი. ქართველს თავის ეროვნულს ფსიქიკაში ნაწილის წარმოდგენა და განცდა უფრო შეცვლილია ვიდრე მთელისა. ეს მოვლენა თავსა ჰყოფს საქართველოს ყოველი დარგის შემოქმედებაში. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ქართველის აზრისათვის უფრო მისახვედრია კლასთა ბრძოლა ვიდრე ეროვნული მთელობა. აქედანვე იხსნება ის უცნაური მოვლენაც — თუ რათ მიჰყვება საქართველო სოციალისტურს მიმდინარებას: ეს მისი ეროვნული დეკადანსის ნაყოფია.

ასეთს პირობებში ისტორიული რეცეპტის გამოწერა ძალიან ძნელია. სანამ ქართველობა არ გაჯანსაღდება, მანამდე მისი ხელმწიფება საძნელოა მეტად. სოციალისტები ამბობენ: ეროვნული თვალსაზრისითაც უნდა მიიღოთ თქვენ სოციალიზმიო, — რადგან მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია იხსნას საქართველოო. ასეთია უმრავლესობის რეცეპტი. ზემონათქვამი კი უფრო საწინააღმდეგო რეცეპტს გვიკარნახებს: დღეს ისეთი მდგომარეობაა საქართველოსი, რომ სოციალისტებმა სწორეთ სოციალისტური თვალსაზრისით უნდა მისცენ უპირატესობა ეროვნულს მომენტს, — რადგან მხოლოდ თავისუფალს ეროვნულს სხეულში შეიძლება კლასთა ბრძოლის გარმავეება და მისი მართლებული სოციალური გადაწყვეტა. თანადროულ ქართული პოლიტიკა ამ დიღღემას ვერ ასცდება, — და შიგნით საქართველოს ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ მისი პოლიტიკოსები რომელ მომენტს რომელს ანაცეალებენ: კლასიურს ანაცეალებენ ეროვნულს, თუ პირიქით, ეროვნულს — კლასიურს.

ბრალდებულის „ადიარების პრეზუმფციის“ პრინციპი, რომელიც თავის დროზე ობერ-პროკურორ ვიშინსკის მიერ უმთავრესი პროცესუალური მტკიცებულების რანგში იყო აუვანდი იხვევ, როგორც გამოძიებაში მყოფ პირზე ზემოქმედების სხვა უკანონო საშუალებანი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ამოძირკული. ცნობილი ინგლისელი ფსიქოლოგისა და მეცნიერების პოპულარიზატორის, უფროსად „საიქოლოჯი ნიუსი“ მთავარი რედაქტორის, დოქტორ დ. კოენის წინამდებარე წერილი მოწმობს, რომ ეს პრობლემები მხოლოდ ჩვენთვის როდია აქტუალური.

დვიდ კოენი

„მტკიცებულებათა დედოფალი“ ფსიქოლოგიის სამსჯავროზე

„როცა პოლიციაში წაგიყვანენ, იწყებენ შენს წამებას, რათა აგალაპარაკონ“, — მომითხრო სინმა. როგორც მანვე დააზუსტა, ამ დროს იყენებენ არა ფიზიკურ, არამედ მორალურ წამებას. მაგრამ ეს საშინელი წამებაა.

სინი 17 წლის ყმაწვილია ბელფასტიდან, რომელსაც რამდენიმე ნასამართლობა აქვს წერილმანი დანაშაულისათვის, ძირითადად მანქანების გატაცების, გასართობი მოგზაურობის, კონების დაზიანებისა და იმისთვისაც კი, რომ ერთხელ „საბრაზნისით იყო შეიარაღებული“. სინის სიტყვებით, დაკავების შემდეგ, ჩვეულებრივ, ორი პოლიციელი ჰკითხავდა; ისინი დაეინებით ითხოვდნენ, რომ მას „განეწმინდა თვისი სინდისი“ და ელიარებინა სხვა დანაშაულიც, რომელიც „შეიძლება ყურადსაღები ყოფილიყო“. ისინი თვლიან, რომ ყველაფერი ეს იმისთვის კეთდება, რათა „დაიხუროს გაუხსნელი საქმეები“. ზოგიერთ შემთხვევაში მას უღიარებია კიდევ ჩაუდენელი დანაშაული, რადგან ძლიერ დაწოლას განიცდიდა.

თვითდაზარალება ახალი მოვლენა რეალია

ფსიქოლოგების მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე ჩატარებული გამოკვლევები მოწმობენ, რომ დაკითხვისას სარისკოა მთლიანად ჩვენებებზე დაყრდნობა. როცა ცნობილი გახდა, რომ ბრალდებულს, ხშირად უნებლიედ, უბიძგებენ ბოლმე მცდარი ჩვენებისაკენ, აუცილებელი შეიქნა დაკითხვის პროცედურის საფულდაფულო გადახედვა. მართლმსაჯულების ორგანოები ახლა მოვალენი არიან მხედველობაში მიიღონ აღიარების ფსიქოლოგიური ასპექტები.

ასი წლის წინ განთქმული ფრანგი ფსიქონევროლოგი ჟან მარტენ შარკო ასწავლიდა ახალგაზრდა ზოგმუნდ ფროიდს, რომ პაციენტები იოლად ემორჩილებიან ჩაგონებას. ისინი ხშირად ავლენენ სიმპტომებს, რომელთა აღმოჩენასაც ცდილობს ეკიმი. ასეთ შესაძლებლობაზე თავის მხრივ თვითონ ფროი-

დიც აფრთხილებდა ფსიქოანალიზის სპეციალისტებს, ჩვენი საუკუნის 60-
წლებში ფსიქოლოგებმა მკაოდოლოგიური თვალსაზრისით მეტად შემაზფო-
თებელი ფაქტი აღმოაჩინეს: გამოსაცდელი პირები ხშირად სრულიად ქვეც-
ნობიერად აჩვენებენ შედეგებს, რომლის მიღწევასაც ექსპერიმენტატორი
ცდილობს. ამან გამოიწვია კვლევის პრაქტიკაში „ორმაგად ბრმა გამოცდის“
ფართო დანერგვა. კარგ ფსიქოლოგს ყოველთვის სძლევს ხოლმე ეჭვი, რო-
ცა გამოსაცდელი პირი იდეალურ შედეგებს იძლევა. პოლიციის უბნის მიმარ-
თებით, აქ „იდეალურ შედეგად“ სწორედ დანაშაულის ჩადენის აღიარება ით-
ვლება.

ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორები 30-იანი წლებიდან ავლენენ ინტერესს
იმ ფაქტორების მიმართ, რომლებიც ადამიანის, განსაკუთრებით კი დაწოლის
ქვეშ მყოფი ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედებენ. კლასი-
კურმა გამოკვლევებმა (მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი სოლომონ აში,
რომელმაც დაამტკიცა რომ ადამიანები ხედავენ ჯოხს სწორს ან მოლუნულს
იმის მიხედვით, თუ რას ეუბნებოან მას სხვები) აჩვენა, თუ რამდენად ძნელია
ერთი კაცისათვის ადამიანთა გჯუფის დაწოლას გაუძლოს. მთავარია მოგზე-
დეთ, რომ საკანში მოთავსებულ ექვმიტანილს პოლიციელები ზელისუფლე-
ბის ძლევაგამოსილი წარმომადგენლები ჰგონია (და არც თუ ისე უსაფუძე-
ლოდ).

ამასობაში, „გილფორდის ოთხეულის“ (ირლანდიური წარმომობის ოთხი
ბრიტანელი, რომლებმაც 15 წელი დაჰყვეს პატიმრობაში ქალაქ გილფორდში
აფეთქებების ორგანიზაციაში უსაფუძვლო ბრალდებისა გამო, უდავო მტკი-
ცებულებების ზეგავლენის შედეგად ჩსინი გასული წლის შემოდგომაზე გა-
ათავისუფლეს. — რედ.) გაათავისუფლების სკანდალის მერეც კი შინაგან საქ-
მეთა სამინისტრო განაგრძობს მტკიცებას, რომ 1986 წელს ძალაში შესულ კა-
ნონს პოლიციურ და სისხლისსამართლებრივ მოკვლევაზე შეუძლია უზრუნ-
ველყოს იმ პირთა სათანადო დაცვა, რომლებიც ადვილად ექცევიან შთაგო-
ნების ქვეშ. კანონი აღიარებს რისკს, რაც თან სდევს ექვმიტანილთა იზოლა-
ციას. პოლიციელთა მიერ ჩატარებული დაკითხვები, აუცილებელი წესით იწე-
რება ფირზე, რის წინააღმდეგაც პირველხანს პოლიცია აქტიურად ილაშქ-
რებდა. ამჟამად ექვმიტანილთა დაკითხვა ჩვეულებრივ ადვოკატის თანდასწ-
რებით ხდება.

ყველაზე მეტად ჩაგონება ექვმიტანილთა სამ კატეგორიაზე მოქმედებს:
ბავშვები, გიგები და გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანები. მათი დაკითხვა
არ შეიძლება ნდობით აღჭურვილი პირის დასწრების გარეშე. მაგრამ ასეთი
წინდახედულება შეიძლება არასაკმარისიც აღმოჩნდეს, განსაკუთრებით თუ გა-
ვითვალისწინებთ პოლიციის მიერ კანონიდან გადახვევის ცნობილ ფაქტებს,
რომლებიც გამოაშკარავდა მიდლსექსის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამ-
შრომლის ჯონ იანგისა და სატელევიზიო პროგრამა „ოფიციალური ცნობების“
მიერ დაქირავებული ადვოკატების მიერ ჩატარებული გამოკვლევით.

ეტყობა, ადამიანები აღიარებენ ვითომ ჩადენილ დანაშაულს სხვადასხვა
ფაქტორების რთული კომბინაციის ზემოქმედების შედეგად. ასეთ ფაქტორებს
განეკუთვნება: გონებრივი შესაძლებლობების მაჩვენებელი, ხასიათის თვისე-
ბები, ჯანმრთელობისა და ფსიქიკის მდგომარეობა დაკითხვის მომენტში, ხო-
ლო ყველაზე მთავარია — ექვმიტანილის მიერ საკუთარი შეფასება ვითარები-
სა, რომელშიც იგი აღმოჩნდა.

თვითგათვლა ახალი მოვლენა არ არის მაგრამ ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ მას ჩვეულებრივ მხოლოდ ფიზიკური წამებისა ან მისი გამოყენების მუქარით აღწევდნენ. ენა და არკმა, როცა საწამებელი ძელი ემუქრებოდა, უარყო, რომ ანგელოზების ხმები ესმოდა. მასაჩუსეტის ქალაქ სალემში 1693 წელს გამართულ სასამართლო პროცესების დროს ბევრმა ქალმა აღიარა, რომ ისინი კუდიანები იყვნენ და საიდუმლო რეწვას ეწეოდნენ, უფრო მეტიც, კავშირი გვაქვს ეშმაკთანო. თითქმის ყველა შემთხვევაში ქალებს წამებით ემუქრებოდნენ და თავისი ახლობლების სიცოცხლის გამო აშინებდნენ. ცრუ ჩვენებების უდიდესი „იმპრესარიო“ იყო იოსებ სტალინი. 1938 წლის მისი საჩვენებელი პროცესების მსხვერპლი თითქმის ყოველთვის ძალდატანებით აღიარებდა თავს დამნაშავედ.

არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ადამიანები წამების მუქარის ქვეშ აღიარებენ თავის ბრალს ჩაუდენელ დანაშაულში. გასათვალისწინებელი და ფსიქოლოგიური მოწმობანი იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანი მზადაა აღიაროს თავი დამნაშავედ გაცილებით ნაკლებად საშიში მუქარის ზემოქმედების შედეგად. გუდიონსონი და ჯიმს მაკეიტი — ფსიქიატრები, სასამართლო მედიცინის სპეციალისტები — ეურნალ „მედიცინა, მეცნიერება და კანონის“ ამასწინანდელ გამოშვებაში აღნიშნავენ, რომ ცრუ აღიარების სამი ძირითადი ტიპი არსებობს.

პირველი არის ნებაყოფლობითი აღიარება. ასეთი აღიარება ექვმიტანილზე პოლიციის მხრიდან რაიმე ზეგავლენის გარეშე კეთდება. ადამიანი უბრალოდ მოდის პოლიციის უბანში და აღიარებს დანაშაულს, რომელიც არ ჩაუდენია. ერთი ასეთი დრამატული შემთხვევა მოხდა, როცა გაიტაცეს ზარლზ ლინდბერგის (ცნობილი ამერიკელი მფრინავი, 1927 წელს გადაუფრინა ატლანტიკას დაჯდომის გარეშე. — რედ.) ბავშვი, 200-ზე მეტმა კაცმა განაცხადა, რომ სწორედ მათ ჩაიდინეს დანაშაული. ამგვარი აღიარებების მიზეზები სათავეს იღებს ადამიანის სურვილიდან — უბრალოდ მიიტკიოს ყურადღება, იგი აგრეთვე ბრალის ჰიპერტროფირებულ გრძნობასაც მოიცავს.

ცრუ აღიარების მეორე სახედ გუდიონსონი და მაკეიტი ასახელებენ „იძულებით პირფერობას“. პატიმრობა (თუნდაც მოკლევადიანი) იწვევს სტრესს, რასაც პოლიციური და სისხლისსამართლებრივი მოკვლევის შესახებ კანონიც აღიარებს. უდანაშაულო ადამიანი პირველად საპოლიციო უბანში რომ მოხვდება კალაპოტიდან ვარდება. მას ჩხრეკენ და ათავსებენ ნახევრად ჩაბნელებულ საკანში, სადაც ვერაფერს ვერ წაიკითხავს და ვერაფერს ვერ გაესაუბრებს. ბირმინგემის უნივერსიტეტელმა ენდრიუ სანდერსმა შეისწავლა თუ როგორ ატარებენ ექვმიტანილის დაკითხვას პოლიციის ათ უბანში. მან მითხრა: „დაკითხვის მიზანია აიძულონ ადამიანი თქვას ის, რაც არ უნდა თქვას. პოლიციელები ძალიან სწრაფად პოულობენ ექვმიტანილში სუსტ მხარეებს. მე რომ აღმოვჩენილიყავი საკანში — მარტოხელა, გათოშლილი, შეშინებული, — მეც ავლაპარაკდებოდი“.

პოლიციას არა აქვს უფლება დააკავოს ვინმე 36 საათზე მეტი ხნით. ამის შემდეგ საქმე სასამართლოს უნდა გადასცენ გადასაწყვეტად. მაგრამ ექვმიტანილს იშვიათად გააცნობენ ხოლმე კანონის ამ მოთხოვნას. ადამიანებს ექმნებათ ისეთი გრძნობა, თითქოს ისინი სამუდამოდ დარჩებიან საკანში. სხვა-

დასხვა სტრესტოა ერთობლიობას ზოგი ღრმა დათრგუნვამდე მიჰყავს. მესამე დღე იხედავს, რომ ალარ უფიქრდებიან ბრალის აღიარების სამომავლო შედეგებს. ხშირად მათ აგრძობიანებენ, რომ როგორც კი ისინი აღიარებენ ყველაფერს, მათ საწინდრით გაუშვებენ. ერთი ადამიანი, რომელიც სრულიად უსამართლოდ დააკავეს შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობის ეჭვით, იხსენებს, რომ ერთადერთი, რაზეც ფიქრობდა პატიმრობაში ოთხდღიანი ყოფნის დროს, იყო ის, თუ როგორ გასცილებოდა იქაურობას. მაკეიტის აზრით, გადაწყვეტილებას, რომელსაც პატიმრობაში აყვანილი იღებს, საფუძვლად ამწუთიერი მოსაზრებანი უდევს. კევი როსი, კენტიშ-დაუნში (ლონდონის ერთ-ერთი რაიონი — რედ.) მცხოვრები ახალგაზრდა ქალი, ნასამართლობის არმქონე, ოთხი სამართალდარღვევის ბრალდებით დააპატიმრეს. მან მოგვითხრო, რომ გრძობდა, საწინდრით მაშინ გათავისუფლდებოდა, თუ პოლიციას იმ ჩვენებას მისცემდა, რომელსაც მისგან ითხოვდნენ. მასთან ადვოკატი რომ არ ყოფილიყო, იგი აუცილებლად მისცემდა ცრუ აღიარებას. ადამიანმა, რომელმაც დანაშაული ამგვარ პირობებში აღიარა, მშვენივრად იცის, რომ არ გაუკეთებია ის, რასაც აბრალებენ. აქ ადგილი აქვს სასოწარკვეთილებას და არა გონების დაბინდვას.

მესამე — „ათვისებული ძალდატანებითი აღიარება“. იგი უფრო იშვიათად გვხვდება. ვიდრე მეორე ტიპის აღიარება. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანები მართლა იჭერებენ იმას, რასაც მათ პოლიცია ეუბნება. ისინი უბრალოდ კი არ ეთანხმებიან პოლიციას, რათა მიიღონ თავისუფლება, არამედ შინაგანად იჭერებენ ასეთი აღიარების მართლზომიერებას. კეროლ რიჩარდსონი, ერთ-ერთი „გილფორდის ოთხეულიდან“, მიყვებოდა, რომ როცა პოლიციელმა ქალმა გააწნა სილა და გააცნო მისი მეგობრის განცხადება, თითქოსდა მას ბრალი მიუძღვოდა დანაშაულში, მისთვის რალაც გარდატეხის მომენტი დადგა. ასეთ წუთებში, მითხრა მან, „ეჭვები გებადება“.

პოლიციელთა დამაჯერებლობა თავისთავად აიძულებს ბრალდებულს ეჭვი შეეპაროს იმ სიმართლეში, რაც მას ახსოვს. ბრალდებულები იოლად ექცევიან შთაგონების გავლენის ქვეშ.

„მსიქოლოგები“ პოლიციის მუნდირაგში

თეორიულად გამოცდილ გამომძიებელს უნდა შესწევდეს უნარი გამოამყლავნოს შთაგონებისაკენ მიდრეკილი პირები. მაგრამ პოლიციელები, თუმცა მათ ხშირად უნდებათ დაკითხვა, ამ მხრივ არასაკმარისად არიან მომზადებულნი. პოლიციის მოხელეები გაოცებულები დარჩნენ მაგნიტოფონის ფირზე მოსმენილი დაკითხვების ხარისხით. უფრო მეტიც, პოლიციელთა მომზადებაში დიდი ყურადღება ექცევა სწორედ „დაწოლის სტრატეგიას“ დაკითხვის დროს, რასაც ცრუ აღიარებამდე მიყავართ.

ინგლისში 1987 წელს გამოცემულ წიგნში პოლიციური დაკითხვის წარმოების შესახებ, რომელიც ინსპექტორმა, ამჟამად კენტის პოლიციის კომპიუტერიზაციის ოფიცერმა ჯონ უოკლიმ დაწერა, აღწერილია დაკითხვის შეიდი ძირითადი სტრატეგია. მათ რიცხვს, სხვათა შორის, განეკუთვნება: „მათრახისა და თაფლაკვერის“, უწყვეტი დაკითხვისა და „დაწოლის“ სტრატეგია. უოკლი ამტკიცებს, რომ ცრუ აღიარებები ძალზე იშვიათია და სრულიად კანონიერია გამოვიყენოთ ბუნებრივი სტრესები, რომლებიც დაკითხვის ვითარებაში ჩნდება, რათა ვაიძულოთ ეჭვმიტანილი გამოტყდეს ნამოქმედადში. ამასთან, იგი

„დწერს მკვლევარნი ფსიქოლოგიურ ბრძევებს, რომელსაც მიმართავს პოლი-
ცია, მათ შორის, დაკითხვის მკაცრ მანერას ან აღიარების უარყოფითი შედე-
გების მნიშვნელობის შემცირებას. უოკლი თავგამოდებით იცავდა თავის
წიგნს ჩემთან საუბრისას, თუმცა, ვფიქრობთ, ეს ფსიქიკური ძალადობის პირ-
დაპირი ქადაგებაა.“

ზოგიერთი ფსიქოლოგი, ეკრძოდ, ერიც შეპერდი ლონდონის საქალაქო
პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, ამტკიცებს, რომ ამჟამად პოლიციური მოკ-
ვლევის ორი სკოლა არსებობს: ეს არის „სტრატეგიული“ — უოკლის ტიპისა
და „ეთიკური“ სკოლა, რომლის რიცხვს, უწინარესად, მერსისაიდური პოლი-
ციის სასწავლებელი ეკუთვნის, სასწავლებლის პედაგოგ, ინსპექტორ-გამომძიე-
სელ ფრანგ კაიტს მიაჩნია, რომ „დაწოლის ზემოქმედების შეშვეობით ადა-
მიანს შეიძლება ყველაფრის თქმა აიძულო“. მაგრამ ამან შესაძლოა მეტად ნე-
გატიური შედეგები გამოიწვიოს. უოკლი კი უარყოფს მისი მიდგომის არა-
ეთიკურობას და ამტკიცებს, რომ ექვმიტანილები „თავდაჩურებული, გაიძვრა
და მოურჯულებელი“ დამნაშავენი არიან, რომელთაც პროფესიონალური და
სისტემატური დაკითხვა უნდა მოუწყო.

ბოლო რამდენიმე წელია ყველა ინგლისელი პოლიციელი დაინტერესდა
ფსიქოლოგიით, გაჩნდა ინტერესი, მაგალითად, პოლიციის ოფიცერთათვის
„სხეულის ენის“ ნიუანსების შეგრძნების უნარის სწავლებისადმი, რამაც შე-
იძლება უკარნახოს მათ, რომ ადამიანი ცრუობს ან უკიდურეს შემთხვევაში
ნერვიულობს, ძალზე ხშირად, სამწუხაროდ, ისინი მიდრეკილნი არიან ბრალ-
დებულთა სისუსტეების თავის სასარგებლოდ გამოყენებისადმი, ვიდრე მათი
შესწავლისადმი.

აქამდე არ არის შემუშავებული შთაგონების რაოდენობრივი განსაზღვ-
რის, მისი ხარისხის დადგენის სრულფასოვანი მეთოდი, მაგრამ დღეისათვის
მდგომარეობა იცვლება, გუდიონსონმა შთაგონებისადმი მიდრეკილების ტეს-
ტი შეიმუშავა, რაც ამ სფეროში ჩვენი შეშეცნებისათვის წინ გადადგმული ნა-
ბიჯია, ამ ტესტით გამოსარკვევ პირს რაიმე ისტორიას უყვებიან, შემდეგ აძ-
ლევენ დამატებით ინფორმაციას და სთხოვენ პირვანდელი ისტორიიდან ცალ-
კეული ეპიზოდები გაიხსენოს, დამატებითი ინფორმაციის რაოდენობა, რო-
მელსაც გამოსაცდელი პირი მოგონებისას რთავს, შესაძლებლობას გვაძლევს
ექსპერიმენტულად განვსაზღვროთ, რამდენად იოლად ექცევა ეს ადამიანი შთა-
გონების ზეგავლენის ქვეშ სწავათა მიმართაც, გუდიონსონმა გამოიყენა აგრეთ-
ვე ტესტი დათმობის გამოსარკვევად, რომელიც უჩვენებს, თუ რამდენად დი-
ლია იმის შესაძლებლობა, რომ გამოსარკვევი პირი მაგარი ხასიათის მქონე
კაცის წინადადებებს დათანხმდება, ზოგიერთ მსჯავრდებულზე ჩატარებული
ამგვარი გამოცდების შედეგები სასამართლოს წაუყენეს იმის მტკიცებულე-
ბად, რომ მათი აღიარება შეიძლება არ იყოს უტყუარი.

ენჯინ რაგიპი ერთ-ერთი იმ სამი მსჯავრდებულთაგანია, რომელთაც ბრა-
ლი დაედოთ პოლიციელ ბლეკლოკის მკვლელობაში ბროდუოტერ-ფარმში,
რაგიპმა ხელი მოაწერა აღიარებას, რომ თითქოს იმყოფებოდა იმ ბრბოში,
რომელიც ბლეკლოკს ქვებს უშენდა, ეს აღიარება მისი ბრალის ერთად-ერთი
მტკიცებულება იყო, რომელიც ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარე-
ბული დაკითხვის დროს გაკეთდა, შემდგომ იგი იქცა საბრალდებო განაჩენის
საფუძვლად, რაგიპის შეწყალების თხოვნის ნაწილს გუდიონსონის მიერ დაწე-
რილი მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი შეადგენდა, გუდიონსონმა მიაგნო,



რომ რაგვის გონებრივი შესაძლებლობების დაბალი მაჩვენებელი ქონდა მაგიეროდ, ძალზე მაღალი იყო მასში როგორც შთაგონებისადმი მიდრეკილება. ისე დათმობის უნარი, ეს კი ნიშნავს, რომ მას შეიძლებოდა უფრო ისეთი ჩვენება მიეცა პოლიციისათვის, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ ვიდრე ჭეშმარიტების შესაბამისი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა ამ არგუმენტების მოსმენაზე.

როგორც გუდიონსონი, ისე მაკეიტი აღნიშნავენ, რომ ცრუ აღიარება ჩვეულებრივ რამდენიმე ფაქტორის მოქმედების შედეგად ვლინდება: მოცემული პირის შთაგონებისადმი დაყოლის მიდრეკილება, მისდამი დამოკიდებულება, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა დაკითხვის დროს, ამ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების მარტივი განტოლება არ არსებობს, ყოველი შემთხვევა თავისთავად უნიკალურია. იმას, თუ როგორ ესმის მსჯავრდადებულს ის, რაც მის თავს ხდება, განსაკურებელი მნიშვნელობა აქვს. ზოგი შესაძლოა სრულ უსაფრთხოებაშიც იმყოფებოდეს, მაგრამ მაინც ღელავდეს, მნიშვნელოვანია, თუ როგორ აფასებს იგი ვითარებას.

არავის შესწევს უნარი დარწმუნებით თქვას თუ რამდენი ცრუ აღიარება კეთდება წელიწადში და რამდენი მათგანი შეიძლება დამთავრდეს პატიმრობით. მაგრამ ეს რიცხვი არც თუ ისე მკირეა. ორგანიზაცია „სამართლიანობა“ ამტკიცებს, რომ ყოველწლიურად, სავარაუდოდ 200-მდე უსამართლო განაჩენი გამოდის, რომელთაგანაც ბევრი ცრუ აღიარებაზეა დამყარებული. გუდიონსონმა მითხრა, რომ იგი ცრუ აღიარების არანაკლებ 150 შემთხვევას წააწყდა. „გილფორდის ოთხეულის“ გათავისუფლებიდან ერთი კვირის შემდეგ სააპელაციო სასამართლომ გაათავისუფლა რამონა კანალო, რომელიც სასჯელს შეიარაღებული ძარკვისათვის იხდიდა. სუსტ კაცს მას ვერ უწოდებ, იგი საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ვეტერანია. მიუხედავად ამისა, სტრესებმა იგი ცრუ აღიარებამდე მიიყვანეს.

ყველა ფსიქოლოგი როდი თვლის, რომ ბევრი ადამიანი იოლად ექცევა შთაგონების ზეგავლენის ქვეშ. ბარი ირვინგი საპოლიციო ფონდიდან ამტკიცებს, რომ ექვმიტანილები არც ისე სუსტები არიან, როგორც ამის დასაბუთებას გუდიონსონი და მაკეიტი ცდილობენ. იგი მიანიშნებს, რომ შთაგონებისადმი იოლად დამორჩილებადი ადამიანებიც კი „თავს მაღლა სწევენ და იწყებენ თავის დაკვას“. როგორც კი მიხვდებიან, რომ შეიძლება ციხეში ჯდომა მოუწიოთ, დედაქალაქის პოლიციის ყოფილი ინსპექტორი იან მაკენზი არ იზიარებს მთლიანად მაკეიტ-გუდიონსონის კონცეფციას, მაგრამ თვლის, რომ საკუთარი დაკვირვებიდან მისთვის ცნობილმა ბრეკებმა, რომელსაც გამოძიებლები მიმართავენ, შეიძლება ექვმიტანილი ცრუ აღიარებამდე მიიყვანოს, რაც, შესაბამისად, საბიფათოცაა.

თვითგათქმა ზიანს აყენებს არა მხოლოდ მათ, ვინც ამას აკეთებს, არამედ მთლიანად მართლწესრიგს. უდანაშაულოს შეცდომით თვლიან დამნაშავედ, ხოლო ნამდვილი დამნაშავე შეიძლება გარეთ დარჩეს და განაგრძოს ახალ ქმედობათა ჩადენა. ფსიქოლოგიამ, რასაკვირველია, უნდა ითამაშოს თავისი როლი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იღებენ ცრუ აღიარებას და როგორ უნდა იყოს ეს თავიდან აცილებული. დასაბამი იქნება, თუ მისი შედეგები ეკლავაც არ იქნება სათვალავში მიღებული.

„ნიუ ხაინტისტი“, ლონდონი
„ზა რუბეჯი“, 1990, № 32.

„უკანასკნელ ხანს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა მრავალი პუბლიკაცია, რომლებიც მიეძღვნა სტალინის პიროვნების კულტის პერიოდის რეპრესიებს.

მაგრამ მასობრივი რეპრესიებისა და სხვა დანაშაულობათა ორგანიზატორების სიაში რატომღაც მეტად იშვიათად იხსენიება ამჟამადაც კარგად მყოფი ლაზარე კაგანოვიჩი. მის სინდისზეა მილიონობით დაღუპულთა სიცოცხლე. თუმცაღა, რა სინდისი უნდა ჰქონდეთ ჯალათებს! ნომენკლატურული პენსიის მქონე ღრმად მოხუცი კაგანოვიჩი თავისი ბნის კარებს იქიდან შემთხვევით როდი უღერებს მუშტს ჟურნალისტებს, რომლებიც მისგან ინტერვიუს აღებას ცდილობენ...

**შურნალ „მომლოდინა გვარდიისი“ დაგაფილი
სარბი ნაუმოვის წერილის სარიდან.**

როი მედვადვი

ღლებრკელი სტალინელი

ლზარე კაბანოვიჩი დაიბადა 1898 წლის 10 ნოემბერს კიევის მახლ. კლად ებრელი ბეწადის შრავალშვილიან ოჯახში. სიღარიბე უმწვილი კაგანოვიჩი აიძულა მისი ოჯახი სწავლა. აითვისა მამის ხელობა და თოთხმეტი წლისამ მუშაობა დაიწყო ფეხსაცმელების ფაბრიკაში და მეწაღეთა ხაზელოსნოში.

უფროსი ძმის მიხეილის გავლენით, რომელიც სწოლშევიკთა პარტიაში 1908 წელს შევიდა, 18 წლის ლაზარე მათ მიემბრო. მისი ორი სხვა ძმაც ბოლშევიკი გახდა. ოქტომბრის რევოლუციას იგი შეხვდა როგორც ერთ-ერთი პროვინციის ბოლშევიკთა კომიტეტის ხელმძღვანელი.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ბოლშევიკები, თითქმის განუწყვეტლივ, ერთი პოსტიდან მეორეზე გადადიოდნენ. ასე იყო კაგანოვიჩიც. მაგრამ ღენინმა, ალბათ მის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან ვლადიმერ ილიჩის არც ერთი წერილი ან ჩანაწერი არ შემონახულა კაგანოვიჩის შესახებ.

ბოლო სტალინმა იგი, როგორც ჩანს, გამოარჩია ადგილობრივ ხელმძღვანელებს შორის. უკველ შემთხვევაში, 1922 წლის აპრილში, როგორც კი სტალინი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, მაშინვე გამოიძახა კაგანოვიჩი შუა აზიიდან. ხადაც იგი პარტიულ სამუშაოზე იყო, და ჩააბარა ცენტრალური კომიტეტის წამუყვანი განყოფილება. სწორედ ამ განყოფილებაში წყდებოდა პასუხსაგებ თანამდებობებზე ძირითადი დანიშვნები რუსეთის ფედერაციასა და სსრ კავშირში.

უკრაინის სათავაშო

ღენინის სიკვდილის შემდეგ დატროლებულ შიდაპარტიულ ბრძოლაში სტალინს უკიდურესად სჭირდებოდა უკრაინის მხარდაჭერა, რადგან მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, უკრაინა რუსეთის ფედერაციის შემდეგ მეორე იყო სიდიდით. მართლაც, სტალინის რეკომენდაციით 1922 წელს სწორედ კაგანოვიჩი აირჩიეს უკრაინელ კომუნისტთა ლიდერად.



როგორც საბჭოთა უკრაინის პარტიული ხელმძღვანელი იგი ფაქტობრივად დასავლეთ უკრაინის კომუნისტთა მეთაურიც იყო. დასავლეთ უკრაინა ხსრ კავშირის შემადგენლობაში არ იმყოფებოდა და კავანოვიჩმა აქაური კომუნისტები უხაფუძვლოდ დაადანაშაულა ნაციონალიზმსა და მავნებლობაშიც კი.

სტალინთან ჩადიოდნენ პარტიის წევრები და სხოვდნენ კავანოვიჩის განკვევას თავდაპირველად სტალინი უარზე უყო და მომჩივებს ანტიემპიტოვიზში ადანაშაულებდა. მაგრამ 1928 წელს იგი მაინც იძულებული გახდა დაებრუნებინა კავანოვიჩი მოსკოვში. ეს მისი მუშაობის გამო სტალინის უკმაყოფილებას როდი ნიშნავდა. პირიქით. კავანოვიჩი ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩიეს. ხოლო 1930 წლის დამდეგს იგი ხათავეში ჩაუდგა პარტიის მოსკოვის ვერ ხაოლქო. შემდეგ კი საქალაქო კომიტეტს.

ძალაუფლების პიკი

30-იანი წლების დამდეგი კავანოვიჩისთვის ძალაუფლების პიკი აღმოჩნდა. კოლექტივიზაციის წლებში ქვეყნის იმ რაიონებში. სადაც განსაკუთრებული სიძნელებები იქმნებოდა. სტალინი ყოველთვის სწორედ კავანოვიჩს აგზავნიდა და საგანგებო უფლებამოსილებასაც ანიჭებდა. მისი მოსვლა ყველგან გლეხობის მიმართ ტოტალურ ძალმომრეობასა და ათასობით იმ ოჯახთა დეპორტაციას მოახსენებდა ხოლმე. ვინც ეწინააღმდეგებოდა იძულებითი კოლექტივიზაციას

კავანოვიჩი ხასტიყო იყო არა მარტო გლეხობის. არამედ მუშების მიმართაც. 1928 წელს. როცა ივანოვო-ვოზნენსკის (რუსეთის შუა ზოლში ფეიქართა ქალაქი) უმძიმესი მატერიალური ვითარების გამო მუშათა გაფიცვები დაიწყო. სწორედ კავანოვიჩის მითითებით და საქვს გაფიცვების ორგანიზატორები იგი მკაცრად გაუხსროდა მრავალ ადგილობრივ ხელმძღვანელსაც. ზოგიერთმა მათგანმა ბოიკოტი გამოუცხადა პარტიული მუშაკებისათვის მაშინ შემოღებულ საქონლის დაბურულ განაწილებას და ცოლ-შვილს პროდუქტების ხაერით რიგში გზავნიდნენ კავანოვიჩმა მათი საქციელი „ანტიპარტიულ გადახრად“ შეაფასა

გერ კიდევ 30-იან წლებში სტალინის ხელისუფლების განმტკიცების მნიშვნელოვან იარაღად იქცა პარტიის წმენდა — პეტროდულად მოწმდებოდა მთელი მისი შემადგენლობა. რასაც თან ახლდა პარტიიდან არა მარტო უღირხოთა. არამედ არახსურველ ადამიანთა მასობრივი გარიცხვა. 1933 წლ. როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო პარტიის მორიგი განწმენდა. კავანოვიჩი გახდა მისი ორგანიზაციის მთავარი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე. ხოლო პარტიის XVI ყრილ შემდეგ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული ცენტროლის კომისიის თავმჯდომარეც. ჩვენს ქვეყანაში სტალინის გარდა არავინ არ ფლობდა პარტიული ხელისუფლების სისტემაში ესოდენ მნიშვნელოვან პოსტებს. კავანოვიჩმა. როგორც XVII ყრილობის ჩატარებისათვის შექმნილი კომიტეტის თავმჯდომარემ, მოახდინა ფარული კენჭისყრის შედეგების ფალსიფიცირება. გაანადგურა დაახლოებით სამასი ბიულეტენი. რომლებშიც გადაშლილი იყო სტალინის გვარი

კავანოვიჩი და მოსკოვის რეკონსტრუქცია

30-იანი წლების დამდეგს დაიწყო მოსკოვის ძირეული რეკონსტრუქცია. როგორც მოსკოვის ბოლშევიკების „ბელოდი“ თუ „მესხვე“. კავანოვიჩი აღმოჩნდა ამ სამუშაოების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მრავალ წარმოქმნილ პრობლემას იგი სეროპიროვნულად წყვეტდა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანს სტალინს უთანხმებდა. რეკონსტრუქციის დროს განადგურდა რუხეთის მრავალი ღირებული ძეგლი.

ამ დამანგრეველი მოღვაწეობის დროს კავანოვიჩი ვახილ ნეტარის ტაძარსაც მისწვდებოდა (რომლის ხილვაც წითელ მოედანზე დღეხაც ატკობს მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს). მისთვის ხელი რომ არ შეეშალა არქიტექტორს. რესტავრატორსა და ისტორიკოსს პეტრე ბარანოვსკის. იგი როგორც იქნა შეხვდა კავანოვიჩს. მაგრამ იგაძნო. რომ შეხანიშნავი ტაძრის დასაცავად წარმოთქმული მოხაზრებებით იგი ვერ დაარწმუნებდა და მძაფრი დეკლამაციებით გაუგზავნა სტალინს ამის შემდეგ. აშკარად კავანოვიჩის ჩარევით ბარანოვსკიმ რამდენიმე წელი გადასახლებაში გაატარა. მისი ცოლი იკონებდა: „გადასახლების წინ პავანოვიჩს პეტრე დიმიტრის ძემ ძლივს მოახსრო და მკითხა: „აიღებს?“ მე ვტიროდი და თავის მძებრობით ვანიშნე: „არა, დაახ!“

ცხადია, კავანოვიჩის მოღვაწეობა მხოლოდ ქვეყნის შედეგის წარუვას როდი მოიტყენს მშ-იანი წლების შუა პერიოდში მოხსოვნი დიდი წინეებლობების დაიწყო. აქტიუტეკტორი არ იყო. მაგრამ კავანოვიჩი ჩარეული იყო ამ საქმეში და „მითითებებს იძლეოდა“. მაგალითად, ბრძანა, რომ წითელი არმიის თეატრის ახალ შენობას ხუთკიბიანი ვარსკვლავის ფორმა ჰქონოდა. ეს იყო აბსოლუტურად უაწრო გადაწყვეტილება რადგან ვარსკვლავს შეუღლმფრინიდან ან თვითმფრინავიდან თუ დაინახავდა ცინზე. შეუღლმფრინები კი მაშინ არ იყო, ხოლო თვითმფრინავები, როგორც ვიცით, მოხსოვის თავზე არ ფრენდნენ.

ტატროის წლებში

(1928-1928)

ლაზარე კავანოვიჩი იყო პარტიისა და მთელი საზოგადოების იმ საშინელი ტერორისტული წმენდების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. რომლებიც ერთმანეთზე მიუღობიო ჩატარდა 1928-1928 წლებში. სკკპ XX ყრილობის შემდეგ გამოძიებამ აღმოაჩინა კავანოვიჩის ათობით წერილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილი იმ ადამიანთა სი-ებითურთ, რომელთა დაპატიმრებასაც თხოვლობდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა იგი პირა-დად ამოწმებდა განაჩენებს და შეტკონდა ბვიონებური ცვლილებები.

სტალინი ავალებდა კავანოვიჩს სხვადასხვაგვარი სადამსჯელი აქციების ჩატარებას. მაგალითად, კავანოვიჩი უშუალოდ არის დაკავშირებული ცნობილი რეჟისორის ვსევოლოდ მეიერჰოლდის თეატრის განადგურებასთან. სწორედ თეატრის დაბოვის წინ კავანოვიჩი, რომელსაც მაშინ უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდა, დაესწრო მეიერჰოლდის ერთ-ერთ დადგმას. სპექტაკლი კავანოვიჩს არ მოეწონა და პიესის ნახევარიც არ ჰქონდა ნახაბი. თეატრი რომ მიატოვა, სამოც წელს გადაცილებული მეიერჰოლდი კავანოვიჩს ქუჩაში დაედგინა. მაგრამ იგი თავისი ამალითურთ ჩაქდა მანქანაში და წავიდა. მეიერჰოლდი იქამდე მისდევდა მანქანას, ვიდრე არ დაეცა...

შეარისხვა

კავანოვიჩის გავლენა შემოიკრდა მშ-იანი წლების დამლევს და სულ უფრო მცირდებოდა ომის წლებში. 1948 წელს მისი ნახელი მხოლოდ მეცხრე ადგილზე ინსენიებოდა პარტიულ-სახელმწიფოებრივ იერარქიაში. მშ-იანი წლების დამლევს ძალას იკრებდა კომპანია „უთვისტო-მო კონსოპოტიების“ წინააღმდეგ. დაიწყო ებრაელი ინტელიგენციის წარმოშადგენელთა მასობრივი დაპატიმრება. კავანოვიჩი არ იყო ამ საქმის ინიციატორი. მაგრამ არახოდეს არავინ დაუცავს, გაუშუომანის მსხვერპლი მისი უფროსი ძმა მიხეილიც კი. პოლიტიბიუროს, სადაც ითქვა მიხეილ კავანოვიჩის თითქოსდა საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ მითლერელებთან, ლაზარე კავანოვიჩი სდუმდა და „პრინციპულობისათვის“ სტალინის შექებაც დაიშასხურა.

მაგრამ სტალინი სულ უფრო იშვიათად ზვდებოდა კავანოვიჩს. მას უკვე აღარ პატივებდა თავის სავაშმო სერობებზე, სადაც თავს უყრიდა ხოლმე უახლოეს თანამშრომლებებს. კრემლის ეკიბთა ჩგუფის (უმრავლესობა ებრაელები იყვნენ) დაპატიმრების შემდეგ, რომელთაც ბრალდებოდათ სტალინის მოწამვლა, ხსრ კავშირში დაიწყო ახალი ანტიემიგრული ფართო კომპანია. კავანოვიჩი შიშით ელოდა თავის ზვედრს. მაგრამ იგი, ისევე როგორც ბერი სხვა, და არამართო ებრაელები, იხსნა 1953 წელს სტალინის სიკვდილმა.

სტალინის სიკვდილის შედეგ

კავანოვიჩის გავლენა მოკლე ხნით ეკლავ გაიზოდა. ხსრ კავშირის მინისტრთა საბუკს თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველი მოადგილის პოსტზე იგი განაგვქდა რამდენიმე მნიშვნე-ლოვან სამინისტროს.

